ხალხმა — ეს ფნარა ბოლომდეც ილხვის

გიორგი ტვინაძე



პოეზია

2012

უაკ (UDC) 821. 353.1 – 1
ბ – 544

ISBN 978-9941-0-4632-2

გიორგი ტვინაძის ლექსების კრებული: „სათქმელი უნდა ბოლომდე ითქვას„ პოეტის პირველი გამოცემაა, რომელიც ერის ჭირ–ვარამითაა გაჟღენთილი. თავის ქვეყანაზე მოფიქრალი პოეტი დიდ ილიას იხსენებს და თავის მხრივ დასძენს:

დიდი ხანია არ გვყავს ილია
ივერთა თვალი, ჩინი, სინათლე,
მაგრამ დღესაც ხომ უნდა ვსთქვათ ვინმემ
მტკივნეული და მწარე სიმართლე?

იგი სწუხს ჩვენს გადაგვარებულ ყოფაზე, კაცთა შორის გაუტანლობაზე... სამშობლოდან ლუკმაპურის საშოვნელად უცხო მხარეში გადახვეწილ ჩვენს მოსახლეობაზე და უპატრონოდ დარჩენილ მცირეწლოვან ბავშვებზე, რომელთა მომავალი სრულიად გაურკვეველია, ასევე იმ მოხუცებზე, რომლებიც ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან საყვარელი შვილების შეხედვა აღარ ეღირსათ.

ერთი მათაც მოუსმინოთ
ვინც უწყალოდ გაიწირა,
სამშობლოდან გახიზნულმა
მშობელიც ვერ დაიტირა.

და დასძენს:

ნუთუ იმისთვის ვიღწვოდით მუდამ.
რომ ვით მონებმა უცხო მხარეში
სხვისი საცვლები ვრეცხოთ და ვაშროთ
ვიქცეთ უცხოთა პირის ფარეშნი?

პოეტი დარდით შემკრთალი შესცქერის დღევანდელობას.

პოეტი დარდით შემკრთალი შესცქერის დღევანდელობას და მის მწუხარებას ბოლო არ უჩანს.

ბატონმა გიორგიმ საკუთარი გულისნადები მკითხველს ლექსად გადაუშალა, მისი სიტყვები კიდევ ერთხელ შეგვახედებს ცხოვრების რეალობას და გვაფიქრებინებს, ჩვენ ვართ ერი, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო? ასე უფრთხილდებოდა ჩვენი წინაპარი ეროვნულ ღირებულებებს?!

და მაინც, პოეტი თვლის, რომ სათქმელი უნდა ბოლომდე ითქვას, დანარჩენს კი განსასჯელად მკითხველს უტოვებს.

თამარ თბილელი

სიზმარი

სიზმარში ვნახე უცხო ქვეყანა,
მთელი თავისი ავლადიდებით,
ედემის მსგავსი ბაღებითა და
ფირუზ მთებით და მწვანე მინდვრებით,

ლურჯი მდინარის ნაპირს ეფინა,
ყვავილთა გუნდი ნაირფერებით.
მსურდა ყველაფრის ხელის შეხება,
ველარ ვძღებოდი მათი ფერებით.

იქვე ჩანჩქერი დუღდა რძესავით
და შემდეგ დაბლა ველზე წვებოდა,
ირგვლივ მწვანე ტყე იდგა მდუმარედ,
სუსტი სიოც კი არსად კრთებოდა,
ხოლო ჩანჩქერი, გალაღებული
ჩქეფდა და რაღაც ამბავს ყვებოდა.

ვიჯექი ტყის პირს, ყვავილებს შორის
და რაღაც მშვიდი გრძნობა მიპყრობდა.
ტყეში ფრინველნი გალობდნენ ტკბილად,
გამოღვიძება აღარ მინდოდა.

ამ დროს უეცრად რაღაც უცხო ხმა
ჩამესმა ყურში და უცებ შევკრთი,
მაგრამ იმდენად სასიამოვნო
იყო თავად ხმა და მისი ტემბრი,

რომ მე დავმშვიდდი და მთელი გრძნობით,
მივუგდე ყური იმის საუბარს.
მან მოკლედა სთქვა თავის სათქმელი,
ბევრი ბაასი მას არ გაუბამს,

მითხრა გამომყევ, სხვა რამ გაჩვენო
და მე გავყევი მას, როგორც ცხვარი.
დაბალი გორა გადავიარე და
როცა მარჯვნივ ვიბრუნე მხარი,

უცებ გავშეშდი, რადგან საოცარ
მშვენიერ ქალაქს შევასწარ თვალი.

ვინც მომიყვანა ის სადღაც გაქრა,
დავრჩი მარტოკა ქალაქის ახლოს.
მახსოვს კარგა ხანს ვზვერავდი ქალაქს,
რა დრო გავიდა ის კი არ მახსოვს.

გამოჩნდა ხალხის მცირე კრებული,
საუბრით ჩემსკენ მოიჩქაროდა,
ქალაქში არსად იდგა სასახლე,
თუმც იყო ბევრი ლამაზი ოდა.

მოვიდნენ ჩემთან და ვით სასურველ
სტუმარს, ყველანი ღიმილით შემხვდა.
მე გამაკვირვა მათმა სიკეთემ,
უბრალოებამ და სათნო მზერამ.

მიმიპატიჟეს და მე მივედი,
ვნახე ქალაქი – მცირე სამოთხე –
მე საოცარი ვნახე ქალაქი
და ეს ამბავი დღემდე მაოცებს.

იქ არსად იყო ციხესიმაგრე,
არც ჯარისკაცი ქვეყნის დამცველი.
ლამაზად ნაგებ კოხტა სახლებთან,
ირგვლივ მოსჩანდა ყვავილთ ბაღები.

არავის ჰქონდა შემოსარტყული,
თავისი ეზო მაღალი ღობით.

ცხოვრობდა ყველა ერთი მეორის,
სიყვარულით და ერთურთის ნდობით.

მოხუცებს ჰქონდათ აქ დაფასება,
ყველა გამვლელი მათ ქუდს უხდიდა,
დიდი პატივით მოიკითხავდნენ,
მოწიწებით და სიყვარულითა.

მათ მეც მიმიღეს დიდი პატივით,
კეთილი სტუმრის იცოდნენ ფასი,
არ დუკლიათ პატივისცემა,
მასვეს ძმობის და სიკეთის თასი.

აქ არსად ჩანდა ბიუროკრატი,
თავის სასახლით და დიდი ღიპით,
უსიამოვნო ამაყი მზერით,
შავფანჯრებიან-განიერ ჯიპით.

არც ჩინოვნიკი არ ჩანდა არსად,
რომელიც მუდამ ჭკუას გვარიგებს,
თვითონ კი ყიდის ამ ჩვენ სამშობლოს,
საკუთარ კლანს და ოჯახს ამდიდრებს.

აქ მხოლოდ იყო კოხტა სახლები,
მწვანე ეზოთი, ვარდის გუნდებით,
ხეხილიანი ბაღების ჩრდილით
და მოკირწყლული სუფთა ქუჩებით.

მაგრამ მთავარი იცით რა იყო?
თვით ხალხი იყო მშვიდობიანი.
ხანდაზმულები პატივდებულნი,
ახალგაზრდები ზრდილობიანი.

აქ არვინ იყო დამწუხრებული,
ყველას ბაგეზე ღიმილი კრთოდა,

ერთიმეორის სიყვარული და
ერთიმეორის იმედი ჰქონდათ.

და მომაგონდა მე ჩვენი ყოფა,
ნაგავით სავსე ჩვენი ქუჩები,
დამწუხრებული სახეები და
ბოქლომ გაყრილი რკინის ჭიშკრები.

უცებ შევწუხდი, თითქოს ვიღაცამ
დიდი ქვის ლოდი ჩამიდო გულში,
ასე ვიყავი ალბათ კარგა ხანს
და კვლავ იგივე ხმა მესმა ყურში:

აი ხომ ხედავ, თუ რა იოლი
ყოფილა თურმე მშვიდი ცხოვრება,
ამას სჭირდება სიყვარული და
ერთი მეორის მიმტევებლობა.

თქვენ კი რატომღაც თქვენს თავში შობეთ
გაუტანლობის გრძნობა ველური,
ერთურთს არ ინდობთ, ხოცავთ და ძარცვავთ,
თქვენი გული კი უფალს ენდურის.

ხომ კარგად ნახე როგორ ცხოვრობენ,
ერთი – მეორის ძმობით და ნდობით?
თქვენ კი ერთმანეთს სიცოცხლეს უსპობთ
სიძულვილით და გაუტანლობით.

გამომელვიძა და მე დავღონდი,
არ მომერია თვალებზე რული,
რა იქნებოდა ჩვენც, რომ გვეცხოვრა
იმგვარი ძმობით და სიყვარულით?

2007/09

მივესალმებით პაცეფისტებს

ადამის ცოდვას მოჰყვა სხვა ცოდვა,
როცა კაენმა მოკლა თავის ძმა,
მას შემდეგ ცოდვილ დედამიწაზე,
აღარ მთავრდება ძმათა სისხლის ღვრა.

საუკუნენი მისდევენ ერთურთს
და უამრავი გავიდა წელი,
ისევ ამაყად დააბიჯებენ
დედამიწაზე დღეს ძმათა მკვლელნი.

ფიქრებში წავალ და ისტორიას
გავხედავ როგოც ჰორიზონტს მთიდან.
ამ ჩემს ფიქრებში ძველი, დიადი,
იმპერიების დანახვა მინდა.

ვხედავ ასურეთს, ვხედავ ბაბილონს,
ვხედავ კართაგენს და თვით რომს დიადს,
ამპარტავნობით გადიდგულებულ
იმპერატორებს მკაცრსა და ზვიადს.

მსოფლიო მპყრობი იმპერიები,
რომელთ წინაშე ქვეყნები თრთოდა,
აღარ არიან და მათ ადგილზე,
არის უდაბნო და ქვათა გროვა.

ვინ რა წაიღო? მოდი დავფიქრდეთ,
თუნდ ბევრი სისხლი სვეს და დაღვარეს,
დღეს იმათ სახელს არვინ იხსენებს,
არვინ იგონებს იმათ საფლავებს.

თვით ალექსანდრე მაკედონელი
ვინც ევრაზია ფეხქვეშ გაიგო,

მითხართ სიკეთე ვის მოუტანა?
ანდა თავისთვის რაღა წაიღო?

როცა ინდოეთს შევიდა თურმე ,
იქ შეხვდა ერთი მოხუცი ბრძენი.
და უთხრა ასე: ეჰ ალექსანდრე
ომში გალიე ძვირფასი წლები.

თავს რად იწამებ, ან სხვას რად სტანჯავ?
ცხოვრება არცთუ ისე გრძელია,
წადი იცხოვრე მშვიდობიანად,
ნუთუ სხვა საქმე არაფერია?

მართალი არის, შენ დაიპყარი
მთელი აზია, ზოგიც ევროპა,
მაინც იმოდენ მიწას წაიღებ,
რაც შენ სამარის ადგილს ეყოფა.

ისე აგვიხდეს ყველა სიკეთე,
როგორც აუხდა ბერძენს ნათქვამი.
სულ ახალგაზრდა იყო რომ მოკვდა
არც კი იციან მისი საფლავი.

სხვაც ბევრი არის მაგალითები,
მთელი ევროპა რომ გადაქელეს,
ნაპოლეონი, თუნდაც ჰიტლერი,
შთამომავლობაც კი ვერ დატოვეს.

ნუთუ არ გვყოფნის ჩვენ ეს იმისთვის ,
ცოტა რომ მაინც ჭკუა გვესწავლა?
რომ შეგვეწყვიტა ქვეყნად ომები
და ძმათა სისხლი აღარ გვეღვარა?

2007/09

გამოსვლა 20–4,5

სთქვა სამყაროს შემოქმედმა !!!

მე ვარ უფალი ღმერთი შენი და მე მიწამე!
არ გაიკეთო სალოცავი არაფრისაგან, რაც არსებობს
დედამიწაზე!
არც იმისაგან , რასაც ხედავ წყალში და ცაში!
დაგვიწერა და დაგვიდგინა ათ მცნების თავში.

ვიდრე გვეტყოდა არ იმრუშო, არ იქურდო, არ მოკლა
კაცი,
მანამდე გვითხრა, არ გაიკეთო კერპი და ხატი.
ამ სიტყვებიდან სამი ათას ხუთას წელზე მეტი გავიდა,
ბრუნავს სატანის ბორბალი და სუყველაფერს იწყებს
თავიდან.

კვლავაც ჭედენ და კვლავაც ხატვენ, კერპებს და ხატებს.
თაყვანსა სცემენ, და უამრავ სანთლებს უქნიან.
ხსნას სთხოვენ ისე , თითქოს ამათ შექმნეს სამყარო,
და ჩვენს მამა ღმერთს „იეჰოვას“ არ შეუქმნია.

პატივს მივაგებ ყველა წმინდანს, ყველა წამებულს,
და მზად ვარ მათი რწმენის წინაშე თავი დავხარო,
მაგრამ გვჯეროდეს მათ ჩვენი ხსნა არ შეუძლიათ,
რადგან ამათ არ შეუქმნიათ ჩვენი სამყარო.

2007/06

მოჩვენებითი მშვიდობა

ნამდვილად იყო მშვიდობა
კაცობრიობის ოცნება.
ომმა და უბედურებამ
ბევრს დაუნგრია ცხოვრება.

თუმცა მშვიდობა როდია
ყოველთვის მშვიდობიანი,
მშვიდობის მოსაპოვებლად
ისმის ბომბების გრიალი.

ქმნიან ტანკებს და რაკეტებს,
კაცი რომ აღარ ინდობა,
ფიქრობენ ამგვარ მეთოდით
დაამყარებენ მშვიდობას.

მსოფლიოს დიდი ქვეყნებიც,
მშვიდობის რგოლში ჩაებნენ,
სინამდვილეში ერთმანეთს
„მუსკულებს უკაჩავებენ.“

„მშვიდობისათვის იბრძვიან,
მშვიდობისათვის ომობენ,
მშვიდობის მოსაპოვებლად,
ქვაზე-ქვას აღარ სტოვებენ,“

უსხედან გრძელ-გრძელ მაგიდებს,
ჭამენ და სვამენ მეფურად
და შეჰღიმიან ერთმანეთს
მლიქვნელურ-ფარისევლურად.

მოკრძალებული ღიმილით
ერთურთს უხვევენ თვალებსა,

სიტყვით სხვა რამეს ამბობენ,
ფიქრობენ სულ სხვა რამესა.

ვიკითხოთ სადღა არიან
დღეს მეცნიერნი რჩეულნი?
მათი მცდელობით შეიქმნა
ბევრი ტომი და კრებული,

წერენ გრძელ დისერტაციებს
მოვალეობას იხდიან,
თუმცა მშვიდობა ამგვარად
არ დამყარდება იციან.

მსოფლიო შიშით კანკალებს
და ვერ იშუშებს იარას,
სადღაც ტერაქტი მზადდება,
ვიღაც ამზადებს იარაღს.

ხალხმა დაკარგა ცხოვრების
ინტერესი და ხალისი,
მშვიდობას ვინცა გვპირდება,
სწორედ ის გახდა საშიში.

აღარ აქვთ ადამიანებს
ერთი მეორის ატანა,
გულებში ბოროტი უზით,
დაეპატრონათ სატანა.

არ აჯობებდა ცოტა, რომ
გონება მეტად გვიჭრიდეს?
უფლის გზას ვადგეთ, ერთმანეთს
დახმარების ხელს ვუწვდიდეთ?

მაშინ არ დაგვჭირდებოდა
ამდენი ტანჯვის გაძლება,

ცაში ღმერთს გავახარებდით,
დაგვლოცდა მისი განგება.

მაგრამ ვაი რომ ჩვენს ტვინში,
მხოლოდ ეჭვი და შურია,
სხვისი სიკეთე გვაწუხებს,
ლამის გაგვისკდეს გულია.

დაფიქრდი ადამიანო,
რას გარგებს შური მურტალი,
გიყვარდეთ ერთმანეთიო,
გვიქადაგებდა უფალი.

მინაწერი

მშვიდობას აქვს უფლის სიბრძნე,
წმინდა სულის მონაბერი
და მას ვერსად გაექცევა
ვერც სულელი და ვერც ბრძენი

ბევრს ეცადნენ, მაგრამ მაინც
ჭეშმარიტ აზრს ვერ გაექცნენ:
„მოექეცი სხვას ისევე,
როგორც გინდა შენ მოგექცნენ.“

2007/06

ქართველები ვყიდით „ტავარს“

ზოგმა ცხოვრება ისე გალია,
არ აუგია ერთი ნალია,
ნუთუ ჭამა-სმის გარდა ამ ქვეყნად
სხვა არაფერი არ გვავალია?

ვხედავ ქვეყანა გვენგრევა თავზე,
ჩვენ კი ხელებზე გვადევს ხუნდები,
სახლიდან გავალთ გავყიდით „ტავარს“
და კვლავ ოჯახებს დავუბრუნდებით.

ჩვენი „პრობლემა“ ხომ ჭამაშია,
კუჭის ზემოთ ხომ ვერ ვიყურებით?

თუ რამ ვიშოვეთ ოჯახებს ვახმართ,
ვტკბებით ჩვენივე სახლის ყურებით,
ოჯახის გარეთ ვერაფერს ვხედავთ,
ჭიშკრის გადაღმა არ ვიყურებით.

მეც თქვენსავით ვყიდი „ტავარს“
სამშობლოს ხსნას სხვისგან ველი,
„ჩვენისთანა ბედნიერი არის კიდევ სადმე ერი“?

მოდით დავფიქრდეთ უფრო ღრმად,
ვიდრე დღე გვიდგას მზიანი.
ილიამ დასვა შეკითხვა,
კაცია ადამიანი?

. .

თათქარიძე ჩვენი ყოფის სარკეა,
(თუმც მას შემდეგ დრო მრავალი გამოხდა)
მაინც მასთან ჩვენ მეტი გვაქვს საერთო,
ვიდრე თავად მისი წიგნის ავტორთან.

2007

ჩემი ბავშვობა

მომაგონდება ჩემი ბავშვობა,
ტკბილი ბავშვობა და უდარდელი.
მამას პატარა კოხტა ვენახი,
ვენახთან ბაღი, მდელო და ველი,

ველის გადაღმა ანკარა ღელე
და ღელეს იქით გორა მწვანე ტყით,
ტყის პირას ჩემი ძველი ხის ოდა,
სამი ოთახით, გრძელი აივნით.

და გულში ტკბილი გრძნობა იღვრება,
როგორც მაჭარი ქვევრში ხმაურით.
სიმინდის ყანა მომაგონდება,
ატმის ხეებით, ვაშლით, ალუბლით.

მაყვლის ბუჩქიდან შაშვი უსტვენდა,
თეთრი ნისლები ძოვდნენ ჭალაკებს,
ხევში მოსჩქეფდა ანკარა ღელე,
ჰყვებოდა მთის და ბარის არაკებს.

ეს ყველაფერი დღეს სიზმარს მოჰგავს
და ვით იქნება არ გავიხსენო,
ტყის პირს ჩადგმული ის ძველი ოდა,
ის მშვენიერი, ბაღი და მდელო.

2007

როცა ვიყავი მე სულ პატარა

როცა ვიყავი მე სულ პატარა,
მეფერებოდა ყველა გამვლელი,
და მე მეგონა ჩვენი ცხოვრება,
არის საამო და უდარდელი.

დედამ მიამბო ერთხელ ზღაპარი,
ბოროტ მელაზე, როცა შიოდა:
როგორ მოსტაცა შვილი ჩიტუნას
და ჩიტი როგორ მწარედ სტიროდა.

დიდხანს ვდარდობდი მე ჩიტუნაზე,
მეცოდებოდა საბრალო ჩიტი,
მაშინ მეგონა დედამიწაზე,
მელაკუდაა ყველაზე ფლიდი.

შემდეგ გავიგე, რისი მელია
მასზე ბოროტი თურმე მგელია.
მგელს შესძლებია თურმე თავის მსხვერპლს,
დიდხანს მისდიოს, კარგად დაჰქანცოს,
მერე მივარდეს დაღლილს, საბრალოს
და დაუნდობლად ყელი გაჰღადროს,

სხვისი ტკივილი მას არ ადარდებს,
მხეცია იგი დაუნდობელი,
სულაც არ ფიქრობს, როგორ ტკივილს გრძნობს,
მისგან მოკლული მსხვერპლის მშობელი.

მაგრამ ყოფილა მასზეც ვარესი,
სულ ამერია თავში დავთარი,
მახინჯი მხეცი, დაუნდობელი,
მისი სახელი არის აფთარი.
და მე მეგონა ჩემს ბავშობაში
არავინ იყო მათზე საშიში.

ჰოდა, როცა მე მათზე ვფიქრობდი,
მეკარგებოდა სულმთად ხალისი.

მერე ბავშვობის წლები გავიდა,
ვნახე ცხოვრება დაუნდობელი,
როგორ ჩაგრავდნენ ქვეყნად მართალ ხალხს,
როგორ ჯობნიდა ნათელ აზრს ბნელი.

ბევრი ცდილობდა სხვის დამონებას,
კაცი კაცზედა მტრულად მძლავრობდა,
ყველა თავისკენ ეზიდებოდა,
სხვის განსაცდელზე არვინ დარდობდა.

ჯუნგლის კანონი ადამიანში,
ყველა ნადირზე მეტად მძლავრობდა.

ადამიანო თუ არ ხარ მხეცი,
მაშინ მე შენგან პასუხს მოველი,
როცა კაცს ჰკლავდი რად არ ფიქრობდი,
რას გრძნობს მოკლული შვილის მშობელი?

ადამიანში ყოფილა
ყველა ნადირის ბუნება,
ჰოდა ამაზე, რომ ვფიქრობ
კვლავ მიფუჭდება გუნება.

ადამიანო! შე მართლა: მელავ,
მგელო და აფთარო,
შენი ცოდვები რომელი,
რომელი ერთი დავთვალო?

2007/06

მოჩვენებითი ღვთის მოსაოგბა

თუკი მგელმა ფარეხში,
ჩუმად შესვლა ინება
ას ცხვარს ერთად გაღადრავს,
ასეთი აქვს ბუნება,

თუ კი ყველას ვერ შეჭამს,
ამას არც კი ინანებს,
მგლური სიხარბის გამო,
იგი თავს ვერ იკავებს.

ზოგიერთ ჩინოვნიკშიც
ეს თვისება ვლინდება,
ხარბად ძარცვავს ქვეყანას
და უაზროდ მდიდრდება.

ქონება აქვს იმდენი,
რომ ვთქვა გაგიკვირდებათ,
მაინც არა სჯერდება,
ვერა კმაყოფილდება,

თუმც სიმდიდრე ბევრი აქვთ,
არ იციან რა უყონ,
არც იფიქროთ ვინმესთვის
ერთი ცენტი გაიღონ.

მათ ქონებას არა აქვს
სათვალავი, არც ზომა.
მაინც ხარბად ძარცვენ ხალხს,
არ იციან დაზოგვა.

მგელი მაინც მგელია,
ასეთი აქვს ბუნება,
ამიტომაც სიხარბე
მას არ გაემტყუნება,

მაგრამ ამ ხალხს, ნამდვილად
აქვთ იმისი გარჩევა,
რომ ის წუთისოფელი
მათ მუდამ ვერ დარჩებათ.

სიყვარულის რა გითხრათ,
უფლის შიშს განიცდიან,
მაგრამ როგორ აამონ,
ეს ნაღდად არ იციან.

ზოგი ნაძარცვი ფულით,
ტაძარსაც კი ააგებს,
შემოქმედთან პირფერობს
და შემოქმედს ქრთამს აძლევს.

უყვარს სხვისი დამოძღვრა,
ყველას ჭკუას არიგებს,
მაგრამ იმას ვერ ხვდება
ღმერთი ქრთამს, რომ არ იღებს.

აქაურს ვერა თმობენ,
სურთ დატკბნენ და ილხინონ,
ისიც ძალიან უნდათ
ღვთის სამოთხეც იხილონ,

მაგრამ ორი ბატონის
სამსახური ძნელია,
როგორც უფალი ბრძანებს,
ეს შეუძლებელია.

თუ მართლაც, ჭეშმარიტად
გსურთ უფლის გზით იაროთ,
პირფერობას სჯობია
სიკეთის ქმნა ისწავლოთ.

თუმცა ჩვენი უფალი
მიწიერი არ იყო,
მიწიერი ხალხისთვის
მან სიცოცხლე გაიღო.

თქვენ კი როგორ გგონიათ
სხვაზე მეტი რითა ხართ?
ხომ არ დაგვიწყებიათ,
მტვერი ხართ და თიხა ხართ.

მაღლა ფრენას, გახსოვდეთ
ხშირად მოსდევს დაცემა.
ხალხის ძარცვას სჯობია,
რომ ისწავლოთ გაცემა.

. .

და თქვენც ვინც შეიცანით,
თქვენი თავი ამ ხალხში,
ნუ გგონიათ, რომ თითი
სულ გექნებათ ფაფაში,

ნუ გგონიათ, ცხოვრება
არის მხოლოდ გართობა,
უკანონო სექსი და
რესტორნებში დათრობა,

კაზინოში გულავი,
მოგება და წაგება,
მერე მოსაჩვენებლად ლოცვა,
სანთლის დანთება.
უფრო მეტიც, უფლისთვის
სამლოცველოს აგება.

არც იფიქრო, რომ შესძლებთ
უფლის თვალის ახვევას,
მისი გულის მოგება,
ამნაირად არ ხდება.

ჯერ სჯობია უფლის გზა
უკეთესად გაიგოთ,
სამლოცველო პირველად,
თქვენს გულებში აიგოთ

სინანული ისწავლოთ,
სხვისი დარდი გაიყოთ
და ცხოვრება თავიდან
სიყვარულით დაიწყოთ.

2007/06

ქართველთა ჭირი

ქართველებს მუდამ რაღაცა
სენი გვჭირს უკურნებელი,
ერთი მეორის მტრობაში
გაგვყავს ეს წუთისოფელი.

შურს ვერა ვმალავთ,
როდესაც ვინმეს სიკეთეს გავიგებთ,
თუ საშვალება მოგვეცა
მაშინვე ლანძღვით ავიკლებთ.

წლები გადიან ერთურთს ვმტრობთ,
მშვიდობის ვერა ვიწამეთ,
ერთი - მეორის დანდობა
ღვთისგანაც კი ვერ ვისწავლეთ.

კარგი კაცობის საზომი
გახლავთ ქურდობა, სიცრუე,
თუ კარგად ქურდობ კაცი ხარ,
კაცი ხარ თუ ბევრს იცრუებ.

ტყუილი მუდამ თან გვახლავს,
როგორც ერთგული გუშაგი,
ყველა სიცრუის გუდა ვართ,
პრეზიდენტიდან მუშამდი.

დედის ფიცება მითხარით
სხვებმა ვინ იცის ამგვარი?
ჩემი დედა მ..... რომ ვიტყვით,
ამინს მოგვძახის მთა-ბარი.

ქალიშვილები დაგვდიან ,
შარვლით ნახევრად ჩახდილნი,
აღარ ამშვენებს მათ სხეულს
კაბა და ნაზი მანდილი.

სიგლახეს უცებ ვითვისებთ
თუმც ჩვენიცა გვაქვს მრავალი,
ცხოვრებაც ისე მიგვიდის,
რომ გავახაროთ მავანი.

მუდამ სხვას შევცქერთ ხელებში,
დარდებმა გული მოღალა,
ნუთუ ასეთი ძნელია
შირაქში ხორბლის მოყვანა?

არ ვიცი რაღას ვიქადით,
ან ასე რატომ ვდიდგულობთ,
კიტრის მწნილი რომ მწნილია
იმასაც სხვისგან ვყიდულობთ.

ვყიდით ყველაფერს რაც კი გვაქვს:
მიწას, ზღვას, ტყეს თუ მდინარეს.
უცხოს სუყველას ტაშს ვუკრავთ,
ვისაც კი ვნახავთ მღიმარეს.

გურამიშვილის ნათქვამი
სჩანს, რომ უკუღმა გავიგეთ,
აღმა ხვნა დაღმა დაფარცხვა,
ისევ თავიდან დავიწყეთ.

ვერც ილიასგან ვისწავლეთ,
რომ მტრობით არა შენდება,
თუკი კარგად არ დავფიქრდით
მოგველის გადაშენება.

ერთურთს თვალებს ვთხრით
უცხოსთან ვართ უაღრესად კეთილნი,
ალბათ დრო არის ამდაგვარ
ქცევას დავუსვათ წერტილი.

ალბათ დრო არის სხვაგვარად
დავიწყოთ ფიქრი, ცხოვრება,
ერთი მეორის მტრობას სჯობს
ჭკუა გავხსნათ და გონება.

მტრობა და შური გადავდოთ
გვერდზე და ძმობა ვიწამოთ,
ჩვენი ხორბალი დავთესოთ,
ჩვენი ნაშრომით ვიხაროთ.

უფალს შევთხოვოთ შემდგომში
ხელგაწვდილი არ გვატაროს,
რადგან ბაღნარი გვიბოძა
გამოყენებაც გვასწავლოს.

2007

ბებოს დარდები

გარეთ ქუხილი გაისმის,
სჩანს ავდარი არ დაიცდის.
ბებია ზის და განიცდის წვიმის თქაშუნის ხმაზე,
შიფერი ორად გამსკდარა ჭერი ენგრევა თავზე.
ობლები იქვე დამსხდარან გამოხეული წინდებით,
ბებოს შესცქერენ თვალებში შეშინებული იერით,
შემოსწოლიათ პატარებს შავ ღრუბელივით ფიქრები.
ბებოს, რომ გულში ჩახედოთ მოიწამლებით ნამდვილად,
ისიც არ იცის პატარებს რა გაუკეთოს სადილად.
კი სათნო სახლი გაიხსნა, წითელი ლენტიც გაიჭრა,
ხელისუფლების ტრაბახი ცისფერ ეკრანში გაისმა.
მაგრამ ბებიას ერჩივნა ჰქონოდა თავის პენსია,
ობლებსაც დახმარებები მიეღოთ როგორც წესია.
ხომ არ ეყოფა მის ოჯახს, მარტო სუპი და შნიცელი?
ბებოს სურს თავის პენსიით იყიდოს კასპის შიფერი,
რომ წვიმამ აღარ აწვიმოს, სიცივის შიში არ ჰქონდეს,
გაზაფხულიდან ზამთრამდის, როგორმე თავი გაჰქონდეს.
მოხუცს დარდისგან გათანგულს, გული წუხილით ევსება,
ხელისუფლების ტრაბახი გულს ლახვარივით ესმება.
ბიუჯეტს ვზრდითო ამბობენ, ტრაბახი აღარ მთავრდება,
მაგრამ რად გინდა იქიდან ხალხს არაფერი ხმარდება.
საძოვარიც კი წაართვეს გლეხებს, თავისი სარჩენი.
არ ვიცი ამ ჩვენს ქვეყანას რით დაადგება საშველი.
ხომ არ მოგვიწევს ისევე კბილებით ლელოს გატანა,
მაგრამ ჩვენს სისხლ-ხორცს ვებრძოლოთ და გავახაროთ
სატანა?
რა ვქნათ, რა წყალში ჩავცვივდეთ, გკითხავთ ჭაბუკთ და
ხნიერებს,
ჩვენ წავიდეთ და სამშობლო ვაჩუქოთ გადამთიელებს?

2007/07

მამიდის გახსენება

სოფელში მყავდა ქსენო მამიდა,
გაუთხოვარი კეთილი ქალი,
მის სათნო სახეს ვიხსენებ ეხლა,
თავს მადგას მისი აჩრდილის ქნარი.

თავის შვილები მას არ ჰყოლია,
ძმიშვილებს გვზრდიდა თავის შვილებად,
თავის ღარიბულ ლუკმას გვიყოფდა,
თვის ოცნებებში გვსახდა გმირებად.

ჩვენთვის ცხოვრობდა, ჩვენთვის ცოცხლობდა,
დღე ელეოდა ჩვენზე ზრუნვაში,
ჩუმად მუდამ დღე უკან დაგვდევდა,
სოფლის მინდვრებში, ველს თუ ქუჩაში.

სკოლაშიც მუდამ ის გვატარებდა,
გადავივლიდით „ნაბამბრის“ გორას,
„ძირაგეულის“ სოფლის ბოლოში,
მივადგებოდით ოთხწლედის სკოლას.

წლები გავიდა, ჩვენ გავიზარდეთ,
სოფელს ვსტუმრობდით, მხოლოდ ზაფხულში.
მამიდა კუხნას მიაშურებდა
და ხელს წაჰყოფდა, ცომს და დაფქულში.

პურს ჩააცხობდა, ყველს მოიტანდა,
მერე შებოლილ ლორსაც მოსჭრიდა
და სანამ ლორი იხარშებოდა,
თავის პატარა ჭურსაც მოჰხდიდა.

დრომ და ცხოვრებამ მიგვფანტ-მოგვფანტა,
ჩვენ ქალაქებში დავიდეთ ბინა.
ვერ ჩავდიოდით სოფელში ხოლმე,
ვერ ვნახულობდით მამიდას ხშირად.

ის ჩვენ გვნატრობდა, მას ჩვენთან სურდა.
ჩვენ კი სოფლისთვის ვეღარ ვიცლიდით.
ამ წუთისოფლის ორომტრიალში,
მოვალეობას ვეღარ ვიხდიდით.

მოხუცმა მთხოვა, ჩემთან ეცხოვრა,
მე კი ვიყავი ქალაქში მდგმური.
მისი თვალები, რომ მახსენდება,
მწუხარებისგან მელევა გული.

მე ეს წუხილი დღემდე გამომყვა
და ვწუხვარ იმ ჩემს უმწეო ყოფას,
რომ ვერ შევძელი მოხუცისათვის
ტკბილი სიბერით უზრუნველყოფა.

სამწუხაროა, ვერ დააბრუნებ
გარდასულ წლებს, რაც უკვე გავიდა.
ამ ქვეყნიდან კი მამიდაჩემი
კარგა ხანია უკვე წავიდა.

თავს ვიიმედებ, მრავალ კეთილ ხალხს
წუთისოფელში ტანჯვა ეწერა,
მაგრამ ვერ გავძელ მე ეს ამბავი
თქვენთვის არ მეთქვა არ დამეწერა.

2008/01

ენით დაჭრილი არ იკურნება

სიბრძნეს მრავალი თვისება ახლავს,
მათ შორის ერთი არის დუმილი.
ზოგჯერ საჭირო არ არის ყველას
გაუზიარო შენი წუხილი.

თავშეკავება, დინჯი პასუხი,
არის რჩეული კაცის თვისება,
ხშირად უსიტყვო გამოხედვაშიც
ჩანს გონიერი კაცის ღირსება.

სრულყოფილება ჩვენგან შორს არის,
ბევრი ნაკლი გვაქვს ადამიანებს,
თუმც უსაფუძვლო ჭორი გახსოვდეთ
ადამიანის სულს აზიანებს.

ადამიანებს ხშირად გვჩვევია
გავაკრიტიკოთ სხვისი ბუნება,
მაგრამ „საბამ“ თქვა ენით დაჭრილი
ჭრილობა თურმე არ იკურნება.

სიდარბაისლე, თავშეკავება,
ღირსებას მატებს ადამიანებს,
ენატანია სხვასაც კი მაგრამ
უფრო მეტად კი თავს იზიანებს.

2008/01

ადამის ნეკნი

I

შექმნა უფალმა მტვრისგან ადამი,
დედამიწაზე პირმშო პირველი,
ედემის ბაღში დასვა და მისცა
წყალში თევზნი და ცაში ფრინველნი.

ხოლო მიწაზე, ბაღი სამოთხე,
ულამაზესი ედემის ბაღი
და მშვენიერი ცხოველთ ჯიშები,
საამური და საოცრად ლაღი.

მშვენიერ ბაღის ნახვამ ადამის
გულში საამო გრძნობა მოჰფინა.
უთხრა უფალმა: შენთვის შევქმენი,
ეს იყოს შენი მუდმივი ბინა.

ბაღი ჰყვაოდა ათას ფერებად,
სხვას რას ინატრებს ადამიანი,
ლურჯ მდინარის პირს მწიფდა ხეხილი,
მსხმოიარე და ბარაქიანი.

მშვენიერებას ენა ვერ აღწერს,
ყველგან უფალის ხელი ერია,
მწვანე ტყის პირას ლამაზ ბაღებში
ცხოველთ და ფრინველთ გუნდი ერია.
და კვლავ თქვა ღმერთმა, აჰა იხარე
ეს ყველაფერი უკვე შენია.

II

თუმც ყველაფერი საუკეთესო
ჰყვაოდა თურმე ედემის ბაღში,
ადამი მაინც დაღონდა მალე,
როგორც ობოლი დიდ მდიდრულ სახლში.

და სთქვა უფალმა: მართალი არის,
არ ვარგა კაცის მარტო ცხოვრება.
ძილს მოვგვრი ადამს, რომ შეუსრულო,
მას სანუკვარი დიდი ოცნება.

მოჰგვარა ძილი და სულიწმინდის
სასწაულებრი მოჰბერა ქარი.
გაუხსნა გვერდი და მის ნეკნისგან
შეუქმნა ნაზი ლამაზი ქალი.

გამოეღვიძა ადამს უეცრად
და როცა ფართოდ გააღო თვალი,
სიხარულისგან წამოიყვირა,
ეს არის ჩემი ხორცი და ძვალი.

III

თუმცა უფალმა ამ ქვეყანაზე
შექმნა მრავალი მშვენიერება,
ქალის მშვენებას დედამიწაზე,
მშვენიერება ვერ შეედრება.

ქალია ჩვენი ცხოვრების აზრი
ჩვენი იმედი და სიხარული,
ქალის გარეშე რა იქნებოდა
ან სათნოება, ან სიყვარული?

ქალის გარეშე რა იქნებოდა
ამ ქვეყანაზე ბედნიერება?
ქალმა დაჩრდილა ქვეყნად ყოველი
სილამაზე და მშვენიერება.

2007

სიყვარულია სულგრძელი

სიყვარულია სულგრძელი,
მასა აქვს ვარდის სურნელი.
სადაც ის არის იქ მუდამ
სიხარული აქვთ ულევი.

სიყვარულს მუდამ თან ახლავს:
ძმობა, ერთურთის მინდობა,
სითბო, სიმშვიდე, სიკეთე,
თავმდაბლობა და მშვიდობა.

მაგრამ იქ სადაც უეცრად,
მტრობა და შური გაჩნდება,
იშლება წლობით ნაგები,
მწვანე ბალახიც არ რჩება.

დაანგრევს, გაანადგურებს
წინ რა სიკეთეც დახვდება,
გააცამტვერებს ყველაფერს,
ქვეყანა გაპარტახდება.

მტრობა და შური სენია,
სიცოცხლის გამწამებელი.
ადამიანი ამ სენის
ვირუსის მატარებელი.

2007

ანეკდოტი

პირადად არ მსურს რატომღაც
მათი სახელის ხსენება,
თვითონაც კარგად მიხვდებით,
ეს ამბავი ვის ეხება.

ამბობენ, ერთხელ მიხომა
ისურვა ცაში აფრენა,
იქ პარაშუტის გაშლა და
ნარნარით დაბლა დაშვება,

რადგან სამშობლოს ველ-მინდვრებს
სრულად ვერ ჭვრეტდა სახლიდან,
ძლიერ მოუნდა თავისი
მხარე ეხილა მაღლიდან.

ეს დროც მოვიდა, აუხდა
მას თავის გულის წადილი.
აფრინდა, ხელს გააყოლა,
ჭაჭა და მცირე სადილი.

თავი რომ უფრო მხნედ ეგრძნო
ორასი გრამიც გადაჰკრა,
შემდეგ პარაშუტს დასწვდა და
თვითმფრინავიდან გადახტა.

უცებ ჰაერში განწირულ
კაცის გინება გაისმა ,
რადგან მცდელობამ ვერ გასჭრა,
პარაშუტი არ გაიხსნა,

წვალობს, ჯახირობს, ჩალიჩობს,
გახსნას როგორმე იქნება,
მაგრამ რაც გინდა ის ქენი
პარაშუტი არ იხსნება.

ეჰ რა მუხთალი ყოფილა
ჩვენი ყოფა და ცხოვრება:
ამ ფიქრებშია და ამ დროს
უცებ გაეხსნა გონება.

ამბობს ღმერთსა ვთხოვ
ეგება ის იქნეს ჩემი დამხსნელი,
თორემ კაცისგან აქ ნაღდად
არ დამადგება საშველი.

ლოცულობს: ღმერთო ერთხელაც
მაჩვენე სახლის კარები,
გპირდები, ჩემს ქვრივ ცოლისდას
ახლოს არ გავეკარები.

აღარც ცოლს აღარ დავჩაგრავ,
წინ არ გავიგდებ ვენახში,
შეშას დავჩეხავ, ვუშველი
საქონლის მოვლა დევნაში.

ამ განცდებშია და უცებ
ხელით რაღაცას შეეხო,
იგრძნო ვეება ზვინია
და შიგ გულდაღმა ჩაემხო.

არც სჯერა რომ ცოცხალია
და წევს დაზვინულ თივაში,
თვალებს იფშვნიტავს, არ იცის,
ცხადში არის თუ სიზმარში.

წამოხტა, თივის ზვინულებს
ეძგერა როგორც სულელი,
გარეთ გამოძვრა და
როცა , იგრძნო ნიავის სურნელი,

მიხვდა ცოცხალი ყოფილა,
თან ფრჩხილიც არა სტკენია,
აწი როგორც ჩანს, საშიში
ნამდვილად არაფერია.

ჯერ პარაშუტი მოიხსნა,
ზურგიდან დედის გინებით,
დაჯდა მინდორში ამაყად
გამარჯვებულის იერით.

ზის და ველ-მინდვრებს გასცქერის,
ნიავი ნაზად კრთებოდა,
და გაახსენდა უეცრად
რასაც ღმერთს ევედრებოდა.

ჩაიქირქილა თავისთვის,
სთქვა, ვერაფერი გავიგე,
ასე შტერული აზრები
მე გულში როგორ გავივლე?

. .

თუმც ყველას გვახსოვს
ეს ძველი ანეკდოტური ამბავი,
მაგრამ მე მსურ რომ თქვენ გითხრათ,
აქ სხვა რამ არის მთავარი.

დღეს ბევრი პოლიტიკოსიც
სწორედ ამგვარად იქცევა,
როდესაც ხალხის ხმები სურს,
კეთილ ფერიად იქცევა.

უეცრად მხრებზე მოისხამს,
მართალი კაცის მანტიას,
ისე საუბრობს თითქოს მას
საწყალი ხალხის დარდი აქვს,

მასის გულში დგას, სიტყვებით
ვინ იცის რას არ ჰპირდება,
საჩუქრებსაც კი ურიგებს,
პირდაპირ გაგიკვირდება.

როგოც კი ნანატრს მიიღებს
და მყარად ფეხზე დადგება,
ხალხს თავის კუთვნილს
წაართმევს და იქით მიედავება.

ეს ყველაფერი ნამდვილად
ლოგიკას ემორჩილება,
აბა სად თქმულა ბოროტის
უეცრად გაკეთილება?

. .

სწორედ ამიტომ არ მსურდა,
მათი სახელის ხსენება,
ალბად თქვენც კარგად მიმიხვდით,
ეს ამბავი ვის ეხება,.

2007

როდესაც დეზერტირების ბაზარი დაანგრიეს და იქედან ხალხი ცემა-ტყეპით გამორეკეს, შევესწარი ასეთ საუბარს: ერთი გულმოკლული მამაკაცი, ცრემლ მორეული უყვებოდა თავის ნაცნობს, რომ ის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო და სახლში მცირეწლოვანი ბავშვები მხოლოდ მის ხელს შეჰყურებდნენ. მაგრამ ყველაზე მეტად მას ის აწუხებდა, რომ ბანკიდან პროცენტიანი სესხი ჰქონდა გამოტანილი. ის შიშობდა, თუ გადახდას ვერ შეძლებდა იმ ორ ოთახიან ბინასაც გაუყიდდა ბანკი, რომელიც მის ერთადერთ ქონებას წარმოადგენდა. სწორედ მისმა მწუხარე მდგომარეობამ დამაწერინა, ეს ლექსი.

გასაკვირველი ამაში სულ არაფერი არ არის,
არსებობისთვის თუ იბრძვის, ღარიბი, მიუსაფარი.
ხშირად ამბობენ თითქოს რომ ჯანმრეთელობაა მთავარი,
ფეხი კი ისე გაწვადე როგორც გაგწვდება საბანი.

ვისაც ეს გამოგიცდიათ, ვიცი თქვენ დამეთანხმებით,
როცა მშიერი პატარა გიმზერს ცრემლიან თვალებით,
ამას სჯობია კისერზე ვეება ლოდი დაგკიდონ,
წაგიყვანონ და ყველაზე, მღვრიე მორევში ჩაგძირონ.

ძნელია, როცა ოჯახში ბრუნდები მშიერ-მწყურვალი,
ზურგზე ვალები გკიდია, ვით ძველი ტყავის კურტანი.
წინ ბავშვი შეგეგებება, მშიერი, კისერ წაწვდილი,
ბევრს კი არაფერს არ ითხოვს, ითხოვს აჭამო სადილი.

მითხარით, როგორ აუხსნით, თქვენ ამ ბავშვს მაშინ
სიმართლეს?
ბაზარი რომ დაანგრიეს და კიდეც გაგასილაქეს,
როგორ აუხსნით პატარას, რომ ცხოვრებიდან
გაგრიცხეს,
ჩამოგწერეს და უბრალოდ, ჩარეცხილებში ჩაგრიცხეს.

თქვენი არ ვიცი, პირადად მე ნაღდად ასე მგონია,
ამნაირ საქართველოში არ დაბადება სჯობია.

2007/08

ზოგი „მოყვასი“

ზოგი მოყვასის ბუნება
ხშირად მაოცებს, მაკვირვებს,
უსინდისობა მადარდებს,
უნამუსობა მაყვირებს.

შენთან დაჯდება შენია,
ღვინოს სვამს ძმობას გაფიცებს,
შენს მტერთან შენი მტერია,
გლანძღავს და დედას გაგინებს,

თუ რამეს ელის , იცოცხლე
ენით სულ კოშკებს აგიგებს,
გიმტკიცებს შენი გულისთვის,
სისხლს უკანასკნელს გაიღებს.

თუ დასჭირდება ბრძენია,
გმოძღვრავს, გასწავლის, გარიგებს,
თუ არ უნდა და ყრუ არის,
ბომბის ხმასაც ვერ გაიგებს.

როგორც ვთქვი, თუ რამეს ელის
არვინ ჰყავს შენი სადარი,
ცამდე აგიყვანს მისთვის ხარ:
გმირი და მთავარ სარდალი.

თუ არა ძმასაც გაყიდის,
ასეა (თუ გინდ მომკალი)
სულ უცხო არის იმისთვის,
სინდისი, კაცის მორალი.

2007

ვუძღვნი რომანი დვალს

როს შემოდგომის დაჰბერავს ქარი
და გულში ცივი სუსხი ჩადგება,
როცა ვეება ჭადრის ფოთლები
გზებში უაზროდ გაიფანტება

როდესაც დარდი გულს გაგიკაწრავს,
როგორც დუშმანის მწველი მათრახი,
როცა ყორნები აიშლებიან
ყურის წამღები ავი ყრანტალით.

როცა ავდარით შეწუხებული,
უცხო გამვლელის ისმის გინება.
გამახსენდება ჩემი ერთგული
მეგობარი და გამეღიმება,

დამავიწყდება ცუდი ამინდი,
შავი ფიქრები გაიფანტება
და გული რაღაც სასიამოვნო
განცდების ნისლით დაიფარება.

ვიცი ჩემს დარდებს იგი გამიგებს,
სულის კუნჭულის ძირში ჩამწვდება,
დამაიმედებს, შემდეგ ბუხრის წინ
დაბალი ტაბლაც გაიმართება.

გულში იმედის გრძნობა იღვიძებს
და იცი მერე რას ხვდები ხელად?
შენ სწორედ ახლა ვინც განუგეშბეს,
მას მეგობარი ჰქვია სახელად.

სხვას ვერ გაუმხელ, სხვა ვერ გაიგებს,
სხვისი სხვაგვარად ბრუნავს საათი,

ამას ხომ ყველა კარგად მიხვდება,
ამას რად უნდა ბევრი კამათი.

სწორედ ამიტომ მეგობარს მუდამ,
გულში უჭირავს დიდი ადგილი.
ის არის შენი დიდი ნუგეში
და შენი სულის დიდი ნაწილი.

2007

ეს რა ცხოვრება მოვიდა!

(ჯეობარი)

ეს რა ცხოვრება მოვიდა,
ვფიქრობ თან ეკრანს დავცქერი.
სინდისი სისულელეა,
ბოზობა გახდა სახელი.
თუკი საქვეყნოდ შიშვლდები
მაშინ ხელოვნად გრაცხავენ.
კრიტიკის ნაცვლად რატომღაც
ქებას და ხოტბას გასხამენ.
ტაშს იმისათვის გიკრავენ,
რომ აჩვენო შენი ვნება
და ეთერში ღია სექსის
აამაღლო ხელოვნება.
რა ვქნა ჩემი უნდა გითხრათ,
საკვირველი ეს არ არის,
ქვეყანაზე ყველა დროში
გამოჩნდება მრუში ქალი.
სხვა რამ მტანჯავს, სხვა მაწუხებს
(დარდმა გული გამიკვეთა)
ნუთუ ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას,
მოსწონს ამ შოუს დაკვეთა?

თითქოს ტრადიციებს ვიცავთ,
საჭიროა ვთქვათ მართალი.
ჩვენს წინაპარს, ნამუსის მხრივ,
არა ჰყოლია ბადალი.
ერთი მრუში, ვერც ათასი,
მთელ ქვეყანას ვერ წაბილწავს,
მაგრამ ეთერში ჩვენება,
ამ ჩვენს მომავალს გასწირავს.
მე აღარ ვიცი შემდეგში
უარესი რა მოხდება,
სოდომის მსგავსი განკითხვა
ჩვენც ხომ არ გვიახლოვდება?
დავფიქრდეთ, სანამ დრო არის
და ეშმაკს ზურგი ვაქციოთ,
თუ არ გვსურს ჩვენი ქვეყანა,
ბარდელად გადავაქციოთ

2007

ბრძენის შეგონება

ერთ ბრძენს უთქვამს,
თუ ხარ კაცი,
სახლი უნდა ააშენო,
კარგი შვილი გაზარდო
და ბაღი უნდა გააშენო.

მართლაც ბრძნული ნათქვამია,
არ სჭირდება ბევრი განსჯა.
გულს ახარებს კარგი სახლი,
კარგი მდელო, კარგი ბაღჩა.

როცა ზიხარ აივანზე,
ირგვლივ მწვანე ხეხილია,

ყველაფერი შენი ხელით
დარგული და შექმნილია,

როცა ირგვლივ მწვანე მდელოს
ყვავილები ამშვენებენ,
სახლის ბანზე მერცხლები კი
კოხტა ბუდეს აშენებენ.

კარგი არის, როცა უმზერ,
შენი შრომით შექმნილ , ნაღვაწს.
და თან შენი ახლობელი,
მეგობრებიც გვერდით გახლავს.

მაგრამ მოდით გავიხსენოთ
ბრძენის ნათქვამ-ნაუბარი.
კარგი შვილის აღზრდაზე აქვს
მას ამ ლექსში საუბარი.

შვილის აღზრდა ცხოვრებაში
ყველაფერზე მთავარია,
ეს მისია ადამიანს
უფლისაგან ავალია.

ყველაფერი ძვირფასია:
სახლი, კარი, მთა და ბარი,
მაგრამ შვილის აღზრდა არის
პირველ რიგში შენი ვალი.

თუკი შვილი ვერ აღზარდე,
სულ ტყუილად გიშრომია.
ჩათვალე, რომ მტერთან არა,
ქარიშხლებთან გიომია,

როგორც მძლავრი ქარიშხალი
სუყველაფერს აპარტახებს,

მორფინისტი შვილიც ისე
ოჯახს სპობს და აჩანაგებს.

არაფერი არ დარჩება
შენი ნაშრომ ნაღვაწიდან.
სუყველაფერს მორფში გაცვლის,
გაგაძევებს ქალაქიდან.

დრო არ იცდის, დრო მიფრინავს.
წლები ძალზედ სწრაფად გადის,
ნუ გაუშვებთ იმ დროს ვიდრე,
დროა, დროა , შვილის აღზრდის.

2007

ცხოვრება მართლაც უცნაურია

ცხოვრება მართლაც უცნაურია,
ადამიანის გვერდით მდევნელი,
ზოგის ოცნება ახდენილია,
ზოგის კი მუდამ აუხდენელი.

ბევრი არ არის ისეთი კაცი,
რომელსაც ხალხის ბედი ადარდებს,
თუ კი გაჭირდა თავის ხალხისთვის
დაუფიქრებლად თავს რომ გადადებს.

პირიქით კია, ვისაც განგებამ
არგუნა ფული ან კარიერა,
გაჭივრებული მას არ ადარდებს,
მათი წუხილის ამათ არ სჯერა.

ხოლო ისინი, ვინც უცაბედად
გამდიდრდა რაღაც ძალის განგებით,
ზურგი აქციეს თავის მეგობრებს,
აღარ ადარდებთ მათი დარდები.

გაუტანლობის ავი ბორბალი,
კვლავ დაუნდობლად ბრუნავს და ბრუნავს,
ორად გაყოფილ წუთისოფელში
არა კადრულობს მდიდარი მუშას.

სამწუხაროა, მაგრამ რას ვიზამთ,
ასეთი არის ჩვენი ცხოვრება,
ადამიანებს თვალებს უბრმავებს,
სკამი, სიმდიდრე , დიდი ქონება.

ცხოვრება მიდის, დღეები რბიან,
დრო მიდის უკან მოუხედავი,
როგორც ცხენების ველური გუნდი,
მუსტანგთა ჯოგი გაუხედნავი

და ყველამ ვიცით, რომ ჩვენ ვერაფერს,
წავიღებთ იქეთ გასახარებლად,
აქ ნაკეთები სიკეთე გვრჩება,
უფლის წინაშე გასამართლებლად.

სწორედ ამიტომ, მუდამ გვახსოვდეს,
ჩვენგან რას ითხოვს მაღალი ღმერთი,
ყველაზე მთავარ მცნებად დაგვიდო, გულით
გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი.

სიმართლეს გეტყვით და სხვას არაფერს,
დაიმახსოვრეთ ეს ჩემი რჩევა,
ამ ქვეყანაზე სხვა არაფერი,
სიყვარული და სიკეთე რჩება.

დაიმახსოვრეთ ეს ჩემი ლექსი,
არ დავემსგავსოთ კაპას მეზობლებს,
ტკბილი სიტყვა და თბილი ღიმილი,
მუდამ ვაჩუქოთ ერთი-მეორეს.

2007

ჩემი სოფელი

ორმოცდაათსაც გადავაბიჯე,
აგერ ა უკვე სამი წელია,
ბავშობას ვერა და ვერ ვივიწყებ,
გულის ფიცარზე მაგრად წერია.
მისი ამოშლა არამც თუ „საშლელს,“
თავად სკლეროზსაც არ შესძლებია.

უზრუნველობის ძვირფასი ხანა,
სიხარულის და სიამის მფენი.
გონებას ისე აქვს ჩაბეჭდილი,
ველარ ამოშლის მას ვერაფერი.

ჩემი ბავშობა სოფელში დარჩა,
როგორც სიზმარი, ტკბილი ზღაპარი,
როგორც რამ, ჩემი წილი სიცოცხლის,
მანათობელი დიდი ლამპარი.

რა დამავიწყებს „კოდიყანების“
ველურ ყვავილებს, მოჩითულ ველებს,
ნასახლარებზე შეფენილ ვენახს,
კლდიდან გადმომსკდარ ანკარა ღელეს,

რა დამავიწყებს რიონის გაღმით,
„ლემანეურის“ მთას, მის ბუნებას,
აბობოქრებულ რიონის ტალღის,
უცებ სახეში შეშხაპუნებას,

ცხელ, მწველ ქვიშაზე კოტრიალს,
ჭიდაობას და გართობას,
სახლიდან ჩუმად წაღებულ ღვინით,
ბავშვებთან დათრობას.

რიონის პირას კოლექტივს,
ჰქონდა ხეხილის ბაღები.
მწიფე ატმების ყურებას,
ველარ ვუძლებდით ბავშვები.

შევცვივდებოდით უეცრად,
ამოვივსებდით უბეებს,
გავრბოდით რივნის პირებთან,
ვაშხაპუნებდით გუბეებს.

მეველე ბაკოს ყვირილი,
მდინარის გაღმა აღწევდა,
ცარიელ თოფის ლულას კი
მაღლა ჰაერში ასწევდა.

იძახდა გატენილი მაქვს,
ცარიელი არ გეგონოთ,
თავმჯდომარემაც დღეს, ნება
მომცა პირდაპირ გესროლოთ.

ვიცოდით ბაკო ბაბუა,
თოფს არასოდეს გვესროდა,
ამიტომ მისი მუქარა,
ნანინასავით გვესმოდა.

ზაფხულში, სოფლის ბოლოში,
ვასოს წისქვილთან ვჯდებოდით,
ხან ანეკდოტებს ვყვებოდით,
უფრო ხშირად კი ვმღეროდით.

და მიდიოდა ნელნელა,
ჩვენი ბავშვობის ზაფხული,
ვასილას წისქვილს ღამეში,
ტკბილად გაჰქონდა დგაფუნი,
თან იფქვებოდა დოლაბ ქვეშ,
კოლას და კაკოს დაფქული.

დილით საქონელს გავრეკდით,
მოვედებოდით ველ მინდვრებს.
გვირგვინს ვუწნავდით გოგონებს,
ვუკრეფდით მინდვრის ყვავილებს.

შუადღით, როცა სიცხისგან,
მუხის ჩრდილიც ვერ გვშველოდა,
კვლავ რიონს მივაშურებდით,
იქ გრილი წყალი გველოდა.

როცა მზე გადავიდოდა
და დადგებოდა საღამო,
ივანე კერესელიძის,
სახლის წინ გვქონდა სანახშო.

იქ ვეებერთელა კაკლის ქვეშ,
გრძელ სკამზე ჩამოვჯდებოდით,
თავს ვაწონებდით გოგონებს,
ვინ იცის რას არ ვყვებოდით.

დაღამდებოდა და მთვარეც,
სხივებს მოჰფენდა შარაში.
მოჭედილ ცაზე ვარსკვლავებს,
ყვითლად გაჰქონდათ კაშკაში.

მთვარის სხივები ღამეში,
რაღაც იდუმალს ამხელდა.
ნაზი სიო კი კაკლის ხის,
ფოთლებს საამოდ არხევდა.

თუმც კინკლაობა ვიცოდით,
ვინ რომელს მოვერეოდით,
თუ ვიჩხუბებდით, საღამოს
ჩვენ ისევ შევრიგდებოდით,

მოვეხვეოდით კაცურად,
გადავკოცნიდით ერთმანეთს,
მერე ხელზე ხელს დავკრავდით,
დავივიწყებდით ყველაფერს.

დაიმახსოვრეთ ბავშვებო,
დრო მალე გადაგორდება,
ბავშვობის წლები მეორედ
არასდროს განმეორდება.

იცოდეთ, დრო არ ჩერდება,
არც არასოდეს მოიცდის.
ეხლა ნაკეთებ სიკეთეს,
თქვენ დიდობაში მოიმკით.

არ გინდათ ძველი ბიჭობა,
კაი ბიჭობით ტრაბახი,
ბავშვებისათვის ბავშვობა
არის ყველაზე მთავარი.

არ ღირს მაგ წლების უმიზნოდ,
საქმის რჩევებში გაშვება.
იცოდეთ აღარასოდეს
აღარ ბრუნდება ბავშვობა.

გთხოვთ, რომ გახსოვდეთ, ერთიმეორეს
მტრობით ცხოვრება არ მოუშხამოთ.
მუდამ ეცადეთ კეთილი სიტყვით
ერთმანეთს გული, რომ გაუხაროთ.

2007

მონატრება

ვინც მე მიყვარდა, ვისაც ვუყვარდი,
ბევრი წავიდა, აღარ არიან.
მათი ხმა, მათი თბილი ღიმილი,
აღარ მახარებს კარგა ხანია.

თვალწინ ჩამიფრენს იმათი სახე,
ხშირად მათი ხმაც მომეყურება.
გულს გამიკაწრავს მწუხარე ფიქრი
და მტევანივით დამეწურება.

დიდი ტკივილი, დრომ ვერ განკურნა,
სიცარიელე ვერ ამოავსო.
მათთან განცდილი ტკბილი წუთები,
გონებას ეხლა ტკივილად ახსოვს,

ნურავინ იტყვის დრო მკურნალია,
სისულელეა, ვერა ხვდებიან?
რაც დრო გავიდა უფრო მიყვარან,
უფრო და უფრო მენატრებიან.

მხოლოდ ეს კია, ესეც უნდა ვთქვა,
ასეთი ფიქრი სულ არ მაკვირვებს.
მათი სიკვდილის შემდეგ, სიკვდილი,
აღარ მადარდებს, ველარ მაშინებს.

2008

სამწუხარო რეალობა

სამწუხარო რეალობა---
ხშირად გულში გამკრავს დარდი,
წლები გადის, არ იცვლება
საქართველოს მომავალი.

ისევ ისე, ძველებურად,
ერთმანეთის მტრობით ვხარობთ.
ილიას ხმა კვლავ ჩამესმის:
„რა გითხრათ რით გაგახაროთ.“

თითქოს, „თავიც ჩვენ გვეყუდნის“
და გონებაც კარგად გვიჭრის,
მაინც მშიერ-მწყურვალნი ვართ,
მაინც ლუკმის შოვნა გვიჭირს.

ხარკს ხომ არვის აღარ ვუხდით?
აქეთ მოგვდის დახმარება.
ხელის გაწვდის არ გვრცხვენია,
არ გვაქვს თავმოყვარეობა.

საუკუნე ნახევარმაც,
ვერ შეცვალა ჩვენი ერი.
დავალთ ისე, როგორც მაშინ:
„გაბღენძილნი და მშიერნი.“

„რა გითხრათ რით გაგახაროთ,“?
ისევ გვესმის ძველებურად,
ისევ ჯახირ-ჯახირ მივსდევთ,
ამ ცხოვრებას ჩვენებურად.

კარგს ვერაფერს ვერც მე გეტყვით,
თუნდაც ტყვიაც დამახალოთ.
ან რა გითხრათ გასახარი?
თქვენ თქვით, რითი გაგახაროთ?

2008/01

ეჭვი, შური, მტრობა

ეჭვმა დაშალა ოჯახი.
შურმა მოშალა ძმობა.
მტრობამ ქვეყანა წალეკა,
ხალხს გაუმწარა ყოფა.

რა იქნებოდა არ იყოს,
ქვეყნად ეს სამი სენი?
რა და კვლავ აყვავდებოდა,
სამშობლო, მხარე ჩვენი.

დარდი

დარდი მშვილდია---
ჯერ ისარს,
შიგ გულის წვერზე დაგასობს,
მერე წვეთ-წვეთად დასწურავს,
ვიდრე სისხლს მთლად არ გააშრობს.

2008

გაზაფხულის სიო

გაზაფხულის დილის სიომ დაჰბერა,
მწვანე მდელო შეარხია ნელნელა.
ირგვლივ, გრილი სურნელება მოჰფინა.
ყვავილიდან წამოფრინდა პეპელა.

ნაკადულმა, ნაზად ჩაიჩუხჩუხა,
ყვავილებმა მის წინ თავი დახარეს.
მერე მორცხვად გაუღიმეს ნაკადულს,
გაზაფხულის მობრძანება ახარეს.

იასამნის მელნისფერმა ბუჩქებმა,
ნიავს თავის სურნელება აჩუქეს.
ფრინველებმა მოიღერეს კისრები
და ველ-მინდვრებს მზის ამოსვლა აუწყეს.

გაზაფხულმა ხეხლის ეშხი შეჰმატა.
ვაშლის ხეებს დაებერათ კვირტები,
ალუბლებმა მდელო თეთრად მოჩითეს.
საამურად ჟღურტულებენ ჩიტები.

ირგვლივ დადგა გაზაფხულის სურნელი,
მზე, მთის წვერზე, აბრიალდა ნელნელა.
ატმის რტოებს აუნთიათ კოცონი.
ყვავილებზე დაფარფატებს პეპელა.

2008

აპრილის დილა

მტირალა ტირიფს დაუჩრდილია
ლურჯი მდინარის ერთი ნაპირი,
მდინარის გასწვრივ მწვანე მდელოზე
ათას ფერებად ჰყვავის აპრილი.

მზემ მდინარეში ჩაღვენთა სხივი,
თეთრი ღრუბელი მიცურავს ცაში.
დაუბერიათ კვირტები ვაშლებს,
დევკაცებივით მოსჩანან ბაღში.

მიწას ქარგავენ ანგელოზები,
ბაღში ატმის რტო მშვიდად ირხევა.
ალუბლებს კორდი დაუთოვიათ
ნიავს შორიდან მოაქვს სიმღერა.

ახლად გაფურჩქნულ ვარდის ფოთოლზე
ღამე ნათევი ცვრის ნამი ბრწყინავს.
ღია სარკმელზე ეხლება ტოტი
და ტყის სურნელი შემოაქვს ნიავს.

ზეცას გახედავ, ზეცა კამკამებს,
ძირს ყვავილნარი ამშვენებს მიწას.
რა შეედრება მშვენიერ აპრილს?
განსაკუთრებით აპრილის დილას.

2008

გაზაფხული

აპრილი არის, გაზაფხულია.
ტყეში მსუბუქად დაჰქრის ნიავი,
ტყის პირს კი, გაშლილ მწვანე მდელოზე
ჭრელ-ჭრელ ყვავილებს გააქვს ბრიალი.

იქვე ტყის პირას მოსჩქეფს მდინარე,
მდინარე არა, ანკარა წყალი,
წყლის პირას, ნაზად ჩამოჯდა ქვაზე
და კოკას ავსებს ლამაზი ქალი.

გაზაფხულია, აპრილი გადის,
სულში იღვრება ნაზი სურნელი.
ენა ვერ აღწერს, რასაც განვიცდი.
ბევრი რამ მაინც რჩება უთქმელი.

ირგვლივ ყველაფერს, რასაც კი ვხედავ,
ჩვილ ბავშვს მაგონებს, ახალ ფეხ ადგმულს.
ია ენძელას გადახვევია.
ტოროლა სტვენით უმღერს გაზაფხულს.

მინდა ვიყვირო: მოდით იხილეთ,
რა მშვენიერი არის ცხოვრება.
უკეთესს კაცი სხვას რას ინატრებს?
ახდენილია ყველა ოცნება.

2008

მშვენიერება

შენი თვალების ციმციმი,
შენი უნაკლო სახეო.
გულს ჩამრჩა, ველარ ვივიწყებ
მას შემდეგ, რაც შენ გნახეო.

უფალმა, ღმერთმა ამ ქვეყნად,
შექმნა მშვენება მრავალი.
თუმც ვერსად ვნახე მშვენება,
შენი თვალების სადარი.

არ ვიცი რას შეგადარო,
ცის ვარსკვლავს, თუ ვარდს ბაღისას?
იას სინაზე წაართვი,
ვარდს სურნელება თავისა.

შენმა მშვენებამ, გულს დაღი,
დაასვა მრავალ ყმაწვილსა.
მთელი ამ ქვეყნის სიმდიდრე,
შენს ღიმილადაც არ ღირსა.

მინდა ცის ლაჟვარდს გადარო,
მაგრამ ის შენ ვერ გედრება.
სადაც შენა ხარ ყველაფერს,
ჩრდილავს ეგ შენი მშვენება.

ვინ ხარ საიდან მოფრინდი?
მიწიერს შენ არ ჰგავხარო.
ყველა შენ შეგტრფის, სუყველას
თავის ოცნებად ჰყავხარო.

პირველად გული წამართვი,
მერე კიმთელი გონება,
ხანდახან მაინც მეჩვენე,
გამილამაზე ცხოვრება.

2008

სანდოა კაცი ჭირნახული და მაინც წრფელი
– მურმან ლებანიძე –

ჭეშმარიტებას ამბობს მურმანი,
მას არ სჭირდება დასტური ჩემი
სანდოა კაცი, გაჭირვებაში
გამოწრთობილი და მაინც წრფელი.

შენს თავზე თუ არ გამოგიცდია,
ტანჯვა, ტკივილი და გაჭირვება.
სხვის წუხილს მართლაც ვეღარ გაიგებ,
სხვისი გაგება გაგიჭირდება.

კარგი ნაკვები, ბევრი ყმაწვილი,
თბილი კერიდან, რბილ სკამში ჩაჯდა.
და დაუნდობლად დაიწყეს მყისვე,
საკუთარ ხალხის და ქვეყნის ძარცვა.

შრომით წვალებით, აშენებული,
ზოგს დაუნგრიეს, ზოგსაც წაართვეს,
ბაზრიდან ცემით გარეკეს ხალხი,
ვინც კი რამე სთქვა ყველა დასაჯეს.

არ უფიქრიათ საწყალი ხალხი,
როგორ შესძლებდა თავის შენახვას,
პოლიციელებს უსევდნენ მყისვე
ხალხის ღირსება რომ შეელახათ.

სულ დაუკარგეს ხალხს, რაც გააჩნდა
მცირე იმედი, მცირე ხალისი.
ისედაც, მძიმე ყოფა–ცხოვრება
აქციეს სულმთლად გაუსაძლისი.

ხალხის წუხილი არ შეხებია,
არცერთი წამით მათ ტლანქ გონებას.
რბილ სავარძლებში ჩასხდნენ და
ურცხვად ინაწილებენ ქვეყნის ქონებას.

. .

დიახ --- რაც გვითხრა მურმანმა,
თავის ლამაზი რითმით,
იმაზე ბევრად ბრძნულია,
ვიდრე სჩანს მოკლე სიტყვით.

2008

გაყიდული სამშობლო

შენ მთის მდინარევ---
მწვანე ტყეო---
მთების მშვენებავ.
ასე ტურფა ხარ,
თუ უბრალოდ მე მეჩვენება?
ბევრს თვალს უბრმავებს,
ამ მიწის
და ამ ცის მშვენება,
არ მსურს ამაზე საუბარი,
მათი ხსენება.
ადრე აქ ჩვენ მტერს ვუხვდებოდით,
ხმლებით თოფებით,
ახლა კი,
„ჩვენი ნებით გყიდით,
ნებით გშორდებით“.

რა პასუხს გავცემთ,
ჩვენს ქვეყანას ან
ჩვენს მომავალს?
ვერ გიპასუხებთ
მე პასუხი ვერ მომინახავს.

ქვეყანას რომელს ---
ვახტანგი და დავით მეფე,
გამოგვიზრდია.....
ასე დავკნინდით?
რომ დღეს ჩვენი ტყის
და ჩვენი წყლისთვის,
ვერ მოგვივლია?
ფუ ჩვენს კაცობას,
ლაჩრები ვართ ---
ვხედავ ნამდვილი.
ჩვენ თავზე ქუდი აღარ გხურავს?
გვხურავს მანდილი?

გული მიკვდება,
ქართველობა,
ნუთუ მართლა ასე დაკნინდა?
თავის მთა-ველი
უცხოთ ჩაუგდო
ხელში საჯიჯგნად?

2008

თუ სახრჩობელა სხვისთვის კიდია .....

ჭკვიან კაცს უთქვამს და ეს საკითხი
ძალაში არის ჯერაც.
ვისაც თავისი არ უგლოვია,
ნუ იგლოვებსო ჩემსას.

ასე რად გვიჭირს ადამიანებს
„სხვისი“ დარდის და ტანჯვის გაგება?
სხვის ტკივილს ზოგჯერ უგულოდ ვუმზერთ,
ზოგჯერ საერთოდ არ გვენაღვლება.

თუ სახრჩობელა „სხვისთვის“ კიდია
და თუ ჩვენს კისერს ის არ ეხება,
სხვისი კისრისთვის თავს არ ვიწუხებთ,
სხვისი ტკივილი ჩვენ არ გვეხება.

მაგრამ ერთხელაც ის დროც დადგება,
როცა პირადად ჩვენ შეგვეხება----
მაშინ ის „სხვაც“ ჩვენ აღარ გვიდარდებს,
ჩვენი წუხილიც მას არ ეხება.

და ვცხოვრობთ ქვეყნად ასე უგულოდ.
ჩემი მას.... მისი მე არ მეხება.
ამიტომ არის (ბოდიში მაგრამ)
ბოლოს, რომ ყველას მაგრად გვერხევა.

2008

ნეტავ რანი ვართ?

როცა სამყაროს თვალს გადავავლებ,
მაოცებს მისი მაშტაბი.
მილიარდობით გალაქტიკაში,
მილიარდობით ვარსკვლავი.

ისე მცირეა ეს ჩვენი
პლანეტა გალაქტიკაში,
ვით ერთი ქვიშის ნამცეცი,
ზღვის პირს მოფენილ ქვიშაში.

თუ დედამიწა ისე სჩანს,
როგორც ნამცეცი ქვიშაში,
ნეტავ მაშინ ჩვენ რანი ვართ,
უსაზღვრო გალაქტიკაში?

2008

შენს თავში უნდა იპოვო ძალა

მონად ვერ გაგხდის ქვეყნად ვერავინ,
თუ თავად არ გაქვს სული მონური.
თუკი შენს თავში იპოვე ძალა,
ვაჟკაცური და მართლაც ლომური.

მონად არავინ არ იბადება
(თუნდაც თვით მონის შთამომავალი)
შემდეგ რას იზამ, როგორ იცხოვრებ,
სწორედ ეს არის შენში მთავარი.

ყველაზე დიდ მტერს სხვაგან ნუ ეძებ,
იცოდე თვითონ თავია შენი.
მას უნდა სძლიო, მას მოერიო,
სხვა ვერ გიშველის, სხვა არ ჩანს მხსნელი.

თუკი შესძელი, შენს თავს აჯობე
და თუ დასძლიე შიშის მარწუხებს,
მერე ქვეყნად შენ ვერვინ გაჯობებს
და ვერაფერი ვერ შეგაშინებს.

2008

ჩვენ, რომ შური არ გვახრჩობდეს

ჩვენ, რომ ერთმანეთის
შური არ გვახრჩობდეს,
ჩვენ, რომ ერთმანეთის
სიყვარული გვქონდეს,

ჩვენ, რომ ერთმანეთის
თუნდ დღეს გვქონდეს ნდობა.
მაშინ აბა ჩვენ წინ
რა დაგვიდგებოდა?

რად გვინდოდა მაშინ
სხვისგან დახმარება?
სხვისკენ ხელის გაწვდით
მტრების გახარება?

მაშინ ჩვენი მტერი,
ჩვენს წინ ითრთოლებდა,
ჩვენი ყურმოჭრილი
მონა იქნებოდა.

მაგრამ უგნურებას,
ჩვენსას ვერა ვსძლიეთ.
ამიტომაც მტრისგან
ჩვენვე დავიძლიეთ.

მუდამ ასე იყო,
დღესაც ასე არის.
ჭკუა ვერ ვისწავლეთ,
ცხოვრება კი გადის.

2008

დილის ხუთზე

დილის ხუთზე მშვენიერი ,
ქალი ნაგვის ბუნკერს ქექდა.
შევხედე და შევიცანი,
სამი შვილის ქვრივი დედა.

ღამე ნათევს, ძილ გატეხილს,
მწუხარება გულს უღრნიდა,
მაგრამ სხვა გზა არსად სჩანდა,
(სხვა საშველი არსად იყო)
„სამშობლოს“ სამ ვაჟს უზრდიდა.

თვალზე მომდგარ ცრემლს მალავდა,
გამვლელებს პირს გვარიდებდა,
დაბადებას იწყევლიდა,
თვის გაჩენას აგინებდა.

გამკითხავი არვინ იყო,
მასზე არ სტკიოდათ გული.
მთავრობა თავს იწონებდა,
შადრევნების იდგა ბუმი.

შაკირას საჯდომს შესცქერდნენ
იქ იფლანგებოდა ფული.
„ყვავს რაც ჰქონდა, ბუს გაჰქონდა“
ძალაში რჩებოდა თქმული.

2008

სახელს მე გეტყვით

მარტოდ ზის კაცი გულჩათხრობილი,
მწუხარე სახით ლაჟვარდს გასცქერის.
სურვილი ესე აქვს უცნაური....
თავის თავიდან სადმე გაქცევის.

თითქოს ვილაცამ ჩაუყო ხელი
გულში და გულით მიაბა ბაგას.
უნდა გაექცეს, მაგრამ არ ძალუძს,
გაექცეს თოკის და მაჯის ძალას.

მიმოიხედავს არავინ არის,
არც ბაწარი სჩანს და არც დამბმელი.
მაშ როგორ შესძლეს, ასე უჩინრად,
როგორ მოაბეს გულზე საბელი?

. .

უჩინარია, რადგან შენში ზის.
შიგნიდან გბორკავს ისე გიმონებს.
გულს ისე წურავს, როგორც ჩაიში
წურავენ ხშირად ყვითელ ლიმონებს.

თუ დაგიმონა და თუ გაჯობა,
მერე არსაით არ სჩანს საშველი.
სახელს მე გეტყვით, გვარი არა აქვს,
„დეპრესიაა“ მისი სახელი.

2008

საკუთარ თავს

კაცი იყავი, შენ მახსოვს ერთ დროს,
ეხლა ხეიბარს თუ შეედრები.....
„თავისუფალი“ პატიმარი ხარ,
შენი სახლის და შენი კედლების.

ხელიც ორი გაქვს, ფეხიც ორი გაქვს,
ძალაც გერჩის და გონიც გაქვს სრული,
მაგრამ არავის აღარ სჭირდები,
ორმოცდაათის, რადგან შესრულდი.

პენსიამდე ჯერ ბევრი გიკლია,
(თუმც პენსიაც ვერ იძლევა იმედს)
თავის შენახვა, რომ მოახერხო,
ვინ მოგცემს ძმაო პენსიას იმდენს.

ძმაკაცის ნახვა მოგნატრებია,
სტუმრად წასვლა და სტუმრის მიღება.
ფული აღარ გაქვს შენ, თორემ სხვა მხრივ
ისევ შემოგრჩა ძველი ღირსება.

და კვდები ასე მუდამ ნატვრაში,
კვლავ უფულობა გბორკავს და გახრჩობს.
„თავისუფალი“ პატიმარი ხარ
და დარდი ძველი ჭრაქივით გაქრობს.

ისეთი ფიქრი შემოგეპარა,
თითქოს სინათლის შუქი წაგართვეს,
თითქოს ოთახში ჩაგკეტეს ბნელში
და შენს ოთახთან ერთად დაგმარხეს.

2008

ათას ცოცხალსა ბევრჯერა,
ასჯერ სჯობს ერთ მკვდარია
– ვაჟა –

ვუძღვნი ბადრი პატარკაციშვილის ხსოვნას

ნუთუ ამაო ყოფილა
ქვეყნად სიკეთე ყოველი,
ნუთუ ასეთი მუხთალი,
არის ეს წუთისოფელი?

თუკი სიკეთეს დასთესავ,
შენც სიკეთეს ნუ მოელი.
ბევრი მინახავს „შვილისგან“
მოკვდინებული მშობელი.

დათამ თქვა: ვისაც ჩავაცვი,
იმან გამხადა სამოსი.
მას შემდეგ წლები გავიდა,
ბარე ასი და ასოცი,

მაგრამ, როგორც სჩანს მავანნი
არ იცვლებიან ამ ქვეყნად.
მათ მუდამ გულში ბოროტი
უზით მოყვასის საგესლად.

არ ვიცი რა რას ვადარო,
თუმცა მსგავსებაც სჩანს ნაღდი.
ვისაც ჩააცვი, სწორედ მათ
გაგწირეს, ბატონო ბადრი.

არ დაგიფასეს სიკეთე
შენმა ყოფილმა „გერებმა“,
ასე იციან უბეში
ხშირად გაზრდილმა გველებმა.

ვიდრე კვებავდი ნელ-ნელა,
თავის ცხოვრება აიწყვეს,
როცა მოაკლდათ მაშინვე,
შენი დაგესვლა დაიწყეს.

ვერ დაინახეს სიკეთე,
არ დაგიფასეს ამაგი,
არ იმყოფინეს, რაც მიეც
ის დოვლათი და მარაგი.

შენი სიკვდილით ქვეყანას,
ერთგული გული მოუკლეს.
ქართველ ხალხს კვლავაც იმედის
ერთი მარცვალიც მოუსპეს.

თუმცა ისეთიც ბევრია,
ვინც დაგიფასა სიკეთე.
ყველას ერთ ქვაბში არ ვხარშავ,
მინდა ესეც, რომ იცოდე.

ბევრს შვილი გადაურჩინე,
ბევრს თვით აჩუქე სიცოცხლე.
ამ ამაგს საქართველოში
არასდროს დაგივიწყებენ.

შენი სახელი მათ გულში,
მუდამ კეთილად დარჩება,
მაგათი დამწვარ ფერფლივით
წაიშლება და გაქრება.

. .

შენ შენი ხალხის იცოდი ფასი,
შეგეძლო მათი დარდის გაგება,
სწორედ ამიტომ ვერ აიტანე,
საკუთარ ქვეყნის ფეხქვეშ გათელვა.

ვერ შეეგუე რომ ჩვენი ერი,
უნდათ აქციონ ღატაკ მონებად,
თორემ სხვაგვარად რა გსჯიდა ძმაო,
ფული გაკლდა თუ დიდი ქონება?

ღარიბი ბიჭი უცხო მხარეში,
წახვედი, სხვაგან იშოვნე ფული,
ზოგიერთივით არ გიძარცვია
შენი ხალხი და შენი მამული.

სწორედ ამიტომ საკვირველია
ვინ ვის დასწამა ღალატი ქვეყნის,
რატომ ჰგონიათ მართალა თავად ბრმებს,
ჩვენი ქვეყანა ქვეყანა ბრმების?

რად არ იციან ამ უგნურებმა,
უფლის სიტყვები, რომ ასრულდება
და უსამართლოდ სხვისკენ ნასროლი,
ტალახი მსროლელს დაუბრუნდება.

ყველა სიკვდილის შვილი ვართ ძმაო
ეს ყველას თავზე გარდუვალია,
მაგრამ ვაი მათ ვინც ხალხის თვალში
ჯერაც ცოცხალი უკვე მკვდარია!

2008/03

ჩემი სოფელი „სადმელი“

ლემანეურის მთის ძირში,
„ქვაპტკართან“ ცივი წყალია.
გვერდზე რიონი ჩაუდის,
ტალღებს მოაფრენს მადლიანს.

მარცხნივ ღრუბლებში გაჩრილი,
ლურჯი ვეება მთებია.
მარჯვნივ ჭალაზე გაშლილი,
ვენახები და ზვრებია.

გორაზე შემოფენილა,
ჩემი სოფელი „სადმელი“
რაჭის უბადლო მშვენება,
სიამაყე და სახელი.

ჩემი ბავშობის აკვანი,
ჩემი ოცნების საწმისი
და ჩემი ტკბილი ცხოვრების
სიხარული და საწყისი.

ჰე ფრთა შეისხი ოცნებავ,
ლურჯი ლაჟვარდი გაჰკვეთე.
ბავშობის იმ ტკბილ ოცნებებს
კვლავ გულში ჩამოახედე.

კვლავ ამაფრინე „სონჩხიბზე“
იქედან გადმომახედე.
ჩემს სიყმაწვილეს შემყარე,
ერთხელ კვლავ შემომაფეთე.

კვლავ მაგრძნობინე სამყურა
მინდვრის ყვავილის სურნელი.
დამაკრეფინე ტყეებში,
მჟავე შინდი და კუნელი.

მთვარიან ღამის მინდვრების
სურნელი ისევ მასუნთქე,
ბავშურ ოცნების წუთები,
ერთხელაც კიდევ მჩუქე.

ერთხელაც, თუნდაც ერთხელაც
განმაცდევინე ბავშვობა.
ჩემს ტოლ ბიჭებთან, ჭალაში
ჭიდაობა და ანცობა.

პატარა გოგოს პირველი
თვალების შემონათება,
როგორც უმთვარო ღამეში
ცისკარის ამონათება.

ეჰეე, სად გაჰქრით ბავშობის
წლებო, საითკენ გაფრინდით,
დღეს კი იმგვარად შემომხვდით,
შეხვედრა არც კი დამითქვით.

შეხვედრა არც კი დამითქვით.
ისევ სადღაც შორს გაფრინდით,
გული რა რიგად დამწყვიტეთ,
ამაზე არც კი დაფიქრდით.

2008

გურია

მწვანეში ჩაბუდებული,
ზღაპარი, მწვანე ზღაპარი,
ოცნების საკურთხეველი
და სიყვარულის ლამპარი.

ციტრუსის ნაზი სურნელი,
დაფნის რტოების შრიალი,
გორაკზე კოხტად შედგმული
„კუხნა“ და ოდა მზიანი.

თინა დეიდას „კუხნაში“
ბუხრის წინ ტკბილი ჟღურტული:
--- ნენااا დღეს თქვენმა ჩამოსვლამ,
გამიქრო გულის წუხილი---

უეცრად დაფაცურება,
მარნის კარების ჭრიალი,
ქათმების დაწიოკება,
ჭრელი დედლების კრიახი.

შამფურზე მწვადის აგება,
ბროლის ჭიქების წკრიალი,
მსხლების ქვეშ მრგვალ მაგიდასთან,
ქეიფი ლაზათიანი.

ნუგზარის ტკბილი ხუმრობა,
თამაზის სიტყვა წყლიანი,
ილიკოს წყნარი ღიმილი,
ნუნუს „კუხნაში“ ტრიალი.

თინა დეიდას მშვიდი ხმა
ეხლაც კი ყურში ჩამესმის:
ამ ზაფხულს არსად გაგიშვებთ,
ამ ზაფხულს ჩემთან დარჩებით.

როდესაც სპილოს ძვლის ფერი,
ღვინო თავს შეგვიჯდებოდა,
მამუკა ცეკვას იწყებდა,
ედიკა გვეფერებოდა,

ლეილას სიცილ-კისკისი
მიდამოს ეფინებოდა,
ია კი ისე დაჰქროდა
მიწას არ ეკარებოდა.

პეტია შეგვიკურთხებდა,
რაღათქმა უნდა ხუმრობით.
ასე ხატავდა სიხარულს
ჩვენი მოსვლით და სტუმრობით.

რომანი როცა მოზრდილ თასს
სიამოვნებით დასცლიდა,
მაშინვე ჩემკენ ისროდა,
ამოსუნთქვას არ მაცლიდა.

თუ ბოლომდე არ დავცლიდი,
ხუმრობდნენ სიძე ცრუობსო,
ეგღა გვაკლია გურულებს,
რაჭველმა მოგვატყუოსო.

და იდგა სიცილ -ხარხარი,
სასიამოვნო ხუმრობა,
ნამდვილად ღირდა გურიას,
რაჭველი კაცის სტუმრობა.

ნაღობილევში მეზობლებს
არ სჭირდებოდათ პატიჟი,
ნუგზარის სტუმრები ჰყავსო,
იკრიბებოდნენ თავისით.

როდესაც მრგვალი მაგიდა
ველარ უძლებდა სიმრავლეს,
„კუხნაში“ გრძელ მაგიდასთან,
ჯდებოდა ხალხი მღიმარე.

და იწყებოდა გურული,
სმა, ქეიფი და ხუმრობა.
ერთ რამედ ღირდა იმათი,
სმენა და მათი ყურება.

ერთი მეორის გაკილვა,
სწრაფი პასუხის გაცემა:
ძამა შენ ჭკვიით იყავი
თვარა მოგიწევს გაქცევა.

ძამა ა ილოს ხომ ხედავ,
ეგ ყოლიფერში სხარტია,
ნუგზარის სტუმრის გულიზა
ყანაში თოხი დატია.

ნუგზარი ჩაიცინებდა:
არ გახლავთ საქმე მარტივი,
ყანაში თოხს უღალატო,
სტუმარს მიაგო პატივი.

და გრძელდებოდა სიცილი,
სმა, ქეიფი და ხუმრობა.
მართლაც რომ ღირდა რაჭველი
კაცის, გურიას სტუმრობა.

სულს ისევ მონატრებია,
გურია მწვანე სიზმარი.
თინა დეიდას ფერება,
ღიმილი დაუვიწყარი.

ჩემი თამაზის ბოხი ხმა,
თვალები მშვიდად მზირალი.
ნუგზარის მრგვალ მაგიდასთან
ქეიფი , ყანწის ტრიალი.

2008

უცებ ატირდა პატარა გორა

შავმა ღრუბლებმა ცა გადაფარეს
და ჩამობურეს მთების ფერდები.
მერე შხუილი გაისმა ციდან
და ძირს დაეშვნენ წვიმის წვეთები.

მთელი დღე ქუხდა, ჭექდა და წვიმდა,
მდელოს ალბობდა წვიმის წვეთები.
უცებ ატირდა პატარა გორა,
ღვარებად წასკდა, წყლების ცრემლები.

დაღონდა მუხა, დაღონდა ვერხვი,
ვარდმა მწუხარედ თავი დახარა.
პატარა გორას შერცხვა უეცრად,
მოუნდა თავის ცრემლის დამალვა.

და თითქოს დედამ იგრძნო თავისი,
შვილის წუხილი და შვილის დარდი.
მზემ უცებ ცაზე გასჭრა ღრუბელი
და ღრუბლებს შორის გამოჰყო თავი.

ცრემლი მოაშრო პატარა გორას,
ცრემლი საკუთარ სხივით მოსწმინდა.
და თავის თბილი ნაზი სხივები,
მიდამოს დედურ გრძნობით მოჰფინა.

2008

მთვარის ნათება

მთვარიან ღამის, წვრილ-წვრილ ვარსკვლავებს,
ცა დაეჩხვლიტათ, როგორც საცერი.
და მწვანე მდელოს გადაჰფენოდა,
მთვარის სხივების მშვიდი ნათელი.

მდინარის ჩუხჩუხს, რაღაც ტკბილი ხმით,
ერთვოდა ხეთა ნელი შრიალი.
იყო სიმშვიდე თითქოს საამო,
თანაც მწუხარე და სევდიანი.

კიდეც მატკბობდა, ამავ დროულად
მწუხარე გრძნობებს აღძრავდა სულში,
რაღაც ტკიბლ-მწარე მოგონებები,
დაფარფატებდნენ ჩემს თავს და გულში.

და გამახსენდა, ზუსტად ამგვარად,
ზუსტად ამგვარად, ვიჯექი მაშინ.
დედის კალთაზე მედო თავი მე
და ვოცნებობდი, პატარა ბავშვი.

მაშინ არ იყო ტკბილი და მწარე,
იყო ტკბილი და რაღაც მთლიანი.
დედის ხელები მეფერებოდნენ,
დედის თვალები ალერსიანი.

უცებ ვიგრძენი, ის ტკბილი განცდა
აღარასოდეს განმეორდება.
დედის დაკარგვის, ტკივილი გულში
არ იკურნება, მუდამ გრძელდება.

2008

„ხალხის რჩეულთ“

როს გაჭირვება ხალხს ისე უტევს,
ვით მძლავრი სეტყვა ვენახს და ჯეჯილს.
თქვენ კი შამპანს და მწვადებს მიირთმევთ,
სინდისი ცოტა მაინც არ გქეჯნით?

როდესაც მშიერს, სამოს დახეულს,
ხედავთ პატარებს თვალებ ცრემლიანს.
და თქვენ კი ამ დროს ცხოვრებით ტკბებით,
სულ ოდნავ მაინც არა გრცხვენიათ?

როდესაც უმზერთ თქვენს საკუთარ ხალხს,
ასე დაჩაგრულს და გაწამებულს,
სიამოვნებას როგორ ეძლევით,
როგორ ალაღებთ თქვენს სულს და სხეულს?

თუ ხალხის წუხილს არ თვლით წუხილად,
რაღად უწოდებთ თავს ხალხის რჩეულს?
მათი წუხილი თუ კი თქვენს გძნობებს,
არ ეკარება ეშმაკით ძლეულს?

ხალხი ყოველთვის ყველაფერს ხედავს,
ხალხი იცოდეთ მუდამ ბრძენია.
ხიზილალას, რომ კოვზით მიირთმევთ,
კაცურადა სთქვით, არა გრცხვენიათ?

2008

ასეა წუთისოფელი

ლურჯ მდინარის პირს პატარა
იასამანი ხარობდა.
მშვენებას ჰფენდა მიდამოს ,
გარემოს სურნელს აფრქვევდა.

ყვავილნიც შემოჰფენოდნენ
მინდორ–ველს როგორც მწევარნი,
მდინარე ასაზრდოვებდა
მათაც ამაყად მჩქეფარი.

ყვავილნი ნაზი შრიალით
თითქოს მადლობას ამბობდნენ,
ფრინველნიც კმაყოფილებით
სტვენდნენ და ტკბილად გალობდნენ.

ხარობდნენ, ეპრანჭებოდნენ
დღისით მზეს ღამით მთვარესა,
ცხოვრობდნენ ასე კეთილად
ამ ლამაზ არემარესა.

ფიქრობდნენ: ლურჯი მდინარე
მუდამ მშვიდობით იდენდა,
დაარწყულებდა, ყოველ ჟამს
მათი მშვენებით ილხენდა.

მაგრამ უეცრად გაშმაგდა,
გაშალა შავი ტალღები.
მოსრა გარშემო ყოველი:
ხე, ბუჩქი, ყვავილთ ბაღები,

იასამანსაც აძგერა
ტალღა და წამოაქცია.

გაბრდღვნა, გაპუტა უწყალოდ
ხმელ ჯოხად გადააქცია.

ესაა ჩვენი საწუთრო,
კაცი ბევრს ვერას გაუგებს,
დღეს რომ ვიღაცას ახარებს
ხვალ უცებ მახეს დაუგებს.

2008

უხვსა მორჩილებს ყოველი...

თუმცა სხვადასხვა გვარია,
კაცთა გონი და გულია.
შოთამ სთქვა: უხვსა მორჩილებს
ისიც კი ვინც ორგულია.

მართალაც რომ უხვსა მორჩილებს
ქვეყნად არსება ყოველი.
ორგულიც გიერთგულდება,
შენგან თუ რამეს მოელის.

მე არ მსურს ვინმეს კრიტიკა
და არც აუგად ხსენება,
ვიცი, რომ კეთილდღეობას
ესწრაფვის ქვეყნიერება.

საქმის გარეშე ყოველი
სიტყვა და რწმენა მკვდარია,
ცრუ დაპირების დღეს არვის,
რომ აღარ სჯერა ცხადია.

როდესაც ჩვენს ხალხს ვერ უვლით
გვყავს უამრავი მშიერი,

როს უმუშევრად დაგვიდის
ახალგაზრდა და ხნიერი,

მაშინ რად გვიკვირს თუ ვინმეს
აღარ სურს ჩვენთან ცხოვრება?
სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს,
ეს ყველას მოგვეხსენება.

ცხადია მთელს ჩვენს პლანეტას
ეკონომიკა განაგებს,
იგი ქვეყანას კიდეც შლის
და ხშირად კიდეც ამაგრებს.

თუ გავიხსენებთ საბჭოეთს
და მის საბრძოლო არსენალს,
მსგავსი არ ახსოვს არასდროს
კაცობრიობის არსებას.

თუმცა დაშლისგან ვერ იხსნა,
თავზე დაენგრათ ქვეყანა,
რადგან ფულს ბომბებს ახმარდნენ,
ხალხი მშიერი ეყარა.

საკუთარ ხალხზე ზრუნვაა
ყველაზე დიდი გმირობა
იცოდეთ სადაც თაფლია,
ფუტკარიც სწორედ იქ მოვა.

ჯერ საკუთარ ხალხს უშველოთ,
თუ ქვეყნის შველა გვწყურია,
გვახსოვდეს უხვსა ჰმორჩილებს
ისიც კი ვინც ორგულია.

2008

ცა უსასრულოდ ლურჯი გვაქვს

ცა უსასრულოდ ლურჯი გვაქვს,
ზღვა მჩქეფარე და მზიანი.
წვერით ლაჟვარდებს ეხება
ბახმაროს მთები ზვიადნი.

აქეთ ბათუმი ქათქათებს,
ბრწყინავს ათასგვარ ფერებად,
იქეთ გაგრა და სოხუმი
დგას საქართველოს მშვენებად.

შუაში ფოთი ჩამდგარა,
როგორც ერთგული მაყარი.
მართლაც მშვენება ასეთი,
მხარე მეორე სად არის?

სადარის მხარე მეორე,
ჩვენი სამშობლოს სადარი?

აფხაზეთი თუ გურია,
სამეგრელო თუ სვანეთი,
რაჭა, ლეჩხუმი, აჭარა,
იმერეთი თუ კახეთი,

შუაში ქართლის ველები,
მარჯვნივ ფშავნი და ხევსურნი,
მარცხნივ კი მესხნი ჯავახნი,
ხალხი სამშობლოს ერთგულნი.

რა შეედრება ჩვენს მხარეს,
რას ვინატრებთ, რომ არ გვქონდეს.
ჩვენი ვაზი და ხეხილი
მოვკვდე თუ სხვისას არ სჯობდეს.

თითქოს აქ მართლაც თვით უფალს,
დაუბერტყია კალთები.
აქ დაუცლია თავისი
ბარაქით სავსე თასები.

ეს მშვენიერი ბუნება
ერთურთს იმგვარად შერწყმია,
იფიქრებ ზღვა და ხმელეთი
ერთ ტკბილ სიმღერას მღერიან.

ასეთ მხარეში ცხოვრება
უნდა ჩქეფდეს და ჰყვაოდეს,
ყოველი ადამიანი,
ცხოვრებით უნდა ხარობდეს.

ოცნება უცებ დარდების
ლაბირინთებში გაება,
ამ სამოთხეში რატომ გვჭირს
ამდენი ტანჯვა-ვაება?
ვინ დაგვიბედა სულ მუდამ
გაჭირვება და წამება?

საკვირველია რატომ ვერ
ვახერხებთ თავის შენახვას,
აქ სადაც ჩვენი ქვეყანა,
ჰყვავის ბაღად და ვენახად?

კარტოფილი გვაქვს თურქული,
ხახვიც, ნიორიც მისია.
ხორბალი ამერიკული,
ზეთი და კვერცხიც სხვისია,
ნუთუ ყიდვა და გაყიდვა
არის დღეს ჩვენი მისია?

მუდამ წარსულით ვტრაბახობთ
და თავს ამითი ვიმართლებთ,
თვალს არ ვუსწორებთ დღევანდელ
რეალობას და სიმართლეს.

უხერხულია უბრალოდ
მუდამ წარსულით ტრაბახი,
ალბათ საფლავში სირცხვილით
ბრუნავს დავით და თამარი.

დავფიქრდეთ ნეტავ ასეთი
რა სენი შემოგვეპარა,
რომ საქართველო ვაქციეთ
ჩარჩის და ვაჭრის ქვეყანად.

2008

რომანზე დამთენებია, ფანჯრებში რიბი-რაბუა
რა ზვრები რა მტევნებია ამირეჯიბო ჭაბუა.
– მურმან ლებანიძე –

მეც დამათენდა რომანზე

მეც დამათენდა რომანზე,
მეც ვიგრძენ ძველი ცხოვრება,
არაფერი არ შეცვლილა
დათა აღარ გვყავს მხოლოდღა....

დათა, შენს შემდეგ ძამია,
ვერ ვნახეთ კაცნი ერთგულნი.
ქვიშის მტვერივით მომრავლდნენ,
ყანდურები და სეთურნი.

მართალნი კაცნი ვით შენს დროს
თითებზე დასათვლელია.
დღეს მთავრობაში „ დაბრძანდა „
ბევრი ტურა და მელია.
კაბინეტიდან ყაჩაღობს
წუპაკი სარჩიმელია.

ეჰ, თუმცა დრომ ბევრი იდინა,
კვლავ ისე დარჩა ყოველი,
მართლაც, რომ ბუზებივით შობს
ავ კაცებს წუთისოფელი.

2008

ვართ ჩვენ დავითის შთამომავალნი?

რომ არ გვყოლოდა ჩვენ ის გმირები,
ვინც რომ სიცოცხლე დასთმო თავისი,
არ იქნებოდა არც ბასიანი,
არ იქნებოდა თუნდაც კრწანისი.

რომ არ გვყოლოდა დიდი დავითი
და გულში რკინა, რომ არ გვდებოდა,
ვერ იქნებოდა დიდი დიდგორი.
საქართველოს მზე დაბნელდებოდა.

რომ არ გვყოლოდა შოთა, აკაკი?
რომ არ გვყოლოდა ვაჟა, ილია?
ზოგჯერ კალამი, ძლიერ მახვილზე
უფრო მძლავრი და უფრო დიდია.

ვინც როგორ შესძლო ისე იბრძოლა,
ზოგმა ხმლებით და ზოგმა კალმებით.
და საქართველო ჩვენმა მამებმა
ჩვენ მოგვიტანეს ტანჯვა-წამებით.

ჩვენ კი ვეძგერეთ ვით დასაკლავ ხარს,
ავკუწ-დავკუწეთ ყასბური ნიჭით.
შევდეთ სასწორზე და ნაწილნაწილ
ჩინელებზე და არაბზე ვყიდით.

და სამწუხარო იცით რა არი?
დაბინდული სჩანს წინ მომავალი.
მალე დიდგორზე ფიჩხს ვერ აიღებს
დიდი დავითის შთამომავალი.

2008

სად გვაქ გასაყიდი ჩვენ მიწა და წყალი

ტკბილად მოჩუხჩუხე ბროლის ნაკადულო,
თქვენ ყვავილთა მწკრივნო კალმით დახატულნო,
ჩემო ბაღის ყანავ ნამით დაცვარულო,
მწიფე ბროწეულო ოდნავ დაბზარულო,

ლურჯო ქლიავებო, თხილნო დაბრაწულნო,
ცაში წეროების მწკრივო გაბაწრულო,
ჩემო ქვეყნის მთებო ჩაწნულ-ჩახლართულნო,
ჩემი ოცნებების მზევ და გაზაფხულო,

რიონის პირს თეთრო ვებერთელა ქვებო,
ხევში მორაკრაკე ბინულების წყლებო,
ტყეში დაკლაკნილო ბილიკო და გზებო,
ჭალას გაფენილო ბაღებო და ზვრებო.

წუხელ საშინელი ხმები მომწვდა ყურში,
შენი გასხვისების სურვილი აქვთ გულში,
უნდა გაიყიდოს შენი ტყე და მთები,
შენი მოჩუხჩუხე ბინულების წყლები.

ღმერთო შენ უშველე ამდენ ურჯულობას,
ვწუხვარ, ვწუხვარ, ვწუხვარ მე ჩვენს უგნურებას.
ასეთი რამ მართლაც არ მინახავს სიზმრად.
ნუთუ იმ ტოტს ვიჭრით რომელზედაც ვზივართ?

სად გვაქვს გასაყიდი ჩვენ მიწა და წყალი?
ვაი საქართველოვ მართლა ჩვენი ბრალი.
შეიძლება ისე მიწა გაგვიყიდონ,
რომ ქართველ ერს სულაც არაფერი გვკითხონ?

ეს რომ ღალატია როგორ დაგაჯერო,
ჩემო დაგლეჯილო , ტურფა საქართველო

2008

მზის მადლი

დღეს წვიმამ გამოიდარა
და ცისარტყელა დაწნული,
ცას ისე შემოერკალა
ვით თონეს შოთი ქართული.

მზის სხივი ღრუბლის წვეროზე
შემოჯდა, როგორც პეპელა,
მერე მიწაზე ყვავილებს
გადმოეფინა ნელნელა.

გადმოეფინა ნელნელა
მდელოს უცვალა გუნება,
თბილ ოხშივარში გაჰხვია
მიწა და მთელი ბუნება.

ნაზი ნიავიც მოფრინდა
ააშრიალა ურთხმელი,
ტყიდან მოჰბერა საამო
ველური თაფლის სურნელი.

სიმინდმა თავი ასწია,
ვაშლმა გაშალა ტოტები,
შაშვმა ბუჩქებში დასტვინა
ხელდახელ შექმნა ნოტები.

მზის მადლი იგრძნო ქვეყანამ,
მზემ ირგვლივ სითბო მოჰფინა.
მშრომელი ხალხი, თოხებით
ჭრელ ყანებს შემოეფინა.

2008

არ გამტანნი და ცბიერნი
ილია –

სათქმელი უნდა ბოლომდე ითქვას

დღე როცა ღამეს დაუთმობს ადგილს
და ჩამოდგება ხევებში ბინდი,
როცა გულს უცებ სევდა გასერავს,
როგორც თავის მსხვერპლს ისარი მშვილდის.

ძნელია არ თქვა შენი სათქმელი,
როდესაც გული ვერ იტევს დარდებს,
როცა გონება ვეღარა თოკავს
გულში მოჯარულ უამრავ სათქმელს.

მაგრამ ვაი რომ ხშირად ნათქვამი,
მოჰგავს როდინში დანაყვას წყლისას.
მიუხედავად სათქმელი მაინც,
ვფიქრობ, რომ უნდა ბოლომდე ითქვას.

ვხედავ ქართველებს ხშირ შემთხვევაში,
გვიმზერენ ისე, როგორც ველურებს,
გვრაცხენ იმდაგვარ ხალხად და ერად
ვინც რამეს მისცემს მას რომ ერთგულებს.

რომელთ არ ძალგვიძს არაფრის შექმნა,
მუდამ სხვას შევთხოვთ პურსა და სარჩოს.
ერთი მეორეს, რომ ვებრძვით მუდამ,
ერთი მეორის შური რომ გვახრჩობს.

ვერ გავექცევით ვერსად სიმართლეს,
ვერსად წაუვალთ ის რაც ფაქტია,
მართლაც მუდამ რომ სხვას შევცქერთ ხელში
ეს ხომ დღესავით ცხადზე ცხადია?.

ზოგმა უდაბნო აქცია ბაღად,
ჩვენ კი ბაღნარი გავაპარტახეთ,
საკუთარ თავს რომ ჩვენით ვერ ვირჩენთ,
მსოფლიოს კიდევ ერთხელ ვანახეთ.

მშრომელი ხალხის არ ვიცით ფასი,
მშრომელს და გამრჯეს ჩვენ არ ვაფასებთ.
არ გატანაში, ცბიერებაში,
ვაი რომ დღემდე მრავალს ვაჭარბებთ.

ტაშსაც მათ ვუკრავთ, ვისაც ფეხებზე
ჰკიდია ჩვენი ქვეყნის შენება,
როგორც სჩანს, ალბად კიდევ კარგა ხანს
ჩვენ არაფერი არ გვეშველება.

2008

თავდაპირველად ღმერთმა
შექმნა ცა და დედამიწა
მიწა იყო უფორმო და
უდაბური (დაბადება 1–1,2)

ბრუნავდა მასა,
ჯერაც უფორმო და უდაბური.
არ იყო მასზედ, რამ სახოვანი,
არც უსახური.

ვიდოდა ჟამი –
ჰქროდენ დრონი,
ვითარც ქარები ...
მიწასა ზედა ჯერაც ბნელი
იდგნენ დარები,

იყო პლანეტა უსიცოცხლო,
ღრმა წყლებით სავსე
და სული უფლის წყალთა ზედა
იძვროდა მასზე.

ჰქმნა ნათელი და
გაჰყო ერთურთს დღე და ბნელეთი,
ერთმანეთისგან განაშორა
ზღვა და ხმელეთი,

მორთო, მოჰკაზმა ,
შავი მიწა ყვავილნარებით,
ააჩუხჩუხა მდინარენი
წყაროს თვალებით.

მცენარეები ამოზიდა
წარმტაც ბუნებად,
მწვანე ველებად
და ნაირფერ ჭირნახულებად.
ცაში ფრინველნი,

ხოლო წყალში განასხნა თევზნი,
მიწასა ზედა განამრავლა
ცხოველნი, მხეცნი.

აქცია ღმერთმა ეს ქვეყანა
წარმტაც ბაღებად
და შექმნა კაცი,
ამ ბაღნარში დასასახლებლად.

მისცა ქალი და როგორც წმინდა
გვითხრობს წერილი,
უთხრა: აღავსეთ დედამიწა,
გამრავლდით და იზრახეთო მუდამ კეთილი.

. .

ჩვენ კი სრულიად შიშველ–ტიტველნი
მოვედით მშობელ დედამიწაზე.
აქ დაგვხვდა საზრდო, წყალი, ჰაერი
და ყოველივე რაც დგას მიწაზე.

შემოქმედს სურდა მარად გვეცხოვრა
და სიყვარული გვეგრძნო ღვთიური,
სურდა ყოველდღე გაგვთენებოდა
მშვიდობიანი დილა, მზიური.

უნდოდა ჩვენც რომ გვეცხოვრა ტკბილად,
და ერთად ყოფნით რომ გაგვეხარა,
ჩვენც გვყვარებოდა ერთი მეორე,
ისე ვით უფალს მთელი ქვეყანა.

მაგრამ ვერ ვსძლიეთ ჩვენ, ჩვენს სიხარბეს,
გადაგვებინდა ჭკუა-გონება.

და მოვინდომეთ საკუთრებაში
უფლის ქონების დაპატრონება.

სულ დავივივიწყეთ ჩვენი სიცოცხლე,
რომ იყო უფლის კეთილი ნება.
ვერ მოვიდოდით ამ ქვეყანაზე
თავად შემოქმედს რომ არ ენება.

გამოვიწრთვენით ბოროტებაში,
ზოგი მკვლელებად და ზოგიც ქურდად.
მიწა არ გვყოფნის ფეხის სადგამად
და ზეცა კიდევ არ გვყოფნის ქუდად.

მყის შევუდექით პლანეტის ძარცვას,
გავაპარტახეთ ზღვა და ხმელეთი.
ჩვენი სიხარბით ვაქციეთ მიწა
გაუსაძლისი ვით ჯოჯოხეთი.

ღმერთს არ უნდოდა ჩვენი დაღუპვა,
თუმც ვერაფერი ვერ შეგვასმინა.
ჩვენდა სახსნელად თავისი პირმშო,
ერთადერთი ძეც კი შემოგვწირა.

მაგრამ, როდესაც მან სიყვარულით,
ჩვენ ვერაფერი ვერ შეგვაგონა
ჩვენივე ცოდვა, ჩვენს საზიანოდ
ისევე ჩვენვე ზურგს დაგვაკონა.

და ვგევართ ეხლა იმ წითელ მამლებს,
სხვის საქათმისთვის ერთურთს, რომ ჰკეპენ.
როდესაც მოვა სახლის პატრონი,
მერე ორივეს თავს რომ წაჰკვეთენ.

2008

სიზმრად ვნახე აფხაზეთი

სიზმრად ვნახე აფხაზეთი,
ცა ბროლივით კამკამა,
ზღვის ტალღებზე მოლივლივე
მცხუნვარე მზე თაკარა

თითქოს თავზეც მზე მეხურა,
ჩალის ქუდის მაგიერ.
ირგვლივ ლხინი იყო ყველგან,
ჟღერდა მრავალჟამიერ.

აფხაზი და ქართველები,
ისე როგორც ძველ დროში,
გრძელ ტაბლასთან ისხდნენ ერთად
ბებერ მუხის ჩეროში.

მშვიდობის და მეგობრობის
იცლებოდა თასები
ირგვლივ მშვიდად შრიალებდნენ
ვებერთელა ჭადრები.

მტრობისა და სიძულვილის
არსად სჩანდა ნიშანი,
ყველას გულში მოხვედროდა
აქ ამურის ისარი.

ყველას გულში სიხარული
და იმედი ჰყვაოდა
უფალი კი ამ მშვენიერ
მხარეს მეტად სწყალობდა.

შრიალებდნენ ვენახები,
ციტრუსების ბაღები,

ზღვის პირას კი ზღვას მოჰგავდნენ,
მწვანე ხორბლის, ყანები.

უცებ ციდან სხივს ჩამოჰყვა
ანგელოზი ფრთიანი,
მთელი გულით დაგვილოცა
სუფრა ბარაქიანი.

და გვისურვა სიყვარული
კაცთა შორის მშვიდობა,
გვიდღეგრძელა ქვეყანაზე
ერთად დიდხანს მკვიდრობა.

მერე ისევ სხივს აჰყვა და
როგორც ხდება სიზმარში,
შეერია, გაიშალა,
ლაჟვარდსა და ცისკარში.

გამეღვიძა------
სიხარულით იცით, როგორ დავდივარ?
თითქოს ეხლაც ის პატარა,
თმახუჭუჭა ბავშვი ვარ.

ვიცი, მჯერა, სიყვარული
ჩვენი კვლავ განახლდება.
და სიზმარი ეს სიზმარი
უეჭველად ახდება.

2008

გვიყვარდეს საქართველო

კუშტად შეკრული წარბით,
მჯიღად შეკრული მუშტით,
მშვილდად მოჭიმულ მკლავით,
მგლისებრ ძლიერი მუხლით,

გვჭირდება ერთად დგომა
დღეს, უფრო ვიდრე გუშინ,
რომ მტერმა ჩვენმა ცუდი,
რამ არ გაივლოს გულში.

მტკიცე მომავლის რწმენით,
ხელის ჩაბღუჯვით ძმურით,
ერთი მეორის ნდობით
გაუტეხელი სულით.

ჩვენი ღვინით და პურით,
ჩვენი ყანების ხნულით.

ვაშენოთ საქართველო!
ვადიდოთ საქართველო!
გვიყვარდეს საქართველო,
მუდამ ალალი გულით!

2008

მსურს

მსურს უკაცრიელ კნძულზე სადმე
ავაგო მცირე ბამბუკის სახლი,
რომ აღარ ვნახო ერთი მეორეს,
როგორ მტრობსა და ღალატობს ხალხი.

არ დავინახო ამდენი შური,
ამდენი ბოღმა და უგულობა,
სიტყვაზე კაცის წამოკიდება
და სხვა მრავალი ზღვა უგნურება.

ძალმომრეობით ტკბობა მავანის,
ზურგს უკან თავის მოძმის გაკილვა,
სულ მცირე რამის არ მიტევება,
შურისძიება, უღვთოდ გაწირვა.

დავსახლდებოდი მცირე კუნძულზე,
სადაც ვერ წვდება შური და მტრობა.
მეყოლებოდა ერთგული ცხენი,
ერთგული ძაღლი და ჭრელი ძროხა.

2008

ვინც სამშობლოსთვის ოფლი დაღვარა

ვინც დიდებული შექმნა მუსიკა,
ვინც დიდებულად გარითმა სიტყვა,
ვინც ბეწვის ხიდით ვიდოდა ცისკენ ,
და ვინც ღვთაებრივ სიბრძეებს მისწვდა,

დიდება ყველას ვინც არ დასჯერდა
უკვე დაშტამპულს დიდი ხნის წინათ,

მრავალი ღამე გატეხა ფიქრში
არ გაუხდია ცხოვრება ლხინად.

დიდება იმათ ვინც ხნა და თესა,
ვინც რომ ქვეყნისთვის ოფლი დაღვარა,
ვინაც თავისი ნამუსის ქუდი,
პატიოსანი გულით ატარა.

დიდება ყველას ვისაც მიაჩნდა,
რომ თავის ქვეყნის ვალი ემართა,
ვინაც თავისი შრომით და ღვაწლით,
სამშობლოს რაღაც მაინც შეჰმატა.

მიკიბმოკიბვა არ ვარგა სიტყვის,
სჯობს, რომ სათქმელი ბოლომდე ითქვას,
როდესაც იტყვი ალალად სათქმელს
სწორედ მაშინ აქვს მადლი ამ სიტყვას.

ბევრმა უღმერთოდ ძარცვა ქვეყანა,
ახარა თავის უძღები გული,
მათი მიზანი იყო ჭამა-სმა,
ღვინო, ქეიფი და დიდი ფული.

ვაი მამულო უკეთურები
მძლავრობდნენ ჩვენში, უღმერთოდ გწეწდნენ
და საქართველოს ყოფნა არ ყოფნის
საკითხი ხშირად ეკიდა ბეწვზე.

დღესაც გწეწავენ, დღესაც გლეჭავენ,
დაუნდობლად და ურცხვად გყიდიან
და საქართველოს ყოფნა არ ყოფნის
საკითხი ისევ ბეწვზე ჰკიდია.

2008

რაჭა

ტყის პირს ჩადგმული წისქვილის
დგაფუნი ისმის ღამეში,
ბოგირს გადაღმა ზვინებთან,
ფშვინავს ვეება კამეჩი.

ფერდობზე მოსჩანს სოფელი,
შუქი გამოკრთის ფანჯრებში,
მთვარის სხივები გაბმულან
ტყის მწვანე ტოტთა ბადეში.

მდინარე ლოდზე გადმოსჩქეფს,
მერე კი ველზე იშლება.
მთვარის სხივები ვერცხლისფერ
მდინარის გულში იღვრება.

მშვენიერებამ დამათრო
გამაბა თავის მახეში,
სად ნახავ ამის უკეთესს
მშვენებას, რომელ მხარეში?

ვზივარ და ზეცას შევსცქერი,
ცა ვარსკვლავებით ირთვება.
ფეერვერკს მოჰგავს ღამეში
რაჭის ლამაზი ბუნება.

2008

(ლიდერი)

როდესაც ვუმზერ
კმაყოფილ სიფათს,
გონებას მიღრღნის
ეჭვები მწველი.

არის ეს კაცი
ღირსი იმისა,
რომ ამ კაცს ერქვას
ლიდერი ჩვენი?

2008

ბარტყი

ფრთას აფრთხიალებს
ბარტყი ბეღურის
განავარდება მოუნდა ცაში.
ფრთხილად იყავი პატარა ჩიტო
არ ჩაუვარდე ჭრელ კატას ყბაში.

ხელისუფალის მზერა

ისე მიყურებ თითქოს ეს
მთელი ქვეყანა შენია
და გიკვირს კიდეც,
ზედ რომ დავდივარ
მე რატომ არა მრცხვენია.

ცოდვილ სხეულში

ცოდვილ სხეულში დაბადებულებს
ქვეყნად მოგველის ტანჯვა და ვნება,
თუ ხორცს ვალაღებთ სულია მკვდარი,
თუ სულზე ვზრუნავთ სხეული კვდება.

თავისი ჰგონია

ეს ჩემიაო ------
ესეც ჩემი და ესეც ჩემი.
იმას ხომ ჰხედავ?
ჩემია ისიც-----
რაც მოიტანე ზუსტად იმას წაიღებ კარგო
აქ ყოველივე არც შენია და არცა სხვისი.

2008

„სიბრძნე“

გაცემა მეტი ნეტარებაა ვიდრე მიღება!
გვითხრა იესომ.
რასაცა გასცემ შენიაო!
უმატებს შოთა.

რასაცა შეჭამთ შეგრჩებათო,
გვირჩევს ბეგლარა.
სწორედ ეს „სიბრძნე“ აიტაცა
მთელმა ქვეყანამ.

საზიზღარია

საზიზღარია, დამეთანხმებით
კაცი--- ბოროტის გამკეთებელი,
მაგრამ ორმაგად საზიზღარია,
მისი შემქები, წამქეზებელი.

2008

„ჩოტიღელესთნ“ მახსოვს წისქვილი

ჩოტიღელესთნ მახსოვს წისქვილი,
მახსოვს ჭადრებს ქვეშ ტაბლა დაბალი.
მწვანე მინდორი, ბინულის წყარო
და ამ წყაროში თოხი ჩამბალი.

მახსოვს აქ სოფლის ძველი კაცები,
შრომით და ჯაფით წელში გახრილნი.
მშვილდას, ნიკორას ვეება ქედი
და მოსრიალე გრძელი მარხილი.

ყანებს არხევდა ნაზი ნიავი,
ნიგვზის ხეები მოჰგავდნენ დევებს,
სიო საამოდ ეფერებოდა
ფარჩად გაფენილ მინდვრებს და ველებს.

წამოჯდებოდა მზე მთის წვეროზე
და გრილ მიდამოს სხივებს ესროდა,
ჭადრის ხეების მშვიდი შრიალი
ყურში საამო ზღაპრად მესმოდა.

თითქოს ჰყვებოდა მოხუცი ზღაპარს,
თითქოს ცხოვრებაც იყო ზღაპარი
და მე სამოთხედ მეჩვენებოდა
ჩემი პატარა სოფლის მთა-ბარი.

შემომისვამდნენ ურმის კიჩოზე
და მივყვებოდი მოხუცებს მთაში.
დავკრეფდით სოკოს, მოცვსა და მაყვალს
და მთის ნობათი მოგვქონდა სახლში.

მოგვქონდა შეშაც, ორღობეებში
მოჭრიალობდნენ ძველი ურმები.
ტოტიდან ტოტზე დაფრთხიალებდნენ
ჩიტები სულ მთლად წითელ გულები.

მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა,
დედამიწამაც ბევრი იგორა.
ეხლა ამ ამბავს ისე ვიხსენებ
თითქოს იყო და არა იყო რა.

ეჭვი

ეჭვი მტერია ადამიანის,
ეჭვმა გაძარცვა ოცნება ბევრი.
ბევრ მეგობრობას მოუღო ბოლო,
ბევრს დაუკარგა მან რწმენა წრფელი.

ბევრს გული ორად გაუყო,
ბევრს გადუწურა იმედი,
ბევრს დაუნგრია ოჯახი,
ნაწვალებ-ნაცოდვილები.

ისიც ცხადია ჭეშმარიტ
აზრს, რომ ვერ დაემალები.
კაცის გულსა და გონებას
ვერ ხედავს ჩვენი თვალები.

ზოგს ღიმილი აქვს ისეთი
ვერ ძღები მისი ცქერითა
ენით კი მხეცსაც დააბავს
გველს ამოიყვანს ხვრელიდან.

ძნელია კაცთა ბუნების
გამოცნობა და გაგება,
ხშირად ღიმილით იწყება
ზურგში ლახვარის ჩაცემა.

მაშ რა ვქნათ როგორ გავიგოთ
სხვისი ფიქრი და გულისთქმა?
როდესაც ასე ძლიერ გავს
ფიცი მართლის და მტყუვნისა

არ ვარგა კაცი მოლაყბე
და არც სულ მუდამ მდუმარი
სჯობს ყველგან გამოვავლინოთ
ზომიერების უნარი.

დავფიქრდეთ თუ ჩვენც ეჭვებით
დაგვებინდება გონება,
ჩვენ თვითონ გაგვიჭირდება
ქვეყნად ყოფნა და ცხოვრება.

როცა ეჭვები გვაწუხებს
სჯობს გავარკვიოთ ამბავი,
რომ დარდი გულში არ დაგვრჩეს
ვით ორლესილი ხანჯალი.

ვფიქრობ რომ დიალოგია
ეჭვის მკურნალი წამალი
მშვიდ დიალოგში ვლინდება
ვინ ცრუა და ვინ მართალი.

გვახსოვდეს ეჭვი ადამის
მოდგმის პირველი მტერია.
ეჭვიანობით ცხოვრება
ვაგლახ რომ ძალზედ ძნელია.

2008

ჩემი ცხოვრება ისე გავიდა

ჩემი ცხოვრება ისე გავიდა
რომ მე ცხოვრება ვერ მოვასწარი
ხან იყო ომი, ხან (ცივი ომი)
ხანაც კონფლიქტის მტრობის ხანძარი.

სიბერის პირას უფრო მძაფრად ვგრძნობთ,
დრო როგორ მიჰქრის და როგორ ჰქრება.
თუ რა უგნურად ვცხოვრობთ ამ ქვეყნად
და კონფლიქტებში გაგვყავს ცხოვრება.

ტანჯვა-წამებით მივარღვევთ დღეებს:
ბრძოლებით, მტრობით და ულმობლობით,
ერთი მეორის ჯიბრით ვართ სავსე,
გაუტანლობით და უნდობლობით.

ვერ დავიბრუნებთ გაფრენილ დღეებს
ვერც სინანული ვეღარ გვიშველის
როცა სიკვდილის წამი გაგვკენწლავს,
ჩვენს უგნურებას მაშინ მივხვდებით.

მაშინ მივხვდებით, როგორ შეგვეძლო
ჩვენი ცხოვრების უკეთ წარმართვა.
ჩვენივე ბოღმამ და უგულობამ
ცხოვრების წლები როგორ წაგვართვა.

გვიან იქნება თითზე კბენანი,
დრო გაფრენილი არ დაბრუნდება.
ჩამოჰკრავს ზარი დაუნდობელი
იწივლებს ფიქრი და დადუმდება.

2008

სხვის საფანჯველად მოსული

როცა სხვას დაიმონებდა
ის სწორედ მაშინ ლაღობდა.
სხვისი წუხილით ხარობდა
თავისვე საზიანოდა.

სხვის გასაჭირში მუდამჟამ
თავის სარგებელს ელოდა,
სხვის ტანჯვას არად აგდებდა
თავისვე საზიანოდა.

იხვეჭდა, რაც რომ შეეძლო
ფული მთავარი ეგონა,
ვერა ძღებოდა ქონებით
თავისვე საზიანოდა.

არ გაგიკვირდეთ და იცით
ერთ მშვენიერ დღეს რა მოხდა?
ცოდვილმა გულმა უმტყუნა
საწოლიდან ვერ წამოდგა.

სხვას დარჩა მისი ქონება
თავისვე საზიანოდა.
ის რაც მთავარი ეგონა
მთავარი ის არ გამოდგა.

2008

თამარ მეფის სამეფოში

თამარ მეფის სამეფოში
გორგასალის ქალაქში,
ქართველი დღეს მშიერია
უცხოს გააქვს პარპაში.

სხვა აქ ყველა თავს ისე გრძნობს,
როგორც ცაში ფრინველი.
მხოლოდ მარტო ქართველს უჭირს,
ქართველია მშიერი.

ყიდულობენ ქართულ მიწებს,
შენობებს და დარბაზებს.
უცხოელნი მდიდრდებიან
ქართველი კი ვალალებს.

აქ ქართველი მშიერია
სხვა ქონებას იუნჯებს.
ეწირება საქართველო
ამათ ცოდვილ ბიუჯეტს.

ქართულ მიწას სხვა ჯიში ძოვს
ჩვენ ჩაგვკეტეს ფარეხში,
თანაც ასე უნამუსოდ
მტვერს გვაყრიან თვალებში.

უხერხულიც კია ეხლა
ვისაუბროთ მორალზე,
გაიყიდა საქართველო
ევროზე და დოლარზე.

მალე ფეხის დასადგმელი
არ დარჩება ქალაქში.

ქუჩაში, რომ გავიაროთ
ფულს მოგვთხოვენ მაგაშიც.

დღეს მე ვყვირი
თქვენ რაღატომ დაიდუმეთ ენანი?
ხვალ იქნება ძალზედ გვიან
თითზე მწარედ კბენანი.

2008

გვეშველება რამე?

კომუნისტი ძველებურად ჩვენში,
ძველ დიდებას და ძველ ბელადს შესტრფის.
„დემოკრატი“ საშველს სხვაგან ეძებს,
ის ქვეყნის ხსნას ევროპისგან ელის.

თუმც არსებობს რა თქმა უნდა სხვა გზა,
ეს გზა გადის ოკეანის გაღმა.
ამერიკას გამოვცინცლოთ ფული
ეგებ კატაც დაიჭიროს თაგვმა.

დღეს მილიარდს ამერიკა გვაძლევს,
თავს ვუშველით, შემოვიტანთ ხორბალს.
ხვალ ევროპას შევაბრალოთ თავი
ხალხი არის მათაც გული ხომ აქვთ?

ჩვენ კი აბა რაღად გვინდა შრომა,
რაღად გვინდა ჩვენ მიწა და წყალი?
გავასხვისოთ, სხვამ იშრომოს ძმაო,
სხვამ იფიქროს, სხვამ იმტვრიოს თავი.

მე გავყიდი თურქულ ხახვს და ნიორს
საღამოს კი ალბათ ისევ დავლევ,
ვიდრე დავლევ მაინც მინდა გკითხოთ
როგორ ფიქრობთ გვეშველება რამე?

2008

„უფლის ხატად შექმნილნი“

ვართ სიყვარულით შექმნილნი
უფლის მსგავსად და ხატებად
თუმც სიყვარული ხშირად ჩვენ
სრულიად არ გვედარდება.
ლოცვა მოდად გვაქვს, ვლოცულობთ
ვეამბორებით ხატებსა,
გარეთ კი ერთი მეორეს
მტრულად ვუჩვენებთ ბრჭყალებსა.
სულ მოჩვენებით ვკეკლუცობთ,
ხშირად ცხვრის ქურქი გვაცვია,
გულში კი გვიძევს შურით
და ბოღმით ავსილი კასრია.
ნეტავ თავს რისთვის ვიტყუებთ
ან სხვას რად ვუხვევთ თვალებსა?
როდესაც ჩვენი საქმით ჩვენ
ვდგევართ ეშმაკის მხარესა.
(ჩვენი საქმენი სრულებით
ვერ ჰგავს იესოს საქმესა)
ვცხოვრობთ ორმაგი ცხოვრებით,
ვირგებთ ათასგვარ ნიღაბებს
დავალთ ცოდვილნი ცოდვილად
ამ ცოდვილ დედამიწაზე.
ღმერთად სიმდიდრე გვიცვნია,
ფული და დიდი ქონება.
სიყვარულისგან შორს არის
ჩვენი გული და გონება.
ჩვენი ურწმუნო რწმენით ჩვენ
რწმენას ვიშენებთ ქვიშაზე,
უფლის ხატებად შექმნილნი
წარვსდგებით უფლის წინაშე.

2008

იგავი უგნურ ყინვაზე

ყინვა ვეება ლოდზე შემოდგა,
გადაიგრიხა თეთრი ულვაში
და მსგავსად მისად, (რიგ შემთხვევაში)
ვინმე უგნური ხელისუფალი.

წამოიზვირთა და ნაცრისფერ მთებს
ვით სპასალარმა მოავლო თვალი,
სოფლის ყანებში დათესა სუსხი,
მინდვრებში დარგო მძვინვარე ქარი.

ყინულის ფრთები გაშალა მყისვე,
შემოიფრინა მთის მწვერვალები,
შემოუჭედა ვერცხლით გვერდები,
გადაუთეთრა ზორბა თავები.

მდონარე თეთრი ჯაჭვით შებორკა
ნაკადულების შეწყდა ჩუხჩუხი.
თითქოს ქვეყანას დაეპატრონა
ვეებერთელა თეთრი ურჩხული.

შეწყდა ფრინველთა ტკბილი ჭიკჭიკი,
დადუმდა ხეთა ფოთოლთ შრიალი,
აღარ ისმოდა შაშვის გალობა,
არც ტოროლების ხმების წკრიალი.

ყველაფერს თავის ძალა უჩვენა,
ძალა სასტიკი ძალა უხეში,
არ გაახარა ტყეში ნადირი
აღარ დატოვა ჩიტი ბუდეში.

იყო სასტიკი, თანაც უხეში,
ყინულის გული ედო უბეში
მოზრა, გაყინა მთელი ქვეყანა
წვეთიც აღასად დარჩა გუბეში.

გააჩნდა ძალა და ამიტომაც
არვის წინაშე ქედს არ იხრიდა,
ჭკუა კი მართლაც რაღად უნდოდა,
ჭკუას მართლაც რა თავში იხლიდა?

ჭკუას მართლაც რა თავში იხლიდა
როს ფეხქვეშ ედო მთები და ჭალა.
და ვერც კი ჰგრძნობდა ძალის წინაშე,
მუდამ არსებობს კიდევ სხვა ძალა.
როდესაც თავი იგრძნო ხელმწიფედ
და აბობოქრდა, როგორც მორევი,
როდესაც ქვეყნად არვინ ეგონა
თვისი მძლეველი, თვისი მომრევი.

სწორედ ამ დროზე ცაში გაიხსნა
რუხი ღრუბელის ერთი კულული
და მზემ ზეციდან გამოისროლა
თავისი სხივი, როგორც შურდული.

ოჰ საოცრებავ ეს ჩვენი „გმირი“
ჯერ შიშისაგან სულ მთლად გათეთრდა,
მერე ჩამოდნა, როგორც სანთელი
და ობოლივით მწარედ აცრემლდა.

ემწარა მარცხი, თუმც კი ვერ შესძლო
მან მზის წინაშე ბრძოლის გამართვა
და რასაც სწორედ სხვისთვის ცდილობდა
ზუსტად იგივე მას დაემართა.

დამწუხრებული, დამცირებული,
ზლაზვნით ფეხზე ძლივს წამოიმართა
და შერცხვენილი, როგორც მოვიდა,
ზუსტად იმავ გზით შინ გაემართა.

. .

მე ეს ამბავი ჩემს ბავშობაში
მამამ მიამბო და მითხრა ასე:
წუთისოფელში ბევრი სიძნელე
შეგხვდება შენი ცხოვრების გზაზე,

მაგრამ თუ მოხდა, უცებ გამდიდრდი,
დავუშვათ უცებ იშოვენე ფული
იმ ყინულივით არ დაგემართოს
არ გაგეყინოს შენც მისებრ გული.

მუდამ გახსოვდეს მშრომელი ხალხი,
სიღარიბის დროს ვინც გვერდში გიდგა.
თორემ შენც ისე დაგემართება,
რაც უგნურ ყინვას დამართა სხივმა.

თან დაუმატა: ესეც იცოდე
არ დაივიწყო შენ ეს მცნებაო,
თავდაჯერებულ, ამპარტავან ხალხს
იმ ყინვის ბედი არ ასცდებაო.

2008

მომავალი ჩვენია?

უკვე დიდი ხანია,
ძველ სიმღერას ვმღერივართ:
აწმყო თუ არა გვწყალობს
მომავალი ჩვენია.

თუმც იმედი კარგია,
გულს მალამოდ ედება,
მაგრამ მომავალი ხომ
მყოობადით შენდება?

. .

მყოობადს შავი ნისლი ჰბურავს,
შავ ნისლშია ჩაძირული.
მომავალიც აწმყოსაგან
არის მწარედ განწირული.

ვიღას ახსოვს მომავალი
აწმყო გვკლავს და აწმყო გვახრჩობს.
ოჯახისთვის შორს გახიზნულს
მშობელს შვილი ვეღარა სცნობს.

ბევრი ბავშვი მშობელ დედას
ვეღარ ხედავს სიზმარშიაც,
დედა ცრემლს ღვრის უცხოეთში
სხვისი ნიფხვის რეცხვაშია,
თან შიში აქვს არ გაუგონ
რომ ის არალეგალია.

თორემ იცის რომ შიმშილი
არ ასცდება იმის ოჯახს,
სახელმწიფო კრედიტებში
გაუყიდის კუთვნილ ოდას.

ერთი მათაც მოუსმინეთ,
ვინც უწყალოდ გაიწირა
უცხოეთში გახიზნულმა
მშობელიც ვერ დაიტირა.

დაიგლიჯა საქართველო,
დაიფანტნენ ქართველები,
მთავრობაში ჩამოგვიჯდნენ
გაიძვერა მმართველები.

გაგვიფრინდა ოცნებები,
გაიძარცვა იმედები.
მშობლებისგან უპატრონოდ
დარჩნენ ჩვენი პატარები

ასეთ დღეში არ ვყოფილვართ
თვით მონღოლთა ტყვეობაში
საზღვრებს შიგნით მშივრები ვართ,
საზღვრებს გარეთ მონობაში.

თავზე მადგას ჯალათივით
ფიქრი შავად დანისლული,
დასაკლავი მოზვერივით
გვაქვს სამშობლო გაყიდული.

რაღა დაგვრჩა რომ დავფიქრდეთ,
საბრძოლო და დასაცავი?
თუ მამულში უკვე ჩვენი
არც მიწაა, აღარც წყალი?

გასარკვევი სწორედ ეს გვაქვს,
რატომა ვართ ასეთ დღეში
შიდა მტერი, გარე მტერი,
აირივნენ ერთმანეთში.

2008

ჯერაც მაშინ

ჯერაც კიდევ ვახტანგ მეფე
საქართველოს ელჩს და დესპანს,
საფრანგეთში აგზავნიდა
აბარებდა მხოლოდ ერთსა:

ლუდოვიკოს გადაეცი
ჩვენს იმედს და ჩვენსა მხსნელსა,
ურჯულოსგან დაგვიფაროს
განგვარიდოს განსაცდელსა.

ლუდოვიკოც ღირს ჰყოფდა და
მოუსმენდა საბა–სულხანს,
წარბს შეჰკრავდა: თავს გასულან
მე ვასწავლი მაგათ ჭკუას.

ხელს მოხვევდა მეგობრულად
მიითვლიდა ქართულ ძღვენსა,
სიტყვით მკაცრად შერისხავდა
საქართველოს დამჩაგვრელსა.

საბას გულში მოხვდებოდა
მეფის სიტყვა უშფოთველი,
საქმე?
საქმე არსად სჩანდა,
დაპირება იყო ბევრი.

. .

წლები უხვად მიიწურა
არ შეგაწყენთ მე თავს თხრობით,
საქართველოს ისევ უჭირს
კვლავ საფრანგეთს მიდის თხოვნით.

ეხლა სარკოზს ევედრება,
იქნებ სთხოვოს ევრო საბჭოს,
„ერთ მორწმუნე კაცთ მოძულე“
რუსეთისგან დაგვიფაროს.

ძღვენი იქეთ აღარ მიაქვს
აქეთ ითხოვს ფულს და ძღვენსა,
აფხაზეთს თუ ვერ ვიბრუნებთ
დროებით ხომ ვითბობთ ხელსა?

ჰოდა ბევრსაც ნუ მოვითხოვთ
ვიყოთ უფრო გაგებული,
ჩვენ ხომ ჩვენი პოლიტიკა
თხოვნაზე გვაქვს აგებული.

რუსეთი ამ ომის შემდეგ
ფინანსებში გაიჭედა.
ჩვენ „საქმე გვაქვს აწყობილი“
მილიარდს გვაძლევს ევროპა.

მილიარდსაც ამერიკა
მოგვცემს სწორედ იმის ფასად,
რომ მონურად ვუერთგულოთ
არ გავიქცეთ მისგან არსად.

ნუთუ ის დრო არ დადგება,
არ დადგება ის დრო ოდეს,
ჩვენი საკუთარი თავი ჩვენ
თვითონ რომ გვეკუთვნოდეს?

სხვის იმედათ ყოფნა არის
ლაჩრის წესი, ლაჩრის ჩვევა.
დამერწმუნეთ, რომ ტყუილად
სხვა არაფერს არ იძლევა.

უცხოეთის ხელში ცქერით
პრობლემა ვერ დაიძლევა.
წლები გადის, სასიკეთოთ
არაფერი არ იცვლება.

თუ ჩვენ ჩვენს თავს არ მივხედეთ
ვერ გვიშველის სხვების ფული
და დავრჩებით სამუდამოდ
სხვებზე დამოკიდებული.

ღმერთო იმ დღეს მოგვასწარი
ჩვენ მოგვყავდეს ჩვენი პური.
აგვარიდე მომავალში
ხელ გაწვდილი სიარული.

მინაწერი

ან იქნებ მართლაც არ არის ღირსი
ის ბარაქიან მთისა და ველის,
ერი, რომელიც პურსა და სარჩოს
მუდამ სხვა ქვეყნის ხელიდან ელის.

2008

გვირჩევს უფალი

მიუტევეთო გვირჩევს უფალი,
გიყვარდეთ თქვენი მტერი,
შურისძიება არის ადვილი,
მიტევებაა ძნელი.

გიყვარდეთაო ერთი მეორე
გვმოძღვრავს კაცთ მოდგმის მხსნელი.
სიძულვილიო არის იოლი,
სიყვარულია ძნელი.

ამაყ მზერას კი მუდამ სჯობია
მშვიდი ღიმილი, წრფელი.
ამპარტავნობა არის იოლი,
თავმდაბლობაა ძნელი.

გინდ ჭორიკანა ადამიანი,
გინდ გესლიანი გველი.
სხვისი გაჭორვა არის ადვილი,
სხვისი კრიტიკა არის იოლი,
საკუთრის სმენა ძნელი.

მლიქვნელს დიდება არ დაჰკლებია,
მლიქვნელს სალამი მეფის,
მლიქვნელს ცხოვრება ჰქონდა ადვილი,
მართალს ცხოვრება ძნელი.

ამიტომ არის სწორედ იესო
ქვეყნიერების მხსნელი.
სიმართლისათვის დასთმო სიცოცხლე,
სიყვარულისთვის დასთმო სიცოცხლე.
გზა აირჩია ძნელი.

2008

იესო

ქვეყნიერების შექმნისას
გვერდში ედექი მამასა,
ხარობდი როს იეჰოვა
თიხიდან ძერწდა ადამსა.

შენ იყავ პირმშო პირველი
და ნახე ქვეყნად რაც ქმნილა,
სამყაროში რაც შეიქმნა,
შენს გარეშე არ შექმნილა.

არ გაკლდა ცაში დიდება,
სამყარო ფერხთით გეფინა,
მაგრამ ქმნა მამის ნებისა
ქვეყნად ყველაფერს გერჩივნა.

მამის ნებისებრ განკაცდი,
მიწაზე მოხველ ზეციდან,
დასთმე დიდება, რომ კაცნი
გეხსნა სატანის ხელიდან.

განკაცდი თუმცა იცოდი
ქვეყნად რა ტანჯვაც გელოდა,
მაგრამ სიძულვილს სიკეთით
დასძლევდი მტკიცედ გჯეროდა.

ცოდვილ კაცთათვის ეწამე,
ისე ვით მამას ენება,
სიკვდიდლის მარწუხებიდან
დაიხსენ ქვეყნიერება.

არ შეუშინდი განსაცდელს.
ჩვენს დასახსნელად ილოცე,
ტანჯვით და გვემით გვიხსენი,
დასთმე უმწიკლო სიცოცხლე.

2008

საქართველოს მომავალს გვიყვარდეს ჩვენი ბუნება

ეს საოცარი ბუნება,
მშვენებით განუზომელი
თუ ვერ შეიგრძენ, სხვაგვარად
ვერ შეგაყვარებს მშობელი.

გახედე მთების მწვერვალებს,
როგორ ამწვანებს აპრილი.
რა რიგად შვენის მწვანე ტყეს
მდინარის ლურჯი ნაპირი.

ნახე ამ ციცქნა ყვავილებს,
როგორ უქარგავთ ველები.
რა ტკბილად აშრიალებენ
ფოთლებს ვეება ხეები.

შეხედე იასამანიც
რა საამურად ირხევა,
ცა ვეღარ იტევს სილურჯეს
და მწვანე ტბაში იღვრება.

სიომ მოჰბერა ჭალაში,
ფრთა გაუშლია ნიავსა,
ენძელა ეჩურჩულება
მორცხვად თავდახრილ იასა.

ტოროლა ცაში ფრთხიალებს,
ცხვარს მირეკავენ მწყემსები,
ბანებზე ბუდეს აგებენ
კუდმაკრატელა მერცხლები.

შეხედე დატკბი შეიგრძენ,
ირგვლივ მშვენება ყოველი,

თორემ სხვაგვარად მას ნაღდად
ვერ შეგაყვარებს მშობელი.

დაფიქრდი მაღალმა ღმერთმა,
რა რიგად შექმნა ქვეყანა,
რომ შემდეგ ადამიანებს
მშვენიერებით გვეხარა.

მაგრამ იცოდეთ ბუნებას
კაცისგან ზრუნვა სჭირდება,
რადგან ბუნების გარეშე
ცხოვრება გაგვიჭირდება.

წარმოიდგინეთ ბუნება:
უტყეოდ, უწყლოდ, უბაღოდ,
მაშინ ქვეყანა იქცევა
გაპარტახებულ უდაბნოდ.

გახსოვდეთ ამას არ შველის
მარტო წერა და მარტო თქმა,
სჯობს არ მოვექცეთ ბუნებას,
როგორც სპილო და მარტორქა.

ვეცადოთ ჩემო კარგებო
დავრგოთ ნერგები მრავალი,
რომ მუდამ მწვანედ ყვაოდეს
ჩვენი სამშობლოს მთა–ბარი.

2008

საზიზღარია

საზიზღარია! წარბ შეუხრელად
სიცრუით როცა გვმოძღვრავს მავანი,
მაგრამ პირდაპირ გეტყვით რაცაა
ამ სისაზიზღრის არსი მთავარი.

თავს ვეღარ ვჯობნი,
ბრაზს ვერ ვიოკებ.
მაქვს მწუხარებით გული აღვსილი,
როდესაც ვუმზერ ტაშს როგორ უკრავს
ამ თახსირს მასზე დიდი თახსირი.

ძალიან ხშირად მსმენია

ძალიან ხშირად მსმენია
სიმართლის მთქმელი გიჟია:
თუ გინდა დიდხანს იცოცხლო
სიმართლე არ თქვა ბიძია.

ვინც თქვა პირველად ეს აზრი
ვეჭვობ რომ იყო ლაჩარი.
ტკბილ ტყუილს მუდამ გერჩივნოთ
მწარედ ნათქვამი მართალი.

შენ ცხოვრება მიგყავს ისე

შენ ცხოვრება მიგყავს ისე
არ აგცდება ბოლოს ციხე,
ვინც ჯერ კიდევ გიკრავს ტაშსა
მალე ისიც გესვრის ლაფსა.

რაც არ უნდა კარგად მალო
ვერ დამალავ შუბს ხალთაში.
დღეს თუ არა ხვალ, იცოდე
დასრულდება ეგ თამაში.

2008

სიმართლის მთქმელი ჯვარს აცვეს ბევრი

სიმართლის მთქმელი ჯვარს აცვეს ბევრი,
სიმართლე არც დღეს ბევრს არ გაუვა,
მაგრამ სიმართლე უნდა სთქვას მაინც
თუ კაცია და ქართველი თუა!

ილია ტყვიით განვგმირეთ ———
გალაქტიონი დავშხამეთ ———
ტიციანს ვწამეთ ღალატი ———
ვაჟა ქალამნით ვატარეთ ———

თუ ვინმე კაცად ვარგოდა
ყველა ჯვარს ვაცვით, ვაწამეთ.
უნიჭოება ვადიდეთ,
უნამუსობა ვამრავლეთ.

ვინც ხელის გულზე უნდა გვყოლოდა
იმათ ჩავეცით გულში მახვილი.
და ამიტომაც ვართ დღეს მავანთან
ნირწამხდარი და თავებ დახრილი.

2009

მუხის დარდი

ხემ ხეს შემოჰკრა ტორი,
მტვერი ავარდა ცაში,
ფოთლები მოსწყდნენ ტოტებს
შეინავარდეს ქარში.

თავს ვერ იმაგრებს ხეზე
კომში, მსხალი და ვაშლი.
კაკალი ცვივა ხშირად
ღობე მორღვეულ ბაღში.
ღორებს დაუდგათ ლხინი,
შეწყვიტეს გორვა ლაფში.
ორღობეებში ერთურთს
მწკრივად ჩაუდგნენ კვალში.

ქარი კვლავ ბერტყავს ხეხილს
მუხა ტოტს იცემს თავში,
ქარმა ამ ჩემს რკოს სულმთლად
დაუკარგაო ფასი.

2009

წვიმა რაჭაში

გაზაფხულის წვიმა თავზე
თქეშს მაღვრის ,
აწვიმს რაჭას და
სადმელის ზვრებს აწვიმს.

რიონი ჩქეფს,
რიონს გააქვს ხმაური,
ლერწებსა შლის
ვაზი მუჯურაული.

ცისარტყელა, მთის
წვერს გადაეგრიხა,
წვიმას თითი
დაუქნია ზეციდან.

უცებ შეწყდა, ციდან
წვიმის შხივილი,
ჩიტუნებმა მორთეს
ჟივილ–ხივილი.

რაჭის ტყეებს
წვიმამ პირი დაბანა,
რუხ მთებს მწვანე
ფარჩა გადააფარა.,

2009

იქნება მართლაც კარგათ გვაქვს საქმე?

იქნება მართლაც დავბრმავდით ყველა
იქნებ წაგვერთვა ჩვენ თვალის ჩინი
იქნებ დავკარგეთ ჭკუა–გონება
იქნებ აღარ გვაქვს უნარი ფიქრის?

იქნებ ვერ ვხედავთ, როგორ „დავძლიეთ“
ის ჩვენი ძველი ყოფა მუხთალი
იქნება კიდეც შესრულდა, რასაც
დაგვპირდა ჩვენი ხელისუფალი?

იქნება მოვსპეთ უმუშევრობა
იქნებ შევქმენით დიდი ქონება
იქნება ხელიც არ გვაქვს გაწვდილი
იქნებ ავაწყვეთ კიდეც ცხოვრება?

იქნება უკვე ისიც შევძელით
(იქნება უკვე ისიც გვეღირსა)
კომუნალური გადასახადი
გვაქვს შემოსავლის შესაფერისად?

იქნებ ვაჩვენეთ ოსებს, აბხაზებს
როგორ შევასხით ფრთა ჩვენს ოცნებას?
და საქართველოს ყოფა–ცხოვრება
გავუთანაბრეთ თითქმის ევროპას.

მაგრამ ვაი რომ ეს ყოველივე
რჩება ოცნება, ტკბილი სიზმარი –
და ძველებურად წარბშეუხრელად
„ გვმოძღვრავს“ კვლავ ჩვენი ხელისუფალი.

2009

შარიშურობს არემარე

შარიშურობს არემარე,
შეხვევია ღობეს ბარდა,
ეხლა სახლში ჯდომა ალბათ
დანაშაულია მართლა.

ხეზე ჩიტებს დღეობა აქვთ,
ერთ რამედ ღირს მათი ნახვა
იამ პირი დაიბანა,
ტყემ ჩაიცვა მწვანე ფარჩა.

კაკლის ჩრდილი–
მწვანე მდელო–
და რაკრაკა ნაკადული:
გაზაფხული მობრძანდება,
მოდის მწვანე გაზაფხული.

2009

ორი უკიდურესობა

კაცს ვისმეს, არ სურს მოკვდეს რიგითად,
როგორც იტყვიან, ნაწილად „ტალპის“
საკუთარ ცოლ–შვილს დასთმობს, ოღონდაც
თავზე მოირგოს გვირგვინი დაფნის.

ხოლო მეორეს სულ არ ადარდებს,
სახელ– დიდება——
შრომა, შენება!
ფიქრობს ჭამის და დალევის გარდა,
სხვა არაფერი მას არ შერჩება.

წლები გაივლის, წუთისოფლიდან ,
რიგი წავა და რიგი დარჩება,
მაგრამ ქვეყანას მათგან არცერთი,
ვიცი არასდროს გამოადგება.

2009

* * *

ერთი ვინმე წვალობდა და
თითქოს სიმართლესაც წერდა
ქარავანი მიდიოდა,
ძაღლი თავისთვისა ყეფდა.

ბევრს მსჯელობდნენ,
ზოგჯერ ალბად,
სიმართლეც კი ითქმებოდა,
არაფერი იცვლებოდა———
ყველაფერი ბოლოს მაინც,
ძლიერ ყბაში ინთქებოდა

2009

ისევ ოცდაათი ვერცხლი ?

ხილი?
ხილი ძვირფასია.
თუმც სიმართლეც უნდა ვსთქვათ,
ვაზთან ყველა ხილი სტყუის,
როგორც ბუზი ფუტკართან.

ღვინოს სმენ და
ამერ–იმერ
ტკბილი ჰანგი გაისმის.
თვით იესომ,

სწორედ ღვინო,
შეადარა თავის სისხლს.

ჩვენ კი ვჩეხავთ,
ვაზს .....
და უფალს,
წმინდა სისხლი, სწვეთავს მკერდში.
ხომ არ მოგვცა,
ამ საქმეში,
ვინმემ ოცდაათი ვერცხლი?

2009

ხომ არ დავბრმავდით?

რუსთველის მსგავსად ვერ გეტყვით შაირს,
ვერც ილიასებრ ვერ გეტყვით სიბრძნეს.
მაგრამ მე მაინც გეტყვით ჩემს წუხილს,
რაც სულს მიწამლავს, რაც გულს მიმძიმებს.

დიდი ხანია არ გვყავს ილია,
ივერთა თვალის ჩინი, სინათლე.
მაგრამ ვინმემ ხომ უნდა ვსთქვათ დღესაც,
მტკივნეული და მწარე სიმართლე??

ეხლა ჩვენ გვმართებს თვითონ ავანთოთ,
ამ უკუნეთში მცირე ლამპარი ,
უთხრათ ქართველ ხალხს, მტკიცე სიმართლე,
უთხრად ქართველ ხალხს, მწარე მართალი.

თორემ იმგვარად მიდის ქვეყანა
საჭე უპყრიათ იმ ძალებს ხელში,
სულ მალე ქართულს ვერ გავიგონებთ,
ველარ ვიპოვით ქართველ კაცს ჩვენში.

ბევრი ქართველი საზღვრებს გავიდა,
საჯიშე ბიჭნი ვხოცეთ ცხინვალში,
თავის დროზე, რომ არ ვთქვით სიმართლე,
დამნაშავე ვართ ყველა იმაშიც.

ნიშნიანიძემ როგორც თქვა შოთამ,
თუ ბარიკადზე დგახარ პოეტი,
არ აარიდო სიმართლეს თვალი,
არ აარიდო ცხელ ტყვიას მკერდი.

თორემ ჩვენივე ბედოვლათობით,
გაგვიპარტახდა მთლად საქართველო,
და ყველაფერზე თვალის დახუჭვით,
ხომ არ დავბრმავდით ერო ქართველო?

2009

* * *

გუბაზ სანიკიძემა სთქვა,
სიტყვა მართლაც გონიერი:
თუკი ირგვლივ შენს ხალხს უჭირს,
ვერ იქნები ბედნიერი.

გააჩნია ჩემო გუბაზ,
ვინ სად როგორ ,
და ვინ ვისთვის,
ბევრი დღესაც, ისიც ჩვენში,
სწორედ იმისათვის იღწვის,

რომ გაგვძარცვოს დაგვიმონოს,
არ გვაღირსოს შუქი დილის,
დაგვიმტკიცოს, ფასი არ გვაქვს,
მისი ფეხის ერთი ბფრჩხილის.

2009

ჰქრება იმედი

ჰქრება იმედი, რწმენა მომავლის
ოჰ ეს საწუთრო ფუჭი და ყალბი,
გაყიდულია სამშობლო სრულად
მიწაწყლით, ზეცით, ზღვითა და ხალხით.

ირგვლივ სიცრუე მეფობს, მძვინვარებს,
დიდებას იხვეჭს ცვედანი–მრუში,
პატიოსნება ხან იყიდება
ხან ბარტერულად იცვლება ფულში.

2009

მინაწერი ფიროსმანის სურათზე

ჩარჩი თუ ვერ გცნობს,
ნუ სწუხარ
და ნურც კი გაგიკვირდება,
გენიოსების, შეცნობას ,
გენიოსობა სჭირდება.

2009

ვერ შეედრება

ვფურცლავ ჰიუგოს —
მაინ რიდს თუ
ვფურცლავ სერვანტესს.....
ვაღიარებ, რომ მათ მსოფლიოს
უდიდესი განძი შეჰმატეს!

მაგრამ მე გეტყვით
ჩემს აზრსა და ჩემს სიტყვას მართალს,
ვერ შეედრება სიბრძნით
ამ ქვეყნად ვერაფერი
ჭაბუას „დათას“.

2009

ტურფა შინაბერა

ანგელოზივით მოხვედი ქვეყნად
ღმერთმა გიბოძა ყველა მშვენება.
ჩვენს კოხტა სოფელს ისე შვენოდი,
ვით მინდვრის ყვავილს, ნაზი პეპელა.

კაბის შრიალით, სიცილ–კისკისით,
ჩაგვიქროლებდი ბიჭებს შარაში,
მონუსხულივით გავშეშდებოდით
გვავიწყდებოდა ბურთიც, თამაშიც.

საოცარია ბავშვის სურვილი,
ბავშვის ფიქრები, ბავშვის ოცნება.
დღემდე შემორჩა ტკბილად გონებას
ის საოცარი შენი მშვენება.

შენი ღიმილი, შენი კისკისი,
შენი ცისფერი თვალთა ბრიალი,
გულს იმდაგვარად ეფონებოდა
ვით მწვანე ჯეჯილს დილის ნიავი.

მონუსხულივით გიმზერდით ყველა,
შენ კი იმგვარად გეჭირა თავი,
თითქოს არ იყავ ამ ქვეყნიური,
თითქოს მზის სხივი იყავი ცაში.

ბევრი კაი ყმა დასწვი, დადაგე.
არვის გაუხსენ გულის კარები,
ზოგს დღესაც მკლავზე აზის სვირინგად
შენი ნეტარი, ტურფა სახელი.

ელოდებოდი ალბათ უფლისწულს—
თეთრი რაშით და შემართულ მკლავით,
თვალს და ხელს შუა გაჰქრა ცხოვრება,
ვით ძირ გავარდნილ კასრიდან წყალი.

დღეს შეგხვდი გული დამეწვა დარდით,
დროს წაუღია ძველი მშვენება,
გაუძარცვია ტიალ საწუთროს
ის საოცარი მშვენიერება.

2009

მიმართვა ოსი აფხაზი და ქართველი ერისადმი

მტრობით ქვეყანას ვერ ავაშენებთ,
მტრობით ქვეყანა ვერ აშენდება.
ვიდრე სხვა მუდამ ჭკუას გვარიგებს,
ჩვენ არაფერი არ გვეშველება.

თქვენ გეკითხებით ყველას ერთიან,
სიტყვა ბევრი, რომ არ გავაგრძელო,
ჩემო აფხაზნო, ოსნო, ქართველნო,
ამერ– იმერნო მთლად საქართველო.

როდესაც შვილებს ვაძულებთ ერთურთს,
დაუსრულებელ მტრობით და დავით,
ამით გვგონია ვაკეთებთ საქმეს ?
პატრიოტები გვგონია თავი ?

პატრიოტობა მტრობა არ არის,
ერთად გვჭირდება დღეს განსჯა მშვიდი,
პატრიოტობა ხშირად ძმობაა,
სიყვარული და ნდობაა დიდი.

დავფიქრდეთ რა გვაქვს ჩვენ გასაყოფი,
გონება ასე ვინ აგვირია ?
ნუთუ ვერ ვხედავთ ნაწილ ნაწილად,
ჩვენი დაძლევა რომ ადვილია?

ბათუმი არის თუ სოხუმია,
თბილისია თუ არის ცხინვალი,
ეს ერთად ჩვენი სამშობლო არის,
ჩვენი ცხადი და ჩვენი სიზმარი.

მტერი ჩვენს შორის სიძულვილს თესავს,
ყველას ცალ–ცალკე გვიმზადებს მახეს,
თეთრი კბილებით ფარვენ შავ გულს და
ყალბი ღიმილით მალვენ შავ ზრახვებს.

კავკასიური სახლის იდეაც ,
სწორედ ამ მტრებმა დასწვეს დანაცრეს,
რადგან იდეა (თვით იდეაც კი)
მათ შიშით ზარავს და აცახცახებს.

შიშის ზარსა სცემს, რადგან იციან ,
სხვა ყოველივე მხოლოდ ფარსია,
და ერთადერთი გზა გამარჯვების,
ჩვენი ხალხების ერთობაშია.

ჩვენზე ძლიერმა ხალხმა შეიგნო,
რომ დიდი ძალა არის ერთობა.
ჩვენ ვქუცმაცდებით ,მაშინ როდესაც,
ერთიანდება მთელი ევროპა ?

კვლავ გეკითხებით ყველას ერთიან,
ახალგაზრდა ხარ თუ ხარ ხნიერი,
აღარ მოგვბეზრდა? მუდამ ჭკუას,
რომ გვარიგებს ვიღაც გადამთიელი?

როგორ გვგონია ჩვენი გულისთვის ,
ვინმე ტყუილად წვეთ სისხლს გაიღებს ?
იცოდეთ ქარი რასაც მოგვიტანს,
შემდეგ ორმაგად უკან წაიღებს.

ძველ შეცდომებს ნუ გავიმეორებთ,
ნუღარ ჩავიგდებთ, ჩვენს თავს იმ დღეში,
როცა“ საშველად მოწვეულები“
კვლავ წაგვიჭერენ ყულფებს კისერში.

სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან,
ერთმანეთს ძმურად ხელი ჩავკიდოთ,
ზურგი ვაქციოთ ეშმაკს ერთად და
ჩვენი სამშობლო გადავარჩინოთ.

2007

ამაოება

მინახავს კაცი:
ვინც იხვეჭს და ვერასდროს ძღება,
მაგრამ სიმდიდრე მისი ბოლოს
სულ უცხოს რჩება.

ძუნწის ბუნება

კაცის ბუნებას
მოქმედება მისივე ამხელს.
ძუნწი ვერასდროს ვერ ახერხებს
ალალად გასცეს.

გმირობის არსი

გმირობას მუდამ სიყვარული,
თან ახლავს რამის:
დავუშვათ ქვეყნის,
თავის ხალხის,
ან თუნდაც ქალის.
უსიყვარულო გმირობა კი დევნაა ქარის.

ბოროტის ბოლო

რაც უნდა მალოს
ბოროტს საქმე ამხილებს მისი,
რამეთუ ბოლოს ყოველ საქმეს,
უტყუარად განსჯის მერმისი.

ლაჩრის ბუნება

ლაჩარი ხშირად სხვის სიცოცხლეს
არად დაგიდევს –
თავის თავისთვის, ცოლ–შვილს დასთმობს,
უკანასკნელ გროშსაც გაიღებს.

ენისა გამო

ენა თუ გასწრებს,სჯობს დაფიქრდე,
რატომ გაქვს კბილი.
ენისა გამო ბევრს დაუფრთხა
გახსოვდეს ძილი.

ყურს ნუ არიდებ

ყურს ნუ არიდებ თუკი ბრძენი
გტუქსავს და გლანძღავს,
თუ ბრიყვი გაქებს
მაშინ საქმე ვერა გაქვს კარგად.

უგნურის ხელით

ჭეშმარიტებას ბოროტი ძალა
ვერ აჯობებდა, რომ არა ერთი –
ჭეშმარიტებას ბოროტი ყველგან
ამარცხებს მუდამ უგნურის ხელით.

თუ შეიძულებ

თუ შეიძულებ შენს საკუთარ მტერს
ვერ შეაფასებ მას რეალურად.
მტერი რისთვის გმტრობს
სწორედ ამ საქმეს,
ობიექტური დანავა უნდა.

ცრუ პატრიოტი

ცრუ პატრიოტი
თავის ნამდვილ სახესა ჰფარავს...
ნიღაბს ირგებს და
ხალხის მასებს იყენებს ფარად.

ჯიბრი

ობი შეგვჭამდა...
გაქრებოდა ყოველი ხიბლი –
კაცთა შორის რომ არ არსებობდეს
ერთურთის ჯიბრი.

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა“

ზოგჯერ მართლაც თქმა სჯობს არათქმასა,
თუმც უპირველეს ყოვლის...
კარგია თუკი იცი როგორ სთქვა
და მითუმეტეს თუ იცი როდის.

თუ მხოლოდ მაშინ გახსოვს სამშობლო

თუ მხოლოდ მაშინ გახსოვს სამშობლო
როცა ბახუსი რაკრაკებს ყელში,
არ გაგიკვირდეს თუ შემდეგ იგი
იხილო შენი მოსისხლის ხელში.

მაშინვე არ სჯის

ამ ქვეყანაზე ასე ამაყად
ბოროტი ხალხი იმიტომ დადის,
რომ თუმც ყველაფერს ხედავს უფალი,
მაგრამ რატომღაც მაშინვე არ სჯის.

ყველაზე მწარე

ყველაზე მწარე ალბად ის არის,
როცა ბრუნდები სახლში იმედით
და როცა იგრძნობ თურმე იქ უკვე
შენ აღარავის აღარ სჭირდები.

ძალმომრეობა

მე ვისაც მქვია ადამიანი
და მოაზროვნე თან...
მეც ნადირივით ლომს გაურბივარ
კურდღელს ვიჭერ და ვჭამ.

უგნური კაცი

უგნური კაცი მცირე წყენაზეც
ძაღლივით ყეფავს,
გონიერი კი სდუმს,
თუმცა ის ყველაფერს ხედავს.

თუ კი ოცნებობ უკეთეს მყობადს

თუკი ოცნებობ უკეთეს მყობადს
თუ მომავლისკენ გიჭირავს თვალი....
ამას სჭირდება უზომოდ გარჯა,
სჭირდება ბრძოლა, გაწირვა თავის.

ხოლო თუ სხვაზე ამყარებ იმედს,
თუ სხვისაგან ელი უკეთეს მერმისს,
გახსოვდეს ფარა დარჩება იმ სხვას
შენ მხოლოდ სახრე დაგრჩება მწყემსის.

2007

ვინ გვმართავს ცოდვილ ადამიანებს?

დასაღვრელ სისხლის ისმის ხმაური,
გული კვნესის და გული მწუხარებს.
საოცარია რა გვემართება,
ვინ გვმართავს ცოდვილ ადამიანებს?

კაცობრიობის გაჩენის დღიდან
უკან გვდევს რაღაც შავი აჩრდილი.
დედამიწაზე წუთი კი არა,
წამიც არ არის მშვიდად ჩავლილი.

ასეთი იყო ხშირად მოძღვრება
და რწმენის დაცვა ბევრის გაგებით:
უფლის სახელით ინკვიზიცია,
კოცონზე დაწვა უფლის სახელით.

საუკუნეებს ღვარებად დასდით
ადამიანთა სისხლი დაღვრილი,
მაინც არსად ჩანს მშვიდობის მტრედი,
კვლავ თავზე გვადგას მტრობის აჩრდილი.

რამდენ სიცოცხლეს მოეღო ბოლო,
რამდენი გული უდროდ გაქვავდა,
ვინც დაიღუპა გასაგებია,
ვინც გაიმარჯვა იმათ რა დარჩათ?

რა დარჩათ იმათ ვინც იბოროტა,
ვინაც გვამები მთებათ დაყარა?
ის უფლის თვალში თვით იქცა გვამად
და გაახარა მხოლოდ სატანა.

საუკუნენი მისდევენ ერთურთს,
ბოროტებას კი არ უჩანს ბოლო.
ამ წუთისოფელს სხვა არაფერი,
არმაგედონი თუ იხსნის მხოლოდ.

2009

არ დაუჯეროთ სოლომონს?

სოლომონ ბრძენმა სთქვა ეს და
მე ნურვინ ნუ დამაბრალებს,
თურმე ამ ქვეყნად ყველაფერს
დრო და შემთხვევა განაგებს.

ნურასდროს იტყვი რომ შენა
ის ვერაფერს ვერ დაგაკლებს,
რადაგანაც თურმე ჩვენს ყოფას
დრო და შემთხვევა განაგებს.

ნუ იტყვი, რადგან გახსოვდეს
ცხოვრება ცვალებადია.
ვაი თუ წამში დაჰკარგო
ამ ქვეყნად, რაც გაბადია.

ბევრი მინახავს ტკბილ ყოფის
ორომტრიალით გართულნი,
დღეს რომ გოდებენ და ხელში
უჭირავთ ორი აგური.

სანამ გვაქვს ვთესოთ სიკეთე,
ამას უფალი გვავალებს,
ვიდრე დროებით მოცემულს
ისევ შემთხვევა წაგვართმევს.

2009

ფიცი

ფშავში და ხევში
ხშირად ფიცის დროს,
იცოდნენ სიტყვა
ფიცის დაყოლად:

ვინამც ჩვენ შორის
ფიცი გასტეხოს,
მშობელი დედამც
შაერთოს ცოლად.

როცა ფიცს დებდნენ
კარგად ესმოდათ
ასეთი ფიცის
არსი და ფასი.

მოკვდებოდა და
ფიცს არ გასტეხდა,
მათგან არასდროს
არცერთი კაცი.

დღევანდელ ფიცის
მოგეხსენებათ
არვისთვის აღარ
არის ახალი.

ჩემი დადა მ.....
ყველა ტყუილზე
წარბშეუხრელად
ამბობს ახვარი.

2009

ხმალი, თოფი და ენა

ხმალმა სთქვა მე ვარ რაცა ვარ,
ტყუილად კი არ ვამაყობ,
ცხენ კაცსაც გავსჭრი, რომ ჩემს მტერს
ჩემი ფხის ძალა ვანახო.

თოფმა მიუგო, მაშინ მეც
ჩემს ძალის ამბავს გაგანდობ,
თუ დამჭირდება კლდეს გავხვრეტ,
ფოლადს დავგლეჯ და დავადნობ.

ენამ მიუგო სისინით,
ჩემთან ტყუილად ტრაბახობთ.
მე თუ დამჭირდა მძლავრ მუხას
შეძახილებით გავახმობ.

თუ დავტკბი ქალაქს ავაგებ,
თუ გავწიწმატდი დავამხობ.
მე თუ დავდუმდი თქვენ მაშინ
ჭუჭყი და ჟანგი დაგახრჩობთ.

თქვენ კაცთა სამსახურში ხართ,
კაცთ მოდგმის ნებას მორჩილებთ.
მე კი თუნც კბილებს შორის ვარ
მაინც ვერ დამიმორჩილეს.

ბევრმა იომა ჩემს გამო
და ვიცი ბევრიც იომებს.
მე რომ ვერ მთოკვენ იცოდეთ
თქვენც მიტომ გამოგიგონეს.

2009

ერის დაღუპვა

ერის დაღუპვა და ერის გარყვნა
ვაი სწორედ რომ მაშინ იწყება,
როცა ფიქრობენ: პატიოსნება
დღეს უკვე არვის აღარ სჭირდება.

როცა სიცრუეს გითვლიან ნიჭად,
როცა კაცი კაცს ვეღარ ენდობა,
როცა ქვეყანა თხემით ტერფამდე
სიცრუის ლაფში ჩადის, ეფლობა,

სადაც ათას გზის მოტყუებულსა,
ვერ უპოვია სიმართლის ფარი,
სადაც კანონი ლეღვის ფოთლად აქვთ
და „ერთი რამის“ ხდება საფარი.

დაღუპულია ქვეყანა იგი,
გათელილია ერის ღისება,
სადაც ფიქრობენ: სინდის – ნამუსი
დღეს უკვე ჩვენში არვის სჭირდება.

2009

ჩემს სიჭაბუკეში მურმან ლებანიძემ
ბაღში მსხდომ ახალგაზდებს
ასეთი შეკითხვა დაგვისვა

როცა ცხოვრების წლები გაიფრენს,
როს შორს დარჩება ყრმობის ნაპირი,
ახალგაზრდობაც, როცა უეცრად
გაიფრენს როგორც ლურჯი აპრილი,

როცა ცხოვრებას თვალს გადაავლებ,
უკვე გარდასულს, ან უკვე ჩავლილს.

ვის დაინახავ იმ წლების უკან
კაცს ქვეყნის ბედით ნაღვაწს და დაღლილს,

თუ კაცს საკუთარ თავზე მოფიქრალს?
მხოლოდ საკუთარ ჯამში თავ ჩახრილს?
ან იქნებ მას ვინც ძოვა ქვეყანა,
ძარცვა თავისი მიწა და ხალხი?

ასეთი კითხვა დასვა მურმანმა,
ამბროლაურში, კინოს წინ, ბაღში.
მაშინ მე გახლდით სულ მთლად ყმაწვილი
ალბათ თექვსმეტის ვიყავი მაშინ.

მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა.
ჭაღარაც უხვად მომრავლდა თმაში,
მაგრამ ეს სიტყვა ვით ნაღვერდალი
შემომრჩა გულში და გონებაში.

ვწუხ დღეს ეს კითხვა ბევრს არ ადარდებს
და კითხვაც კარგავს მიზანს და სახეს.,
ბევრი „კაი ყმა“ თვის საკუთარ ჯამში ჩახრილა,
სჩანს, რომ სახრავი ურჩევნის სახელს.

ბევრს საკუთარი ჯამი უკვე აღარაც კი ჰყოფნის.
ყიდის სამშობლოს: ზღვებით, მთებით,
წყლიან – ტყიანად.
ზის რესტორნებში მეგობრებთან
„წელგამართული“
და საქართველოს სადღეგრძელოს სვავს
რიხიანად.

ხოდაბუნებში მწყერი ჭახჭახებს

ხოდაბუნებში მწყერი ჭახჭახებს,
რიონის პირას მწვანე ზვრებია,
ლემანეურის მთას ვით დინოზავრს,
ფეხზე დამდგარი ჩასძინებია.

თვალს ვერვინ მოსწყვეტს იმგვარად ბრწყინავს
გაღმა – გამოღმა ხეობის ხედი,
ყვავილებს შორის თეთრი გვირილა
თრთის ვით ქალწულის რძისფერი მკერდი.

მწვანე ტყის პირას მოსჩქეფს მდინარე
მთების კალთებით სხივდაბურული,
ისმის ფრინველთა ტკბილი გალობა,
ისმის რიონის ტკბილი დუდუნი.

დუდუნებს წყალი და გამალებით,
გრილი სურნელი ნაპირს ეხლება.
მდინარის ტალღის ნასხლეტი შხეფი
სასიამოვნოდ გულზე მეფრქვევა.

გავიხდი სამოსს, ჩავყვები ნაპირს,
შევცურავ სადაც მცირე ფონია.
თუმცა სიბერე შემომეპარა
თავი აქ ისევ ბავშვი მგონია.

ამოვალ წყლიდან და ცხელ ქვიშაზე
თვალი სიამით მიმელულება,
ამ ძილბურანში რიონის ტალღა
ჩემს ბავშვობაზე მეჩურჩულება.

ავახელ თვალებს შევცქერ მწვანე მთებს
არა მბეზრდება მათი ყურება.
ისე ტკბილია ენა ვერ აღწერს
ჩემი პატარა რაჭის ბუნება.

2009

შემოდგომა

შეჰყვითლებია ვაზებს მტევანი,
ჩალურჯებულა ბაღში ქლიავი,
წითელ ლოყება ვაშლსა და გულაბს
ფოთლებს უვარცხნის გრილი ნიავი.

მწყემსი აკვნესებს ლერწმის სალამურს,
ცხვარი მდელოზე მოფენილია,
ანკარა ღელე მოჰყეფს ფერდობზე,
როგორც პატარა ცელქი ფინია.

ხეზე შემსხდარან ჩალის ზვინები,
ნასიმინდარის ჩანან ხნულები,
ბაღიდან ტკბილად იღიმებიან
კბილ დაკრეჭილი ბროწეულები.

მალე საწნახელს დაჭრილ დევივით
ყელში წასკდება ტკბილი ბადაგი,
აფუცხუნდება ქვევრებში ღვინო,
აღიღინდება გლეხის მარანი.

ახმაურდება ფუძე და ჭერი
ლხინს ქორწილები გადაებმება,
დაიბადება ბიჭი ერეკლე,
ნინო და ლელაც დაიბადება.

და დღეს თვალდათხრილ ჩაკეტილ სოფლებს
აახმაურებს გენი ქართული,
კვლავ აშენდება ხევსურეთს სკოლა,
კვლავ ამღერდება თუშეთს ფანდური.

შვილთა სიმრავლე დაგვბედებოდეს...
ქვეყნად ყველაზე დიდი ქონება,
ღმერთო მოგვხედე რომ ეს სურვილი
არ დარჩეს ჩვენთვის ფუჭი ოცნება.

2009

წისქვილი

წყალმა წაიღო ძველი წისქვილი,
ხორბლის ჩამოფქვა აღარ აცალა.
უცებ მორევმა აძგერა ზვირთი
და საძირკველი გამოაცალა.

წვიმამ დანამა ცრემლით მინდორი,
წუხილმა შესძრა რტოები ხეთა,
ირგვლივ ყველაფერს წაერთვა ფერი
და დარჩა რაღაც ფარული სევდა.

თითქოს ის იყო სისავსე სოფლის,
თითქოს სოფელი დაცარიელდა,
თითქოს გულს მოსწყდა გულის ნაწილი
სადღაც გაფრინდა და დაიფერფლა.

ხოლო როდესაც ჩაცხრა მდინარე,
დამშვიდდა, დაცხრა ტალღათა ღელვა
ვერ განვიქარვე გაურკვეველი
მწუხარება და ფარული სევდა.

ალბათ მთავარი მიზეზი მაინც
ის იყო ჩემი მწუხარებისა
წავიდა გაჰქრა და გაიყოლა
მოგონებანი წინაპრებისა.

2009

გახსენება

არ მავიწყდება, იმ გრილ ნიავში
მწვანე ყანების ტკბილად შრიალში,
ნაკადულის პირს გიკრეფდი იებს,
ჩამავალი მზე გვაფრქვევდა სხივებს,

როცა გიწვდიდი მცირე თაიგულს,
როცა თითი თითს შეეხებოდა
შეირხეოდა გული ჩიტივით
ლამის ბუდიდან აფრინდებოდა.

როს გრილ ღამეში, მთების გაღმიდან
წყვდიადს გაჰკვეთდა მთვარის ნათება
ჩემს სასთუმალთან მტრედის ხუნდივით
მოფრინდებოდა შენი ხატება

და მხოლოდ მთვარემ იცოდა მაშინ
რას გრძნობდა ჩემი საბრალო გული,
როგორ მიყვარდა შენზე ოცნება
ის ყვავილნარი და გაზაფხული.

ეხლა კი როცა ამ ნაკადულთან
გვერდით ჩავუვლი მინდვრის ყვავილებს
გულს გამიკაწრავს ის ძველი განცდა
ის სიყვარული და სიყმაწვილე.

2009

როდესაც სიო შეარხევს ვარდებს

როდესაც სიო შეარხევს ვარდებს
და ვარდის სურნელს შეაფრქვევს სარკმელს,
როცა ვაშლებზე თეთრად დაათოვს,
როცა ყვავილებს ცვარი დაათრობს,

როცა დილის ნამს სვამენ იები,
ტყეში, როდესაც ქრიან ირმები,
როდესაც ხევში ჰყივის ჩანჩქერი,
მინდა ვადიდო ქვეყნის გამჩენი.

გონიერება ვადიდო ღვთისა,
ვინც საქართველოს ეს ეშხი მისცა.

მოლბერტია ეს მიდამო

მოლბერტია ეს მიდამო,
ანგელოზი ციდან დასცქერს.
ცისარტყელას აწებს ფუნჯს
და ტყეს და ჭალებს აფერადებს.

კაცი, რომელსაც არასწამს ღმერთი

დღე ღამდება და ამოდის მთვარე
წვები და გულზე იფარებ საბანს...
გაურკვეველი „იმედით“ ხვალის
თუ არ გჯერა და თუ ღმერთი არ გწამს.

2009

ქართველთა ჭირი

ქართველებმა გადავრიეთ
მსოფლიოში ერი ყველა,
ერთდროულად შეგვძლია
ქურდობა და პირჯვრის წერა.

ქურდობაში ვერა გვჯობნის
ვერა ერი დუნიაზე,
თურქებიც კი გავაკვირვეთ
რაღა გითხრათ ევროპაზე.

ათი თეთრი რომ გამოვრჩეთ
ვფიცავთ ხშირად ოჯახს, კერას,
ორი ლარის გულისთვის ხომ
სულს მივყიდით თუნდაც ეშმაკს.

უცნაური ერი ვართ და
ქვეყნად არ გვყავს ანალოგი,
ქურდობაში ვერ გვაჯობებს
თვით სატანის ანგელოზი.

რაც დრო გადის, ამ სენით ჩვენ
უფრო მეტად ავვადდებით,
მაგრამ რაც უფრო მეტს ვქურდობთ
უფრო მეტად ვღატაკდებით.

2009

ჩემო ქვეყანავ

ჩემო ქვეყანავ, ქვეყანავ ჩემო
შენ ბეწვის ხიდზე ხშირად გივლია
ბევრჯერ გდენია სისხლის ღვარები,
მაგრამ არასდროს დაგიჩივლია.

და თუ დღეს შენი ტურფა სხეული
კვლავ ნაწილ–ნაწილ დაფლეთილია,
არამც თუ მტრების, შენი ჯილაგის
ღვაწლი ამაში ძალზე დიდია.

რას დაგაკლებდა მტერი ტიალი
ჩვენ ერთად დგომა რომ შეგვძლებოდა,
მაგრამ შენც იცი, ციხენი შენი
მუდამ შიგნიდან როგორ ტყდებოდა.

ვის უკვირს ჩვენში ფარსადანობა,
შადიმანობა ვის უკვირს ჩვენში,
მაგრამ ამდენი დღეს რომ გეხვევა
არა გყოლია მართლაც შენს დღეში.

ალბათ მტრის ჩექმას უფრო გაუძლებ,
(გამოცდილებაც შენ გაქვს ამისი)
მაგრამ საკუთარ შვილთაგან თელვა
ყოფილა სულ მთლად გაუსაძლისი.

ძნელია როცა შენი ჯილაგი
გძარცვავს თან ნაცარს გაყრის თვალებში,
როს გაიძულებს მოსცილდე ოჯახს,
გადაიკარგო უცხო მხარეში.

რომ არ სთქვა მართლაც ძნელი ყოფილა,
რაც გკლავს და ასე ძლიერ გაწამებს
როცა ის დიდი ნაოცნებარი
თავისუფლებაც აღარ გახარებს.

მე მახსენდება სიჭაბუკეში,
როგორ გვხიბლავდა თავისუფლება,
როცა ვმღეროდით: აწმყო არ გვწყალობს
თუმც მომამვალი ჩვენი იქნება.

იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს,
მაგრამ როდემდის? ვერ გამიგია.
ის სიმღერა კი აწმყო არ გვწყალობს
უკვე ძალიან გაცვეთილია.

2009

წელიწადიც მიიწურა

მზე ღრუბლებში იკარგება,
შემოდგომაც უკვე გადის,
აუშლიათ ქარებს აფრა
კვიპაროსი ნაძვს თავს ახლის.

მწუხარება მეუფლება
ქარი ლოკავს წითელ კრამიტს,
წელიწადიც იწურება
უიმედობა მკლავს ხვალის.

ხელისუფლის ვისმენ სიტყვას,
სადღაც „ტრუბა“ გაჰყავთ გაზის,
სადღაც ქარხანასაც ხსნიან
ვგონებ უკვე სამ გზის გახსნილს.

დეზერტირებს მივუყვები
ქარს და წვიმას სუსხი ერთვის.
მოჰგავს ბაზრის ნანგრევები,
ნათარეშალს თემურ ლენგის.

დარბეული ბაზრის ირგვლივ
გათოშილი ზიან ხალხი,
„მეშოკები“ მოუხურავთ
სველ ყუთებზე უდევთ დახლი.

ნუთუ ამას იმსახურებს,
ჩვენი სისხლი, ჩვენი გენი.
ასეთ დღეში დაპყრობილ ერს
არ ჩააგდებს დამპყრობელი.

. .

მთავრობის წინ საზეიმოდ
ემზადება პრეზიდენტი,
სურს მსოფლიოს მოაჩვენოს
რომ ჰყავს ერი ბედნიერი.
(მტკვარს გადაღმა სამოთხეა
მტკვარს გადმოღმა ჯოჯოხეთი)
ყველაფერი უცხო თვალის
ასახვევად ხდება ჩვენში,
თორემ მტერსაც არ ვუსურვებ
ყოფნას ჩვენი ქვეყნის დღეში.
– დაკარგული მიწა–წყალი,
– გაყიდული ტყე და ველი,
– გადამწვარი სოფლები და
– გაღატაკებული ერი.
ასე დგება სამშობლოში
ორი ათას ათი წელი.
ხელისუფალთ საკონცერტო
მზადება აქვთ უდარდელი.
ეს სიყალბე სულს მიწამლავს,
გულში მწარე ფიქრი ბორგავს.
საქართველო კომუნისტურ
საჩვენებელ ფერმას მოჰგავს.

მინაწერი

წინაპარს უთქვამს: კაცის გარეშე
კავი თავისით მიწას ვერ დახნავს,
საკუთარ ხალხის უგულველყოფით,
დაიმახსოვრეთ თქვენც შორს ვერ წახვალთ.
მე ახალს მაინც ვერაფერს გეტყვით
თუმც შეგახსენებთ ღამურის არაკს
და ვით მუხრანი იტყვის:
ჩვენ ეს გზა სადაც მიგვიყვანს ამასაც ვნახავთ.

ამგვარად მოდის ჩვენში ტურფა გაზაფხული

როცა თოვლი მთის ფერდობზე
ჩამიჩუმით ქრება,
როცა ტურფა გაზაფხული
ტყის პირს ეპარება,

როცა მთიდან ირმის ყივილს
გაიგონებ ბარში
და პირველი მერცხლის გუნდი
აიჭრება ცაში ...

ეს პატარა ნაკადულიც
აბორგდება ხევში,
ტყის საამო სურნელს მოჰფენს
სოფლის მინდორ – ველში.

შეესევა ჭალის პირებს
ენძელების ჯარი,
კორძზე ნუში აფეთქდება,
როგორც ცეცხლის ალი.

ტყემლებს ბაღში ყვავილების
თეთრი ფიფქი ათოვს,
ჩიტუნები ჟღურტულებენ,
ბუჩქში შაშვი გალობს.

დაადგება ზვრებს და ველებს
მზის წკრიალა თვალი
და ზეცისკენ აბოლდება
მიწის ოხშივარი.

დაიწყება ხვნა და თესვა,
ხნულს გაჰყვება ხნული
ამდაგვარად მოდის ჩვენში
ტურფა გაზაფხული.

2010

გაზაფხულის დილა

გაზაფხულის დილაა
დაიბერენ კვირტები
ხიდან ხეზე დახტიან
გულყვითელა ჩიტები.

ლურჯი არის ზეცა და
აქ ჰაერიც ლურჯია,
არემარე ისე სდუმს
იფიქრებ რომ მუნჯია,

მყუდროების დამრღვევი
მხოლოდ წყარო რაკრაკებს,
ალბად ჭალებს უამბობს
მაღალ მთების არაკებს.

აზუზუნდნენ ფუტკრებიც,
აუსრულდათ წადილი.
ატმის რტოდან გამოძვრა
ალის ფერი ყვავილი.

ცა ზღვასავით ლურჯია
იმოსება მთა – ბარი.
გადაიძრო ჯეჯილმა
თოვლის თეთრი საბანი.

მზემ ზამთარი დააფრთხო,
გააქცია ყანიდან,
მთის წვერზე ზის და შიშით
იმზირება მაღლიდან.

ხარობს ყველა სულდგმული,
საამური დარია
ხელისგულზე დაცოცავს
ჭია ჭიამაია.

2010

თანამედროვე პაემანი

ტატუირებულ საჯდომით
ჭიპში გაყრილი მძივით,
გოგონამ ქუჩა გადმოჭრა
სჩანს პაემანზე მიდის.

ბიჭი ელოდა ჭადართან,
დოინჯ შემოყრით იდგა.
ჩემი დედა მ..... ამდენხანს
სადახარაო ჰკითხა.

მეგონა ზეცამ დამსეტყვა,
თუმცა დღე იდგა მშვიდი –
წარმოვიდგინე უეცრად
მათი გაზრდილი შვილი.

2010

საუკუნენიც მალე გადიან

საუკუნენიც მალე გადიან,
ჭრელ ზაფხულებს სცვლის
თეთრი ზამთარი.
ნარიყალაზე ისევ გაწვიმდა,
მეტეხთან ისევ აბორგდა მტკვარი,

კრწანისის ზეცა ელვამ დასერა,
სჩანს კვლავ გაეხსნა ძველი იარა.
საარაგვოდან აცრემლებულმა
შავმა ღრუბელმა გადმოიარა.

დადგა და ისევ აწვიმა ცრემლი,
საძმო საფლავში მწოლ იმ რაინდებს,

ვინც წამითაც კი არ შეუშინდა
აღამაჰმადის ურდოს საშინელს,

ვინც საკუთარი თავი გასწირა
და მტერიც ბევრი თან წაიმძღვარა,
ვინაც თბილისის გადასარჩენად
სიცოცხლე თვისი აქ მოიტანა.

მაგრამ ღალატი, შიდა გაცემა,
უკანა სდევდა გმირობას მუდამ
და გმირთა ჩვენთა უთვალავთ შორის
იბადებოდა ხშირად იუდა.

რომ არ ღალატი, პატარა კახი,
კვლავ ძველებურად იასპინძებდა
და ას ბრძოლაში ნაწრთობი გმირი,
მტერს სულ კუდით ქვას ასროლინებდა.

სწორედ ღალატის გამოა ისევ,
ძველი ტკივილი რომ დარჩა გულში
და შვილიშვილებს კბილს რომ ჰკვეთს დღესაც,
პაპების მკვახედ ნაჭამი ნუში.

მეტეხთან ვდგავარ, გავსცქერ კარიბჭეს
ჩემი ტანჯული დედაქალაქის.
კრწანისი არის ერის ტკივილი,
შედეგი ძმათა უღვთო ღალატის.

თუ ქართველებად დავბადებულვართ

თუ ქართველებად დავბადებულვართ,
შევქმნილვართ თუკი ქვეყნად ქართველათ
გამაგებინეთ მუდამ სხვისაგან
რატომ გვჭირდება თვალის ახელა?

არის ასეთი ძველი გამოთქმა:
სხვა სხვის საქმეში მუდამ ბრძენია
და ერთი ჭკუის დამრიგებელი
ჩვენც ხომ არასდროს არ დაგველია.

ვინ არ გვარიგა ჭკუა დავფიქრდეთ,
ბერძენი იყო თუ ბრიტანელი,
ხან იყო ფრანგი და ხანაც რუსი,
ამერიკელი თუ ევროპელი.

მაგრამ არცერთი
ჩვენს ქვეყანას არ წასდგომია.
ცხოვრება ჩვენი
ომი იყო და ისევ ომია.
მოეგე ჭკუას
ჩემო მიხო ჩემო გოგია.

2010

ნიჭი წინაპრისა

რაჭის მთებისკენ გავწიე
როცა დამხუთა თბილისმა.
ნაქერალაზე ვიგრძენი
მადლი ჩემი ტყის ჩრდილისა.

შაორს გავხედე კამკამებს,
ვით ბროლ–ბადაღში მინისა,
ქვიდან მიღიმის დაწნული
ჩუქურთმა ნიკორწმინდისა.

ვუმზერ და კვლავაც მწადია
მისი მზერა და ყურება,
ერი ამ განძის შემქმნელი
ხვთისგან არ გაიწირება.

თვალწინ დამიდგა ბაგრატის
ის საოცარი ეპოქა,
როს დიდის კრძალვით გვიმზერდა
ჩვენ აზია და ევროპა.

სწორედ იმ დროზე ღაღადებს
აქ ყველა სარკმლის ფიგურა,
ქვიდან მიღიმის წინაპრის
ნიჭი, გენი და კულტურა.

2010

მაგრამ ეს უკვე ხევსურეთი აღარ იქნება

თეთრია ირგვლივ:
ნაძვი, სოჭი, ძეწნა და მუხა,
ჩაკეტილ სოფელს
შემზარავი დუმილი ჰხურავს.
პატარა ქოხში ადის კვამლი
და ზეცას ბურღავს,
ორი მოხუცი მისჯდომია
გამჭვარტლულ ბუხარს.
იყო დრო, როცა ეს სოფელი,
ძველი ქართული,
ცხვარ – ძროხითა და ცხენთა
რემით იყო განთქმული.
აქ იზრდებოდნენ
ქალვაჟები გულანთებულნი,
თავის მიწის და
ქვეყნისათვის თავდადებულნი.
იყო ქორწილი, დღეობები,
ერი მრავლობდა
და მთის ბარაქით
საქართველოს ბარიც მძლავრობდა.
დღეს კი აღარ სჩანს აღარც ცხვარი,
აღარც ნახირი,
აღარსად ისმის
ხევსურული შემოძახლი,
არც ქალწულების კისკისი
და მღერა ფანდურით,
აღარც კაფია ენაკვიმატ
ლექსით ქართულით
არც საფიხვნოში ბჭობა
ბრძენი ხევისბერების,

აღარც ჭაბუკნი დარახტული
დოღის ცხენებით.
არც ლუდის ხვრეპა,დიაცთ წკვრელვა
თვალის ფეთებით,
მხოლოდ მწუხარი
დათოვლილი სჩანან ქედები.
მხოლოდ მოხუცი ორადორი
უსხედან ბუხარს,
ირგვლივ ყველაფერს
შემზარავი დუმილი ჰხურავს.
ზაფხულში, როცა აყვავდება
ეს მთა და ველი,
ტურისტნი მოვლენ, კანტიკუნტად
არც ისე ბევრნი,
შემდეგ მოხდება გარიგება,
ჩუმი, ფარული,
გაიყიდება ეს მთა – ველიც
ძველი ქართული.
აღიმართება შენობები,
გზაც დაიგება,
ქართულ მიწა–წყალს
უცხო ჯიში დაეუფლება
და ეს მთები აქ
თუმცა დიდხანს ისევ იდგება,
მაგრამ ეს უკვე ხევსურეთი
აღარ იქნება.

მინაწერი

ის რაც ვერ შესძლო
მტერმა ჩვენმა ხმლით და მახვილით
ხელისუფალნი ახერხებენ
სულ ტაშითა და ვაშას ძახილით.

2010

ჩემმა უერთგულესმა მეგობარმა
თემური მარგველიძემ
მეგობრის გადასარჩენად,
რომელიც აღელვებულ ზღვაში შევიდა
და უკან გამოსვლა ველარ შესძლო
დაუფიქრებლად გასწირა საკუთარი სიცოცხლე.
მეგობრის გადარჩენა ველარ შესძლო და
ისიც მასთან ერთად დაიხრჩო.
სწორედ მის გმირობას ეძღვნება
ეს მწუხარე ლექსი

რაღაც ტკბილ–მწარე ჰანგი ჟღერს სულში
სიამაყის და წუხილის ხმებით,
ათწლეულები გაჰქრნენ უშენოდ
მე კი წამითაც არ მავიწყდები.

სიზმარში გნახე, თემო შენ ისევ
ოცდახუთი წლის იყავ ყმაწვილი,
ყელამდე იდექ ბობოქარ ზღვაში
და ხელი იქეთ გქონდა გაწვდილი,

სადაც მეგობრის მოსჩანდა მკლავი,
ვერა სწვდებოდი, მისკენ იწევდი,
აიმედებდი, თუმც გადარჩენის
აღარსად ჩანდა მცირე იმედი,

ყორნისფერ ტალღებს წეწდნენ ქარები
სახეში გცემდა ავი გრიგალი,
ცის კამარიდან შავი ღრუბელი,
დაქცქერდათ როგორც ჭირისუფალი,

ტანზე გეხვივნენ როგორც გველები,
რუხი ნისლები – ხედვა გიმძიმდა
და ზღვის გუგუნში იკარგებოდა
თავგანწირული შენი ყიჟინა.

მაინც შესძელი, ხელი ჩაჰკიდე
ღონემიხდილი მიიკარ მკერდთან,
მაგრამ ვაი რომ მყისვე გაგყარათ
ერთურთს უწყალო ტალღათა დელგმამ

მშვენივრად გრძნობდი, არ დაგინდობდნენ
გავეშებული ზვირთები მწყრალი,
არ შეუშინდი ბობოქარ ვეშაპს,
მეგობრისათვის გასწირე თავი,

მეგობრისათვის დასთმე სიცოცხლე.
შენ ხომ სხვაგვარად არ გწამდა ფიცის,
შენ სხვანაირად ვერ მოკვდებოდი,
ვინც შენ გიცნობდით ეს ყველამ ვიცით.

ნელი ტანგო ჟღერს ისევ ზღვის პირას
იმ თავგანწირვის დიდი უნარის,
და თუ შენ გავდი ამ ქვეყნად ვინმეს
შენ რჩეულიშვილს ჰგავდი გურამის.

და რადგან ხვედრიც ასე ხანმოკლე,
თქვენ ერთნაირი გარგუნათ ბედმა,
სჩანს ენოქივით ბოროტ საწუთროს
თვით გაგარიდათ მაღალმა ღმერთმა.

ვწუხ რომ ცხოვრებით თქვენებრ გმირულით
მე ვერ ვიცხოვრე ისე ვბერდები,
მაინც მგონია ჩვენ გრძელ სოფელში
ერთი მეორეს ისევ შევხვდებით.

2010

ვიცი არ ადგა საქართველოს არსით საშველი

ვიცი არ ადგა საქართველოს
არსით საშველი,
ხან ლეკი გვხრავდა,
ხან ოსმალო ხანაც სპარსელი,
        მაგრამ ბოლომდე თუ ითქმება
        მაინც სათქმელი,
        გვიჯობს ყველაფერს რომ
        დავარქვათ თავის სახელი.
რადგან მიზეზი ჩვენი ასე დაბლა დაცემის,
არ გახლავთ ლეკი, არც ოსმალო და არცა სპარსი,
არამედ მრავალ ჩვენთაგანის ბუნება წუწკი
და ისევ მრავალ ჩვენთაგანის ბუნება ხარბი.

2010

რბიან დღეები რუხი

რბიან დღეები რუხი
და გაელვებით ხედება,
რაღაც საამო გრძნობა
გულში მუდმივად რჩება.
        და ამ რუხ მრავალ დღეში,
        და ამ რუხ მრავალ წლებში,
        ვით მარგალიტი მცირე,
        გორად აღმართულ ნეხვში ...
ტკბილ მოგონებად კრთება,
ჰგავს ბნელ ღამეში ცისკარს
და იბადება გულში
მარადიული კითხვა,
        ნუთუ ამ ქვეყნად მოსვლა,
        მხოლოდ ამისთვის.
        ღირდაა?

2010

მტრობის მიზეზი

რადგან გსურს შენი რწმენით იცხოვრო,
მტრობის მიზეზიც სწორედ ეს არი.
თოვლზე ნაკვალევს ქარი შლის ხოლმე,
კლდეზე გაჭრილ გზას ვერა შლის ქარი.

ნუთუ ზნეობა დღეს ბორკილია?

მე თუ რაღაც მწამს,
შენ თუ რაღაც გწამს,
მასაც ხომ უნდა სწამდეს რაღაცა?
თუკი ზნეობა დღეს ბორკილია,
მაშინ ცხოვრების აზრი რაღაა?

ყველაფერი მომისწრია

ყველაფერი მომისწრია,
მისვამს შხამი და შარბათი.
ორშაბათი ჩავლილია
მომდგარია კარს შაბათი.

ცხოვრებაში ტკბილთან ერთად
მინახია მწარეც ბევრი.
წუთისოფლის პორტში ვდგევარ
უკვე გადის ჩემი გემი.

მიტოვებული

დანგრეულ ყორეს შემოჰპარვია
დახავსებული ჭაობის ფერი,
დაჟანგულ ჭიშკარს, როგორც სასჯელი
ისე ჰკიდია ბოქლომი ძველი.

გაუთელიათ მავთულის ღობე,
აუზელიათ ღორებს ტალახი
და ებრაელის წყევლის მაგვარად,
კიბეზეც უკვე ჰყვავის ბალახი.

. .

მხოლოდ სექსი და მხოლოდ დათრობა?
ერთი მეორის კვლა არ დანდობა?

ნამუსი

ეს გამოთქმა გაგიგიათ ალბათ,
ასე მსჯელობს უამრავი ხალხი:
დღეს ნამუსი ბორკილია ნაღდად,
ნამუსი დღეს არის მეტი ბარგი.

მე მიხდება რადგან ამის ახსნა
ასჯერ ნათქვამს ვიმეორებ ისევ:
ნამუსი ეს მუხრუჭია ძამა,
უმუხრუჭოდ მოვიტეხავთ კისერს

სურვილი

ნახევრად დაშლილ ქვით ნაგებ სოფელს,
თავს წასდგომია სალი კლდის ხედი,
მწვანე მთებსა და ჭიუხებს იქით
სჩანს კავკასიის თეთრწვერა ქედი.

დუმან ტყეები, დუნამ ხევები,
ნისლი დარდებად მთის წვერს ედება,
ჩანჩქერიც კლდის წვერს ისე ჰკიდია
ვით უფლის მიმართ აღვლენილი ლოცვა–
ვედრება.

იქნება მართლა ღმერთს ევედრება,
ცისკენ იმიტომ უჭირავს თვალი:
სთხოვს დაუბრუნდეს კვლავ მთას ხევსური,
სთხოვს კვლავ გასჭედოს ხალიბმა ხმალი.

რომ ახმაურდეს ისევ ეს მხარე,
ქართული სიტყვით, ლექსით, შაირით.
კვლავაც შამადგნენ ლაშარის გორზე
ლუხუმის ძენი აბჯრის ჟღარუნით.

დილა კახეთში

ალაზნის პირას ნისლი წევს თალხი,
მზემ მთის მწვერვალებს სტყორცნა ისარი,
გაშლილ მდელოზე თეთრი პეპელა
ფარფატებს როგორც ბავშვის სიზმარი.

ზღაპარი არის თუ სინამდვილე?
ეს რა საამოდ ჩუხჩუხებს შქერი,
არსად მინახავს დილა ამაზე
უფრო საამო და მშვენიერი.
ოცნებასავით აყვავებული
ყვავილი ყვავილს ღიმილით უმზერს.
შემონთებია მზე გაზაფხულის
ახლად აქოჩრილ ალაზნის პირებს.

და იბარდნება მზე ამ წალკოტში
მხრებზე აყრია რტოები ატმის.
ლურჯი ტბასავით ღელავს ჯეჯილი
ბუჩქიდან ისმის გალობა შაშვის.

ეს ცა,
ეს მიწა,
ეს მწვანე ზვრები
და ალაზანი ველად გაწვდილი,
ჩემი ფიქრია, ჩემი სიცოცხლე,
ჩემი ცხოვრების არის ნაწილი.

ღმერთო მოჰმადლე ხვავი, ბარაქა,
ამ მთებს, ამ ზეცას, ამ წარმტაც ველებს,
ღმერთო უმრავლე დღე მადლიანი
სამშობლოს ერთგულ ჩემს გმირ კახელებს.

იმედი

ხვალის იმედით ცხოვრობს ქვეყანა,
ხვალ მზესთან შეყრას ლამობს ყვავილი,
კლდეს ეფერება შქერი ანკარა,
ირემი ირემს უხმობს ბღავილით.

ხვალ უკეთესი დღე გათენდება,
ხვალ ყველაფერი უკეთ გამოვა,
ხვალ დაიწყება აღორძინება,
ხვალ უკეტესი მოვა მთავრობა.

ხვალ უფრო მეტად დავღლი გონებას,
ხვალ დავასრულებ მეც იმ სტრიქონებს,
ხვალ დამყარდება ქვეყნად მშვიდობა,
ხვალ აღარავინ აღარ იომებს.

ხვალ ჩვენც უკეთესს შევქმნით მყოობადს
და ვით მერცხალი მშობლიურ ბუდეს
გადახვეწილი ქართველი ყველა
დაუბრუნდება საკუთარ ფუძეს.

ხვალის იმედით ვფხიზლობთ, ვიძინებთ.
ვეპოტინებით იმედს ხვალისას,
წლები გადიან ჩვენ კი ჯიუტად
იმედს არ ვკარგავთ მაინც ხვალისას.

ნურც მოგვიშალოს ღმერთმა იმედი
გვენახოს მშვიდი ცხოვრების გემო,
ჩემო კეთილო, ჩემო ერთგულო,
ჩემო ტანჯულო ქართველო ერო.

მიწაზე დაძრწის შურის ღრუბელი

მიწაზე დაძრწის შურის ღრუბელი,
ცაში სირცხვილით მზის ბურთი იწვის.
რად ებრძვის შური ჭეშმარიტებას
ვერავინ ახსნა, არავინ იცის.

შური ხანდახან თავს ვნებს საკუთარს,
ხან კი სხვის გულში თესს შხამს და ტკივილს,
მტრისგან შური მგვრის სიამოვნებას,
მოყვრისგან შური მგვრის მწარე ღიმილს.

* * *

ცხვრის ქურქში გაეხვა მგლათ დაბადებული,
კბილები დაიქლიბა, ზოგიც დაიხერხა
მაგრამ თვალები სარკეა სულის.
თვალებს ვერაფერი მოუხერხა.

* * *

საქმე იმიტომ უფროა ცუდად
რომ ცუდად როა არ იცის ბევრმა
მუხრან მაჭავარიანი –

ქვეყნის საქმე რომ ვერ არის კარგად
დღეს ძალზე ბევრმა მშვენივრად იცის,
მაგრამ სულ ფეხზე ჰკიდიათ მუხრან
ყველა საკუთარ კუჭისთვის იღვწვის,

ხმა მესმა ჩემი წინაპრისა

ხმა მესმა ჩემი წინაპრისა
ხმა ვაჟკაცური,
ვნახე ციხენი
დრო–ჟამისგან აწ გაძარცვული.

ანტიკურ ხანის მესმა ხმანი ...
ჭიხვინი ცხენთა,
ჯადოსნურ ხილვით
ფარნავაზის ვიხილე მცხეთა.

ქრისტეს მოსვლამდის
აქ ციხენი იდგა ძლიერი,
მტერს შიშსა ჰგვრიდა
ერი მძლავრი და ქედ უხრელი.

. .

შეჰქმნა ფარნავზ ორ ზღვას შუა
ქვეყანა მძლავრი.
კახთ–ჰერეთიდან კლარჯეთის და
ეგრისის ჩათვლით.

მართავდა სიბრძნით უებარით
სამთავროს რვათა
„და არღარა იზრახებოდა
სუხუა ენა ქართლსა შინა“
თვინიერი ქართულის გარდა.

მან განანათლა ერი თვისი
ქართულ ანბანით
და განამაგრა მცხეთის ბჭენი
ციხე–გალავნით.
დღეს აქ რესტორნებს დაუჩრდილავთ
ციხის თავანი,

ღრეობით ცხოვრობს
ფარნავაზის შთამომავალი,
ხოლო ქვეყანა ერთ დროს მძლავრი,
ეხლა ეული,
უცხოთა თესლის სათარეშოდ არის ქცეული.

შემოიფლითა ზეცამ წყვდიადი

შემოიფლითა ზეცამ წყვდიადი,
გაკრთა მტრედისფრად ლაჟვარდი ცაში,
ეს ერთი ღამეც გათენდა თეთრად
დაუსრულებელ მწუხრსა და დარდში.

ნელ–ნელა შრება ქართული სისხლი
სჩანს ქართლის მტერი ისრულებს წადილს,
ქართველი თავის სამშობლოს სტოვებს,
ქართველი თავის მიწიდან გარბის.

ეს ლურჯი ზეცა, ეს მთა, ეს მდელო
რჩება ტიალად უცხოთა ხელში,
ეპოტინება ჩემს ტანჯულ მხარეს
გადამთიელთა ჯიში და თესლი.

რა უბედობამ დაგვრია ხელი?
ვინ აგვირია ასე ცხოვრება?
რა ხდება ჩვენს თავს რომ ჩვენს მიწაზე,
ჩვენს სამშობლოში არ გვედგომება?

ნუთუ დაჩლუნგდა ქართველი გენი?
ვის გავურბივართ რა გვემართება?
სად გაჰქრა ჩვენი ძველი ღირსება,
ქართული ჟინი და შემართება?

ერს ძველთაგანვე გმირობით განთქმულს,
ვინც დუშმანს ბრძოლის კლასი აჩვენა,

ვინც მტერთა სისხლით მორწყო დიდგორი
და ვინც მონღოლთა ურდო განდევნა,

ვისაც გუთანთან ერთად მახვილიც
განუყოფელად, მუდამ ხელთ ეპყრა.
ახსოვს ერწუხს და ახსოვს თრიალეთს
ქართულ გულების გმირული ფეთქვა,

ახსოვს ბასიანს რა რიგად ენთო
ქართული სული ცეცხლის ალებათ,
როგორ ვანანეთ იმ ბილწ ნუქ –ად დინს
დაბადება და ქვეყნად გაჩენა.

დღეს ჩვენს მიწაზე თავსაც ვერ ვირჩენთ?
ასე დაკნინდა ეს გმირი ერი?
თუ ბრძენი მტერი გვიწყობს გენოციდს,
ჩვენი უგნური მოყვასის ხელით?

ნუთუ იმისთვის ვიღწოდით მუდამ,
რომ ვით მონებმა უცხო მხარეში,
სხვისი საცვლები ვრეცხოთ და ვაშროთ,
ვიქცეთ უცხოთა პირისფარეშნი?

რა ცოდვა გვაწევს ღმერთო მაღალო,
ასეთი მძიმე, ასე წონადი,
რომ ვერ გვყავ ღირსნი ჩვენ თავად ვმართოთ
ჩვენი სამშობლოს აწმყო–მყობადი?

მინაწერი

ჩვენ სხვის იმედად ყოფნა არ გვარგებს,
სჯობს კვლავ ავინთოთ სული ალებად,
თორემ გვიხმება „მუხა ძლიერი
საქართველო რომ ჰქვია სახელად“

2011

როცა მინდორში ჰყვავის ენძელა

როცა მინდორში ჰყვავის ენძელა,
როცა ზვირთები აწყდება ნაპირს,
როცა ზამთარი ასპარეზს უთმობს
სიჭაბუკეში ფეხშედგმულ აპრილს,

როცა მაისი შემოჰფენს ვარდებს,
ტყე მწვანე ფოთლით დაიბურება,
დამავიწყდება წამით სიბერე
და სიჭაბუკე დამიბრუნდება.

ამიჩქროლდება გული ბავშვივით
და უცხო სხივი დგება თვალებში,
ეს მანამ, ვიდრე ისევ თვალს მოვკრავ
ამ თეთრ ჭაღარას ტიალ სარკეში.

2011

მე აქა ვდგავარ

მე აქა ვდგავარ, სადაც ოდესღაც
ჰქროდენ ბავშობის ტკბილი ფიქრები,
სახლის ადგილას ნასახლარია,
დაბერებულან ჩემი ნიგვზები.

შამბს დაუფარავს გზა და ბილიკი,
გამხმარ ვენახში დაძრწის ნიავი,
ღელის ნაპირთან მოსჩანს ტირიფი,
აბურდულ ბაღში ჰყვავის ქლიავი.

2011

მრუდე სარკეა ჩვენი საწუთრო

სიჭაბუკეში როს შედის ბავშვი
ჰგონია იძენს რაღაცას ახალს,
სინამდვილეში ყველაზე ძვირფასს
თურმე უზრუნველ ბავშობას ჰკარგავს.

შრომობს, ჯახირობს ადამის მოდგმა,
ძვირფასი წლები ჩალიჩში გაჰყავს,
ჰგონია იძენს – სინამდვილეში
ის სიჭაბუკის ძვირფას წლებს ჰკარგავს.

შეეპარება სიბერე მწყრალი,
აწუხებს წნევა დ გული ჰკაწრავს,
კარგავს მშობლებს და ჰკარგავს ახლობლებს
ჯანმრთელობასაც თანდათან ჰკარგავს.

მრუდე სარკეა ჩვენი საწუთრო,
მას ათასგვარი ცთუნება ახლავს.
კაცი როდესაც რაღაცას შეჰქმნის,
მაშინ საკუთარ სიცოცხლეს ჰკარგავს.

2011

მოგონება

დაკლაკნილ გზებით მაღლა მივიწევთ,
ამაღლებულა ქედი ღრუბლებში.
მთის გულზე ისე სჩანან სახლები ,
როგორც ღილები დევის უბეში.

ღარში რაკრაკებს წყარო საამოდ,
ისმის მწყემსების გადაძახილი,
„კოდის წყაროზე“ დასარწყულებლად
მოურეკიათ სოფლის ნახირი.

დამწიფებულა უკვე ვენახიც,
სოფლის გარშემო ლურჯი ზვრებია,
კუხნის წინ ხელი მოუჩრდილია
და იმზირება ჩვენსკენ ბებია.

უცებ შეგვიცნობს, წინსაფარს იხსნის,
კალთას იფერთხავს ტკბილად გვიღიმის,
უნდა ლამაზად შეხვდეს მონაგარს,
თავის საყვარელ შვილს და შვილიშვილს.

შენ შემოგევლოს მარო ბებია:
მეტყვის და ტკბილად ჩამიკრავს გულში
და ბებოს კალთას ახლავს სურნელი
მწიფე გულაბის, ატმის თუ ნუშის.

დღეს ნიგვზებს ვბერტყავთ; ამბობს ბებია
და მემატება ჩუმად ხალისი.
კაცმა რომ მკითხოს ასე ძალიან
რა მიხარია თავად არ ვიცი.

ატყლაშუნდება ჭოკი და კაკალს
კუხნის ყავარზე გააქვს ჩხრიალი,
კაკლებთან ერთად ხმელი ფოთლებიც
დაჰქრიან ირგვლივ ბზრიალ–ტრიალით.

დაკრეფას ითხოვს ვაზიც, ხეხილიც,
დაუდრეკია ნაყოფს ტოტები,
საწნახელის წინ მიკიტნებივით
ჩამწკრივებულან თიხის კოკები.

. .

იყო სოფელი მთის გულზე ერთი,
ბაღჩა–ბაღებით შემოგარული
და მწვანე კორდზე იდგა ხის ოდა
ორნამენტებით ამოქარგული.

დღეს აქ ნასახლარს თუ წააწყდებით
ძველ გზებსაც შამბი გადაჰფენია.
და მელანდება ხმა შორეული
შენ შემოგევლოს მარო ბებია

კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი
ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელს“
და საბოლოოდ დავრწმუნდი
თუ როგორ გვესაჭიროება
კავკასიელ ერებს ერთად დგომა,
რადგან აგერ უკვე ორი სუკუნე მიიწურა,
მაგრამ იმპერიის დამოკიდებულება
ჩვენი ხალხების მიმართ თითქმის არ შეცვლილა.

თუ ხარ ნაღდი პოეტი
შენი ერის ერთგული,
ერთხელ კიდევ ააწყე
სიმ დამწყდარი ჩონგური.

ხელი ისე ჩამოჰკარ
გულის რეჩხი დაგვმართოს,
კავკასიელ ხალხს შორის
ძმობის ცეცხლი დაანთოს.

დაწყვეტილი სიმებით,
დაქსაქსული ძალებით
იმპერიის წინაშე
ჩვენ ვერაფერს გავხდებით.

თუმც ვართ ხალხი ამაყი
ჩვენი ზნით და ღირსებით,
დამერწმუნეთ ერთმანეთს
დღეს ძალიან ვჭირდებით.

თუ გულს არ გავიქვავებთ,
როგორც სიპი ყორეში,
თუ არ ჩავიძირებით
უნდობლობის მორევში,

თუ მივხვდებით რომ ერთი
გვაქვს გენი და იერი,
თუ კვლავაც გავიხსენებთ
ძმა ძმით არის ძლიერი,

მაშინ ვერცერთი მტერი
ჩვენთან ვერას გახდება,
გაზაფხულის თოვლივით
სამუდამოდ გაქრება.

პოეტებო, მგოსნებო
ვიყოთ ხალხის ერთგულნი
კავკასიელ ერებში
ავაზვირთოთ ფერხული.

ხელი ერთურთს ჩავსჭიდოთ,
მუხლიც ერთად გავმართოთ,
ერთმანეთის გულებში
ძმობის ალი ავანთოთ,

მეგობრობის თასები
მაღლა ერთად ავსწიოთ,
უნდობლობის ვირუსი
ერთდროულად დავსძლიოთ.

სიტყვას საქმე ვაახლოთ,
საქმე ამბიციური,
ავაშენოთ ერთობის
სახლი კავკასიური.

2011

ძნელია მშვიდად უმზირო

ძნელია მშვიდად უმზირო როცა
სამშობლო დაშლილ–დაფლეთილია.
და უარესი, როცა პოეტი
სდუმს და ცხოვრებით კმაყოფილია.

ანდა ნახევრად ამბობს სიმართლეს,
უყვარს რითმები მწყობრად აბმული,
სურს ყველას თვალში კარგ კაცად დარჩეს
არც მნვადი დაწვას და არც შამფური.

სიტყვას შერჩევით ამბობს მუდამჟამ
ზომიერი და თანაც ფრთხილია,
ეტრფის საკუთრ კეთილდღეობას,
სხვა ყველაფერი ფეხზე ჰკიდია.

ბევრმა ცხოვრება კიდეც აიწყო,
მაამებლური სიტყვის ქარგვაში,
ყველა დროებას ფეხი აუწყო,
არ ჩაჰყოლია არვის საფლავში.

ისინი ყველას საკმევს უკმევდნენ,
ყველა დროებას ტაშით ხვდებოდნენ,
სხვა არაფერი არ ადარდებდათ
ოღონდაც მათ ნუ შეეხებოდნენ.

ისტორიასაც ახსოვს ასეთნი,
ხანდაზმულებმაც კარგად იციან,
ბევრი მედროვე ტაშით ხვდებოდა,
როს სოღანლულში ხვრეტდნენ ტიციანს.

დღესაც ტაშის და ვაშას ძახილით
ბევრჯერ სიმართლე უწყალოდ მოჰკლეს.
სირცხვილი ქვეყნად ყველა მედროვეს,
განსაკუთრებით მედროვე პოეტს.

2011

ტიალი წუთისოფელი
მოითხოვს მუდამ ბრძოლასა,
ქალას გაჩენა სჯობია
ლაჩარი ვაჟის ყოლასა
–ხევსურულ ხალხური–

ვაჟკაც მხნეობა ამშვენებს
მტკიცე გული და მარჯვენა,
კაი ყმა ერთხელ მაჰკვდების
ლაჩარი დღეში ასჯერა.

დამფრთხალ ქალაი შვლის ნუკრს გავს,
ველ–მინდვრად ობლად გასულსა,
ვაჟკაცი მტრისგან დამფრთხალი
მაჩვს გავს ხაფანგში გაბმულსა.

ტიალო წუთისოფელო

ტიალო წუთისოფელო
სულ უკან უკან იხრები,
„რაც გუშინ ვიყავ დღეს არ ვარ,
რაც დღეს ვარ ხვალ არ ვიქნები“.

* * *

წვიმამ დანამა მინდორი
და უცებ გამოიდარა,
ციცქნა ღრუბელი ზეციდან
ჭალაში გამოიპარა ,

ეფერა ჭრელჭრელ ყვავილებს
გულს დარდი გადაიყარა,
მერე კვლავ ზეცად აფრინდა
მთის წვერი გადაიარა.

აქ მთაც ლურჯია

უფრო ახლოს ვარ,
უფრო ახლოს ვარ,
მე ამ ქედიდან ცასთნ
ხელის გულივით მოსჩანს მაღლიდან
ჩემი ლამაზი რაჭა
აქ ცაც ლურჯია,
აქ მთაც ლურჯია,
ჭალა კი თითქოს ზღვაა
და კამეჩები ვით ვეშაპები
ჭალაში ისე წვანან.

სიტყვაც არის და სიტყვაცა

ზოგის სიტყვა ჰგავს ცის გახსნას,
ზოგის რისხვას ჰგავს ღვთისასა —
ვით პაპაჩემი იტყოდა:
სიტყვაც არის და სიტყვაცა.

პაპაჩემს უთქვამს ესეცა,
სიტყვა იცოდა ფხიანი:
თუმც ხალხნი ქვეყნად ბევრია,
ცოტაა ადამიანი.

სიტყვისა გამო

იყო დრო როცა სიტყვისა გამო,
ხალხს იჭერდნენ და ხვრეტდნენ ძამია.
დღეს თითქოს ვიღაც რაღაცას ამბობს
მაგრამ ეს სიტყვაც ყეფის ფასია.

(ზოგის გაგებით თურმე ესაა
ჩვენი წინსვლა და დემოკრატია)

სთქვი გამოხატე ხალხის წუხილი,
დღეს ხომ საუბარს აღარ აქვს აზრი,
როდესაც სიტყვას სიცოცხლეს სწირავ,
თურმე სიტყვასაც მაშინ აქვს ფასი.

. .

აზრებზე მეტად ადამიანებს
გმირობა ხიბლავს ადამიანში.

2011

ეხლა სხვა დროა ?

დრო დროა მუდამ
იგი მუდამ არის უცვლელი,
დრო ნიავია
დრო შრიალა არის ფურცელი.

დროს კაცთა მოდგმის
ხასიათი სცვლიდა მუდამჟამ,
იყო დრო როსმე
ადამის ძეთ რომ ერთმანეთი
გულით უყვარდა?

უბედურებას ჩვენ ერთმანეთს
თავადვე ვატეხთ
და მერე ურცხვად ამ ყველაფერს
ჩვენ დროს ვაბრალებთ.

. .
კატაკლიზმებიც
ჩვენი სიხარბის არის შედეგი.
(ჩვენი განკითხვის ჟამიც მოდის)
წინაპარმაც ხომ სიხარბის გამო
დაგვაკარგვინა ბაღი ედემი?

2011

ტერენტი

შენ სულ სხვაგვარად გრძნობდი ცხოვრებას,
მწუხარედ ქსოვდი რითმებში ჰანგებს,
ალბათ გიკვირდა მიწის დათმობა
ასე რად უჭირთ ადამიანებს.

გძაგდა საწუთრო სადაც მავანი
ვერ მალავს თავის შურსა და ბოღმას,
სად კაცი კაცზედ მძლავრობს მუდამჟამ,
სადაც მოყვასი არ ინდობს მოყვასს.

გსურდა გაფრენა — იქ სად არ იყო
ბავშვის ტკივილი, ქალის ცრემლები,
„იქ მისვლა სადაც უკრავს მუსიკა,
სადაც ცხოვრობენ სხვა იმედები“

შენს ფიქრებს სივრცე ვეღარ იტევდა
და ფიქრი შენი ლექსად იწვოდა,
შენ იყავ დიდი პოეტი ბავშვი
და ასე დარჩი საუკუნოდა.

2011

ალაგ მზე მზეობს

ალაგ მზე მზეობს, ალაგ ნისლია,
გარინდებული დგანან იფნები,
ძველი კოლხელი ცხენის ქურდივით
ჭალას გაუწვნენ ხეთა ჩრდილები.

ტყე იბურება მწვანე ფოთლებით,
ხევში ანკარა წყარო იღვრება,
ნისლში იჭრება ციური სხივი
და ცისარტყელად ცას ეფინება.

გადავიჭრები მწვანე ველებზე,
მინდვრის ყვავილთა მესმის ჩურჩული,
ხეთა ფოთლების მატკბობს შრიალი,
მათრობს რიონის წყნარი დუდუნი,

ირგვლივ მთებია და მთების ძირას
მოსჩანს ქალაქი ნისლით ფარული,
ესაა ჩემი ყრმობის აკვანი,
ჩემი პატარა ამბროლაური.

აწვიმს მინდორ–ველს

აწვიმს მინდორ–ველს,
აწვიმს სოფლის მდუმარე საფლავს.
დახშულ ჭიშკრების უსიცოცხლო
დუმილი მზარავს.
მეზობლის სახლის
ჩაჭედილი მოსჩანს სარკმელი,
წვიმს . . .
აღარ ვიცი ვის გავანდო
ჩემი ნაღველი.
სოფელში ძროხა აღარ ბღავის,

ძაღლი აღარ ჰყეფს.
ქართველი თურქთა მხარეს ეძებს
საშველს–დასაყრდენს.

ბარი იცლება,
მთას საერთოდ არ ჰყავს პატრონი,
ხელისუფალთ კი მაინც ჰქვიათ
„რეფორმატორი“.

პოეტს ამაზე საუბარი
რატომღაც არ სურს,
ის თავის ლექსში უფრო ხშირად
უმღერს გაზაფხულს.

გადუხნავ ველებს,
თითქოს მთვარეც სახეს არიდებს.
ქართველი თავის მონურ შრომით
ოსმალოს და ბერძენს ამდიდრებს.

ეგრე დრო მიდის,
მზე ჩადის და ამოდის მთვარე,
კითხულობს ვიღაც:
გვეშველება ოდესმე რამე?

არ გვეშველება არაფერი,
უნდა გავიგოთ,
ჩემო ნიკალა
და შენც ჩემო დაო თალიკო

ვიდრე ყველანი სათითაოდ,
თითოდ და თითოდ
ყველა ჩვენს თავზე
ერთობაზე არავინ ვფიქრობთ.

2011

ეჰ გაფრენილა ბავშობა წრფელი

ვწევარ მდელოზე, გავსცქერი ზეცას
მაოცებს ჯარი ვარსკვლავთ წყობილი.
ქარმა არია ფოთლების წყება,
შორს ლურჯი ქედის მოსჩანს პროფილი.

ეჰ გაფრენილა ბავშვობა წრფელი,
ველარ მახარებს ხეთა შრიალი,
თუმც ძველებურად ჰყვავის ალუჩა,
მდელოზეც ისევ მღერის ნიავი.

შორეულ ხეთა ჩაცხრა შრიალი
და ემონება ნათელი წყვდიადს,
ეს სიჭაბუკეც როგორც პეპელა,
სადღაც ფარფატით მიჰყვება ნიავს.

2011

ქართული რეალობა

მზე ამოდის დღე ახალი იწყება,
ქუჩები კვლავ მოძრავ ჯართით ივსება.
დარბეული ბაზრის ირგვლივ დილიდან
ისმის წყევლა, ისმის ლანძღვა–გინება.

მაღაზიამ გამოჰფინა ძონძები,
ფუთებს ხსნიან, ფუთფუთია ირგვლივ
და სხვის ნახმარ საცვლებსა თუ ფეხსაცმელს
დასცხრომია ქართველების რიგი.

. .

გვაქვს „საუნჯე“ სხვისი გამონაცვალი:
მანქანაა, პერანგი, თუ საცვალი.
ჭირნახულის აღარც კი ღირს ჩამოთვლა,
ქართულ ხორბლის აღარ დაგვრჩა მარცვალი.

აღარ ვიცი გული რით დავიმშვიდო,
ვის შევჩივლო სატკივარი ვისი.
ამიხსენით ხალხნო ვინ ვართ, რანი ვართ?
ნუთუ მართლაც არ ვართ მეტის ღირსი.

2011

ნაცრისფერებს შეეპარა ნათელი

ნაცრისფერებს შეერია ნათელი,
მთაწმინდაზე სხივმა ნისლი ალაგმა,
მამა დავითს მზემ დაუნთო სანთელი,
გაიღვიძა ჩემმა თბილის ქალაქმა.

დღე სხვაგვარი იმედებით გათენდა,
დღე ნათელი მზის სხივებში ქარგული,
გული ისევ სიხარულით აივსო,
დღეს ოცნება დავაფუძნეთ ქართული.

ამწვანდება მუხა ფესვებ ძლიერი,
ამ გრძელ „ზამთარს“ გაზაფხული მოჰყვება,
თუ ყველანი ძმურად ერთად დავდგებით,
დასრულდება ჩვენი ტანჯვა – გოდება.

მაგრამ თუ კვლავ სხვის იმედად დავრჩებით ,
თუ ვერ შევძლებთ მტრის და მოყვრის გარჩევას,
საკუთარ ხმებს თუ ოც ლარად გავყიდით,
(რაც ქართველ ხალხს ნაღდად არ გვკადრება)

მაშინ გულიც ნურავიზე დაგვწყდება,
თუ ქართველი სამშობლოდან გაქრება,
სანატრელი თუ გახდება ოსმალეთს
გახიზვნა და მათი მონად გახდომა.

2011–წ

ლაზეთ ჭანეთის ტერიტორიაზე, რომელიც
დღეს თურქეთის სახელმწიფოს გამგებლობაში
მდებარეობს, ქართული ხუროთმოძღვრების
ძეგლები უკიდურესად სავალალო მდგომარეობაშია.
მაშინ როდესაც, ბათუმში იგეგმება
სულთან აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა.

ჩამოშლილია ტაძრის გუმბათი,
დანგრეულია ტაძრის კარები.
აქა–იქ სჩანან მამაპაპათა,
ქვაში ნაკვეთი ტურფა თაღები.

აქ წინაპარმა ამ მიწა–წყლისთვის
სისხლი ღვარა და მტერთან იომა
და ამ დაღარულ ხევებს, ველ–მინდვრებს,
დღესაც ატყვიათ ძველი ჭრილობა.

და თუ სამშობლო დღეს ისევ ბორგავს,
მტრის მახვილისგან ბევრჯელ დაჭრილი,
ეს იმიტომ რომ გვყავდა ვახტანგი,
გვყავდა ბაგრატი, გვყავდა დავითი.

გვყავდა თამარი, გვყავდა გიორგი
და დევგმირები რკინის მკვნეტლები,
ძუ მგლის დაზრდილნი ალგეთის ლეკვნი,
მარაბდელნი თუ არაგველები.

ყველას ჩამოთვლა მართლაც ძნელია
ან ვინ დასთვალოს სხივნი მზისანი?
ვინ, ვინ დასთვალოს ცაში ვარსკვლავნი
ზღვაში თევზნი და ზღვის პირს ქვიშანი?

თუმც არ ეგების, რომ არ ვახსენოთ
სამშობლოს თვისას გადაგებულნი:
ცოტნე, ბიძინა, შალვა , თევდორე
და თვით დემეტრე თავდადებული.

გვყავდნენ ბრძენკაცნიც, ვის მახვილ კალამს
მტერი მრავალჯერ დაუთრგუნია,
მათ სამშობლოსთვის გასცეს ყოველი
მათი გზა სიბრძნის მძლავრი ხნულია,

ეს ყიფიანი გახლავთ დიმიტრი
და რა თქმა უნდა დიდი ილია.

სამაგალითო მართლაც ბევრია,
თუმც მაგალითად ისიც გვეყოფა
საბამ სამშობლოს გადასარჩენად
ფეხით შემოვლო მთელი ევროპა.

აი მცირედი , ვინც სამშობლოსთვის
ძელი ტანჯვის ნებით ატარა
და საქართველო ტურფა მთაბარი,
სვავებს და ყორნებს არ გაატანა.

თუ კვლავაც შეგვრჩა სულის მხნეობა
თუ მათი სისხლი ჩვენში კვლავ დარჩა,
წინაპრის ხელთქმნილ მივხედოთ ტაძრებს:
იშხანს, ოშკს, ხახულს და ყოველ სხვათაც.

ხოლო თურქს თუ სურს ტაძრის შენება,
სახელმწიფო აქვს ზღვასავით ვრცელი
და შინ სადაც სურს, იქ აუშენოს
აზიზს მეჩეთი ალაჰის ნებით.

მინაწერი

ვინც დღეს გვარწმუნებს,რომ თურქს ჩვენთან სურს,
კეთილმეზობლურ გრძნობით ცხოვრება,

ვკითხოთ მათ, თურქნი დაგვთანხმდებიან?
სტამბულს დავითის ტაძრის შენებას?
ხოლო ვინც ჩუმად ღალატსა სთესავ
მას მოსავალი მწარე ექნება,
ვერცერთი მტერი საკუთარ ქვეყნის,
ერის სამსჯავროს ვერ გაექცევა.
ყველაფერს მკაცრად განსჯის მერმისი
ღვარძლი ხორბლისგან გამოერჩევა,
და ქართულ მიწით ნაშოვი ვერცხლი,
მათ შთამომავალთ ტანჯვად ექცევა.

2012

ქართველი კაცის დიდება

ქართველი კაცის დიდებავ
რუსთველის დიდო წიგნო ,
ჩაუქრობელო ლამპარო
ვაჟას მუზავ და ნიჭო.
აკაკის ლექსით ნაქარგო
ამერთ იმერთა მხარევ,
ილიას სიბრძნით მორწყულო
სამშობლოს არემარევ.
გალაკტიონის სიმღერავ
ცად ატყორცნილო სვეტად,
რითმავ, რითმაში ჩაწნულო
აზრო ქცეულო ლექსად;
სამშობლოს ბევრი სხვაც ჰყავდა
ვინც არაკლებდა გარჯას,
მაგრამ ჯერ თქვენი სად არი
კაცი არსაით არ ჩანს.

2012

ისევ მოფრინდა მშვენიერი ეს გაზაფხული

ისევ მოფრინდა მშვენიერი ეს გაზაფხული,
მდელო ყვავილთა გუნდმა დაფარა,
ვაზს სიხარულის წასკდა ცრემლები
კორდზე ამღერდა წყარო ანკარა.

ჩამოიდინეს ნაკადულებად,
მთებმა მკერდიდან თოვლის ჭაღარა,
დასჭექა უცებ – მძინარე მთა – ბარს
ცამ გაზაფხულის მოსვლა ახარა.

და აშხაპუნდნენ მწვანე ველზე წვიმის წვეთები,
ნისლმა დაბურა ზეცის ნაპირი....
წვიმს , წვიმა ნაზად ეფერება იებს,ენძელებს,
ჭაკი ცხენივით დაშლაპუნებს ველზე აპრილი.

2012

როდესაც

როდესაც ვარდი მაისის დილას
გადგიშლის ბაღში სისხლისფერ ფურცელს
და ამწვანებულ ეზო–მიდამოს
მოაფრქვევს თავის საამო სურნელს,

როდესაც ზეცას შესტყორცნის სხივებს
მზე და ლაჟვარდებს წითლად დაანთებს,
როდესაც სიო აქოჩრილ ჯეჯილს ,
გადაუფრენს და ტკბილად დაარწევს,

როდესაც ცაში აიჭრებიან
მერცხლის გუნდები, როგორც ისრები,
როდესაც ყრმობას ჯადოსნურ ხილვით
გაგახსენებენ ტკბილი სიზმრები,

როდესაც ვაზის მწვანე ლერწებზე
მარგალიტივით კიაფობს ცური,
როდესაც მკერდში ისევ ბობოქრობს
სისხლი ქართული და ვაჟკაცური,

აქ უკვე სიტყვა არის უძლური,
სჯობს გულის ძგერას უხმოდ უსმინო,
როდესაც ცაა ზღვასავით ლურჯი,
ლურჯი და სულ მთლად, სულ მთლად უძირო.

2012

უნდა დაიმსხვრეს სიცრუის ფარი

უნდა დაიმსხვრეს სიცრუის ფარი,
უნამუსობა კმარა –
უნიჭო პოეტს გთხოვთ აპატიოთ,
უგულო პოეტს არა.

2012

აქ მოჭრილ ხისებრ მეც დამრჩა ფესვი

ისევ მივყვები ჩემს ძველ ბილიკებს,
გავსცქერი ქედზე დაფენილ ნისლებს,
ვისმენ მწვანე ტყის საამო შრიალს
და ჩიტუნების გალობას ვისმენ.

აქ ყველაფერი ჩამოჰგავს ზღაპარს
და ამავე დროს ცხადზე ცხადია,
აქ მოჭრილ ხისებრ მეც დამრჩა ფესვი,
აქ პაპაჩემის ნასახლარია.

2012

როს ბედი შენი სამშობლოსი ჰკიდია ბეწვზე

როს ბედი შენი სამშობლოსი
ჰკიდია ბეწვზე,
შენ კი მტრის შენის
ძველებურად გხიბლავს ხასიათი ,
სხვა რა დავარქვათ ამ საქციელს
სხვა რა ვუწოდოთ?
ნუთუ კვლავ ძველი
ეს ტიალი სიტყვა ღალატი?

თუ მომავალზე შენ ხელი გაქვს მთლად ჩაქნეული

თუ მომავალზე შენ ხელი გაქვს
მთლიად ჩაქნეული,
თუ გულში ფიქრობ:
უკეთესი მაინც არ მოვა,

მაშინ უკეთეს ხელისუფლის
არც კი ხარ ღირსი,
მაგრამ ვაი რომ
გვეღუპება შთამომავლობა.

ატმის რტოებს

ატმის რტოებს დილის ნამი,
მძივებივით აუსხია,
ყოჩივარდის გვერდით
ნაზად იღიმება მორცხვი ია.

ტყეში ცელქი სიო დაჰქრის,
ვაზს გაფურჩქვნა დაუწყია,
გზის გადაღმა ნუში ჰყვავის,
გზის გადმოღმა თეთრი ბია.

მოფრენილა გაზაფხული,
ველზე ფარჩა დაუგია,
ლაჟვარდ ცაში მზეს სხივებით
ოქროს ტახტი დაუწნია.

ადრიანად წამომდგარა
დღეს პაწია თამუნია,
დედას არც კი გაუგია
ტანზე ისე ჩაუცვია,

სკოლისათვის ემზადება
დედაენაც გაუშლია,
გაკვეთილებს იმეორებს –
აი ია, აი ია.

2012

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში
შაჰ აბას 1–ველს განზრახული ჰქონდა
ქართლ – კახეთის სრულიად აღმოფხვრა.
ამას ხელს უწყობდა ის გარმოებაც, რომ
ქართლიც და კახეთიც, ცალ–ცალკე
საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობდნენ.
და რომ არა სააკაძის დაუცხრომელი თავგანწირვა,
იგი უცილობლად აისრულებდა
თავის გულის სანუკვარ ოცნებას.

ღამდებოდა, სირცხვილისგან
ლურჯდებოდა მთვარე ცაში.
კახეთს მტერი როცა ულეტდა,
მშვიდად სთვლემდნენ მაშინ ქართლში.

კახნიც ყურს არ იბერტყავდნენ
ქართლს როს მტერი ედგა კვალში,
– ასე რომ ვთქვათ – ამ საქმეში
იყვნენ მუდამ ბარი – ბარში.

ქართლ – კახეთის ამოძირკვის
საკითხს სწყვეტდნენ ისპაჰანში,
მაგრამ ჯერაც სისხლი სჩქეფდა
სააკაძის მარჯვენაში.

სპარსს გაჩენა აწყევლინა,
მარტყოფსა და მარაბდაში,
შახი ბოღმამ გადარია,
ხელს იცემდა სიმწრით თავში,

ვერაფრით ვერ შეეგუა
ამ მძიმე მარცხს გურჯისტანში,
მაზანდარანს გადავიდა
ვეღარ გასძლო ისპაჰანში.

აშრიფს იჯდა და ნელნელა
დღენი ელეოდა დარდში,

სეფი მირზას ავი ლანდიც
მუდამ თანა სდევდა კვალში.

ბოლოს ცოდვებმაც უწიეს
1629–ში.
მუცლის გვრემამ გადიყოლა,
დაიხრჩო თვის ფაღარათში.

2012

საბოლოოდ ყველაფერი ჭკნება

საბოლოოდ ყველაფერი ჭკნება,
კვდება კაცი ხმება ხე და ბუჩქი.
საკითხავი ერთი გახლავთ მხოლოდ
დღეს რას ვთესავთ, ან რას ვთესდით გუშინ.

რადგან როცა დაგიდგება ჟამი,
(ვის დასტოვებს ეს საწუთრო მუდამ)
ხალხს თუნდ მცირედს
თვალზე წასკდეს ცრემლი ,
არ ჩაგთვალონ მხოლოდ მიწის გუნდად.

2012

პასუხი „მრჩეველთ“

მითხრეს: გაჩუმდი დაცხრი ნუ იბრძვი
არ გაგვწირავსო უფლის განგება,
ჟამი გაივლის, დრო თავისთავად
გამოსწორდება და დალაგდება .

ბოდიშს მოგიხდით მაგრამ ეგ რჩევა,
მეტი რომ არ ვთქვა, ჰგავს რჩევას ლაჩრის,
გვექნებოდა კი დღეს ჩვენ სამშობლო?
თქვენდაგვარად რომ ეფიქრა დავითს?

და ერთსაც გეტყვით არა ჩემი ხმით,
მუხრანის ლექსით, მის ნათელ ხმაზე:
თვით რუსთაველის ვეფხვის პოემაც
დამყნობილია დავითის ხმალზე.

სიყვარული უპირველესია

გინდაც ჯვარს ეცვ –
რწმენისათვის დაეკალ ხანჯალს,
ჰგმე ბოროტი და
ვთქვათ სიკეთეც უხვად დათესე,

მაინც ვერ შესძლებ
უფლის ჩვენის გვერდით დაჯდომას,
თვით მამა ღმერთის
„იეჰოვას“ ნების გარეშე .

უფალი არა კაცის სახეს,
მის ზრახვებს ხედავს ,
მას არ ადარდებს ხარ ტანსრული,
თუ ტანად ჩია ,

ვერ დაიმკვიდრებს მხოლოდ რწმენა
ღვთის სასუფეველს,
თუ მას მოყვასის
სიყვარულიც არ გააჩნია.

და რადგან მანვე შთაგვაგონა
ჩვენ სიყვარული
და შეგონება მისი თუკი
გულით ვიწამეთ,

ჩვენც შევიყვაროთ ცაში ღმერთი
მთელი არსებით
და ერთმანეთი
ამ ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე.

იქნებ მართლაც სიზმარია?

მთის გაღმიდან ბადრი მთვარე ამოცურდა,
ჩაცხრა ტყეში ჩიტუნების ჟღურტული.
სძინავს სოფელს, არ იძინებს ნაკადული,
ისმის ტკბილი ნაკადულის დუდუნი,

ყვავილები დაჭკნენ უკვე რა ხანია,
მხოლოდ ვარდი ჰყვავის ბაღში ობოლი.
მთვარიანში ჩამიჩუმი ისმის ტყეში,
სცვივათ ხეებს ჩალისფერი ფოთოლი.

ტყისპირს ჩემი ძველი სახლი მაგონდება
სიყმაწვილის ის საამო წუთები,
როცა მთიდან მთვარიანში შეშით სავსე,
მოგორავდნენ ძველებური ურმები.

მე კი ტკბილად ჩამესმოდა ძილბურანში,
დატვირთული ურმის თვლების ღუღუნი,
ვებერთელა ხარკამეჩის მძლავრი ფშვინვა
და გლეხების სევდიანი ურმული.

შემოდგომის იმ საამო ღამის სურნელს
ბადაგის და ხილის სუნი სდიოდა,
ფოთლები კი ჩაყვითლებულ ხეებიდან,
ვით დღეს, ასე ჩამიჩუმით სცვიოდა.

საამურად თბილი სიო სცემდა სარკმელს,
დაბანგული იყო სულ მთლად ჰაერი,
მთვარის შუქზე საოცნებო სიზმარს ჰგავდა
ჩემი სოფლის მშვენიერი მთა–ველი.

ან იქნება კი არ ჰგავდა, სიზმარია,
იქნებ მართლაც სიზმარია ყოველი,
აღარც სახლი იმ მშვენიერ ტყის ნაპირთან,
აღარც მამა, აღარც დედა მშობელი.

ყველაფერი დრომ წაიღო, დრომ შეცვალა
ხარ–კამეჩი, ურემი და უღელი.
ყველაფერი შეცვლილია, მხოლოდ მთვარე
მხოლოდ მთვარე დარჩა ცაზე უცვლელი.

2011

ექო

ტყის შრიალში ჩარჩენილო ჰანგებო,
სალ კლდეებში ჩაკარგულო ექო,
ჩემო ბაღო, ჩემო ყრმობის აკვანო,
მზით ნაფერო ჩემო მწვანე ეზო.

დილის ნამით დაცვარულო ატამო,
ქლიავებო, ხეჭეჭურის მსხალო,
ნაკადულის დაუღლელო რაკრაკო,
ყანის პირას ურმის თვლების კვალო.

აყალოთი დაგოზილო ჭურებო,
ხორბლის ძნებო, სიმინდების ჯარო,
ყურძნით სავსე დატვირთულო ურმებო,
ძველი კევრით გალეწილო კალო,

მერცხლებივით გაფრენილო დღეებო,
სიყმაწვილის გათელილო გზებო,
შორეულო მოშრიალე ფიქრებო,
მოგონებად გარდაქმნილო წლებო.

მაგონდებით როგორც ტკბილი ზღაპარი,
მინდა ფიქრი ლექსად ავამღერო,
წარსულიდან მიხმობს ჩემი ბავშობა,
როგორც კლდიდან ასხლეტილი ექო.

2011

ხმელი ფოთოლი

რტოს ჩაჰკირვია ხმელი ფოთოლი,
ყინვით დამზრალი თრთის და ირწევა,
იცის ფოთოლმა, დღეს თუ არა ხვალ,
ნესტიან მიწად გადაიქცევა.

ველარასოდეს აშრიალდება,
ველარ შეხვდება განთიადს მზიანს,
დასცქერის ძრწოლვით, მისი მოძმენი
მიწაზე როგორ უსულოდ ჰყრია.

იხსენებს წარსულს,– მის ტურფა სხეულს,
როგორ ეტრფოდა ერთ დროს ნიავი.
ეხლა კი ზამთრის სუსხით გათანგულს
უდგას დღეები ქარიშხლიანი.

იცის მოაშთობს ყინვა მას მალე
და როს დადგება კვლავ დღე მზიანი,
მის ადგილს უკვე სულ სხვა დაიჭერს,
მინდორშიც სხვანი მოვლენ იანი.

ეს ყველაფერი იცის საბრალომ
ქვეყნადაც არვინ დასჩა იმედად,
მაინც არ უნდა გაჰქრეს უაზროდ,
მაინც სიცოცხლეს ეპოტინება.

2011

ერს მაშინ ჰმართებს ერთობა

როცა ცდილობენ აგყარონ
ყველა კაცური უფლება,
როცა ქვეყანას მხუთავი
დემონი დაეუფლება,

ერს მაშინ ჰმართებს ერთობა,
კბილებით ლელოს გატანა,
რომ არ ამძლავროს ბოროტი
არ აბობოქროს სატანა.

მხოლოდ წუწუნი ვერ არგებს,
ვერც მუდამ სოფლის მდურება
იღუპვის ერი, როდესაც
მონობას შეეგუება.

თავს უდარეგდა აკაკის

ლექსს სწერდა, სიტყვას ქარგავდა,
თავს უდარებდა აკაკის
იყო მათ შორის მსგავსებაც,
ვით ხარისა და ბაყაყი

2011

ყმა და სულთანი

პოემა

ძველ დროში, ვინმე მორბენალს,
ჯილდო უბოძა სულთანმა.
უთხრა წადი და ირბინე,
სადაც გირჩიოს გუმანმა.

ჭალას გაირბენ თუ ქალაქს
გახდება შენი ქონება,
ყველა იქ მაცხოვრებელი
უკლებლივ დაგემონება.

ირბინე შეუჩერებლად,
ნურსად შედგები გზაშია
და რასაც ირბენ სიგრძეზე ,
იმდენს მიგითვლი განშიაც.

სადაც შედგები თუნდ წუთით
იქ დადგინდება საზღვარი,
მე ჩემი სიტყვის წინაშე
ვარ მუდამ ალალ – მართალი.

რბენას დაიწყებ საკუთარ
მაგ შენი ქოხის კიბიდან,
დღეს გვიანია, გირჩევ რომ
საქმეს შეუდგე დილიდან.

რასაც გაირბენ ალალად,
დაგიკანონებ ყოველსა,
არ დაგიკარგავ ერთ გოჯსაც,
ვფიცავ ალაჰს –
ცის მპყრობელსა.

არჩევანს შენვე გიტოვებ.
ამაღამ ტკბილად იძინე,
ხვალ კი საითაც გერჩივნოს
იქეთ გასწი და ირბინე.

დასხა კანონის მცოდნენი
დაწერეს წიგნი – უსტარი.
დაბეჭდეს როგორც წესია
ხელს აწერს დიდი სულთანი.

ეტყვის სულთანი ყმას ვისმეს:
ვიცი მუხლი გაქვს მაგარი,
მაგრამ ამ ჩემსა სამეფოს
ქვეყნად არ უდევს საზღვარი.

ბევრს ირბენ ბევრი დაგრჩება
თუ გსურს იკმარე მცირედი,
აქ სხვა ვერ გამოგადგება,
სხვისი არ გქონდეს იმედი.

ყმას ეღიმება ჩუმჩუმად,
რადგან თავის აქვს იმედი,
ეგღა აკლია იკმაროს
ადგილ მამული მცირედი.

სჯერა რომ ხელს მოუმართავს
საქმეში დიდი ალაჰი.
ხვალ იქეთ გასწევს საითაც
ეგულვის ტურფა ქალაქი.

ბინდი ჩამოწვა,
სულ მალე სიბნელე დაისადგურებს:
გათენებამდე რა გასძლებს
ყმას ამის ფიქრი აწუხებს,

ოცნების ნისლში ჩაეფლო
მისი გული და გონება,
მალე მის ხელში გადმოვა
სულთანის დიდი ქონება.

თვალს რული არ ეკარება,
ოცნებამ სული გაათბო,
გათენებისას ჩასთვლიმა
სიზმარი ნახა საამო:

მირბის და თითქოს მიფრინავს
ტანი აქვს, როგორც ბუმბული,
მხარს აზის ტკბილად უგალობს
მგოსნების მეფე ბულბული.

ყურში ჩაესმის უცხო ხმა:
გულს არ გაივლო შიშიო,
არ დაინანო ჯანი და
კაცი გახდები დიდიო.

ლერწმის ტანიან გოგონებს
გადაიგორებ მკლავებზე,
ჰარამხანებში ქალები
დაგადნებიან ბაგეზე.

შენი გახდება ეს მხარე
ქალაქები და დაბები,
ამ მხარის ერთპიროვნული
შენ მბრძანებელი გახდები.

II

გამოეღვიძა, ნახა რომ
ცა მზის სხივებით ინთება.
ალაჰს მადლობა შესწირა,
სთქვა კარგი დარი იქნება.

კარზეც მოადგნენ –
ორ მხედარს შეუკაზმია ცხენები,
რომ უკან მიჰყვნენ მორბენალს
სულთნის კანონის მცველები.

რომ დაუდგინონ საზღვარი,
დაუკანონონ ქონება.
ყმა კი თავს უკვე აღად თვლის
წინ ელის ტკბილი ცხოვრება.

გახედა ქალაქს მშვენიერს,
ნაგებს სულ ბროლის ქვებშია.
ეს ყოველივე სულ მალე
ჩაუვარდება ხელშია.

ალბათ სულ მალე ახდება
მისი ნატვრა და ოცნება,
ეს მშვენიერი ქალაქი
მის ნებას დაემონება.

ამ ოცნებიდან უეცრად
შეხებამ გამოარკვია:
გავიქცეთ ძმაო და ალაჰს
შევთხოვოთ ზურგის ქარია.

III

რბენა დაიწყო ნელნელა,
წინ უდევს მცირე აღმართი,
მაგრამ არ შიშობს აღმართს კვლავ
მოჰყვება ისევ დაღმართი.

მირბის ჯერ ძალა ბევრი აქვს
დარდი არააქვს არაფრის,
თუმცა საკმაოდ შორს არის
ნაოცნებარი ქალაქი.

მაგრამ სურვილი დიდია,
არ შეუდრკება განსაცდელს.
არ გამოუტანს თავის თავს
დღეს უარყოფით განაჩენს.

წინ მოსჩანს ხორბლის ყანები,
აქ რბენა მართლაც რთულია.
რადგან თავთავი წაზრდილა
უკვე მოუსხამს პურია.
მაგრამ ქალაქში მიმავალ
გზებს შორის უმოკლესია,
ყმამ ისევ სხვა გზა არჩია
იქ რბენა უმჯობესია.

მირბის ნელნელა, მსუბუქად,
როგორც ნიავი ხევშია.
მიზნად აქვს დღეს ეს ქალაქი
უნდა ჩაიგდოს ხელშია.

ჭალებს გადვიდა, გამოჩნდა
ხეხილით სავსე ბაღები.
ბაღებს გადაღმა ჯერ კიდევ
შორს სჩანს ქალაქის თაღები.

ფიქრობს: ოღონდაც ეს შევძლო,
ქალაქში დავჯდე მბრძანებლად.
მეტს არ ვინატრებ, ვფიცავარ
დიდი ალაჰის განგებას.

დაღლა დაეტყო არ ჩივის,
დღეს არ დაზოგავს თავისთავს,
რაც უნდა მოხდეს სჯერა, რომ
ის თავის ლელოს გაიტანს.

გადვიდა ბაღებს, ხეივნებს,
და ჰა მთავარი მიზანიც,
მის წინ იშლება ქალაქი,
ვით ცაზე დილის ცისკარი.

სასახლეები ჩამჯდარან
ლამაზ პარკებს და სკვერებში
ქუჩის პირებზე ყვავილნი
ჰყვავიან ათას ფერებში.

აქ ვებერთელა ბაზარიც
მოჰგავს მოჩითულ ყვავილნარს,
იქ აბრეშუმი შრიალებს,
აქეთ სპარსული ხალიჩა.

დახლებში დგანან კეკლუცად
გაღიმებული ჩარჩები,
დახლებს ამშვენებს
ბაღდადს და ხვარამზ ნაქარგი ფარჩები.

ჭირნახულით და ხილით ხომ
ავსებულია ქალაქი.
ქარავნებს სავსე კასრებით
დააქვთ ერბო და კარაქი

ამის მნახველსა, ყმას თითქმის
სულ დაავიწყდა დაქანცვა
და მეტი შემართებითა
წინ ისარივით გაქანდა.

თითქოს ჯერ არც კი ერბინოს
თავი იმგვარად უჭირავს,
თვალებს აცეცებს გარშემო
და სიხარულით უბრწყინავს.

გადაირბინა ის მხარეც,
ის მშვენიერი ქალაქიც
და სიხარულით ვერც კი გრძნობს,
რომ ქანცი სულ აქვს გამწყდარი.

IV

ქალაქს გადაღმა გამოჩნდა
კოხტად ნაგები კოშკები,
ბაღებში სჩანან დაბები –
ხეხილით სავსე სოფლები.
უმზერს და უკვირს
მის თვალწინ სამოთხის ბაღი იშლება.
დაბების პირას ბაღები
ლურჯი შქერებით ირწყვება.

ფიქრმა წაიღო უეცრად,
ეხლა სულ სხვაგვარ ფიქრშია.
ქალაქი უკვე დალაშქრა,
ქალაქი უკვე მისია.

ეხლა ამ მხარეს შესცქერის,
მისი მშვენებით დამტკბარი,
ფიქრობს ასეთი მეორე
მხარე აქ არსად არ არის.

ჯერ ცხოვრებაში ასეთი
მშვენება არსად უნახავს,
როგორც იტყვიან კაც მართლაც
გახდის მშვენების უნახავს.

ტბები მოსჩანან მწვანეში,
შიგ იალქნები ირწევა.
გულში გაივლო ეს მხარეც
სულ მალე ჩემი იქნება.

ვერა ვერ დავსთმობ ამ მხარეს
ამ ლამაზ არემარესა,
ამის დათმობა ნიშნავს, რომ
ნებით ვითხრიდე თვალებსა.

ცხენებს დაეტყოთ დაქანცვა,
ფშვინვა გაისმის გაბმული.
განცვიფრებისგან ცხენოსნებს
ენა აქვთ სულ მთლად დაბმული.

ბოლოს ერთმა სთქვა:
აღაო თქვენია მთელი ქალაქი
იქნებ აქ დავსვათ საზღვარი
და განვამტკიცოთ ბარათი.

დავაკანონოთ ყოველი:
ზვრები, ხეხილის ბაღები,
ეს დიდებული ქალაქიც,
სულ ბროლის ქვებით ნაგები.

თქვენც უკვე დაღლა დაგეტყოთ
თავს არ დამართოთ ხიფათი.
ვფიქრობთ რომ მიღწეულია
ნაოცნებარი მიზანი.

V

აქ დავსვათ? იმათ რა ვუყო,
გადაღმა რომ სჩანს კოშკები?
არა იმ მხარეს ვერ დავთმობ,
ჯერ ბრძოლას მე ვერ მოვრჩები.

ჩემი გახდება ის მხარეც,
ის საოცარი დაბები,
დაბებს გადაღმა ტბები და
გამწვანებული ბაღები.

საუბრობს სულ სხვა მანერით,
ვით დიდებული თავადი,
სასაცილოა, როდესაც
გადიდკაცდება ღატაკი

არ კარგავს თავდაჯერებას,
გზა ჯერ კი ისევ გრძელია,
გულში ბუტბუტებს:
არ დავთმობ, ესეც გახდება ჩემია.

ეპოტინება სიმდიდრეს
ვით საქონლის ძვალს მურია
თუმც მშვენივრად გრძნობს
ამ მხარის გარბენა რა რიგ რთულია

მუხლებში ძალა წაერთო,
მკერდში ყრუდ იგრძნო ტკივილი,
ოფლი თვალებში ეღვრება,
ყურებში ესმის წივილი.

ჩაიმუხლება დროდადრო
დგება და ისევ ეცემა:
რა ჰქნას ასეთი შანსი მას
სხვა დროს არასდროს ექნება

თან ფიქრობს: მართლაც სავსეა
ეს მხარე უფლის ბარაქით.
ვერ დავთმობ, ამის დათმობა
არ შემიძლია არაფრით.

თვალებში სისხლი მოაწვა,
დახეთქვაზე აქვს ვენები,
უძლურებისგან ერთიან
უთრთის ტანი და ხელები.

უნდა შეჩერდეს ვერ დგება,
თითქოს ვიღაც წინ მიათრევს
ვერ უმკლავდება ვერ სჯობნის
თავის საკუთარ სიხარბეს.

წაიქცა ისევ წამოდგა,
როგორც დაჭრილი არწივი.
წინ მიდის თუმცა ჯანისგან
არის სრულებით დაცლილი.

ფიქრობს: ათ ნაბიჯს გავირბენ
და აქ დავადგენ საზღვარსა,
როცა გაირბენს, კვლავ ფიქრობს:
კიდევ გავირბენ ათსაცა.

ვაი რომ ვერასდროს ძღება
სიმდიდრით ხარბი გულია,
რაც მეტს იშოვის მით უფრო
მეტი და მეტი სწყურია.

და ასე ათათობითა
ბეჯითად, როგორც სჩვევია,
გადაირბინა ის მხარეც,
შეჰყვირა ესეც ჩემია.

მაგრამ უეცრად ტკივილით
სიტყვა ბაგეზე გაუშრა.
წამოწეული მარჯვენა,
ძირს მოწყვეტილი დაუშვა.

დაეცა მწვანე მდელოზე,
გულზე წაივლო ხელია,
ბაგეზე შერჩა სიტყვები,
„ეს ყველაფერი ჩემია“,

მერე ნელნელა გაქვავდა,
გალურჯდა როგორც ქლიავი
ფართოდ გახელილ თვალებში
ჩამოწვა შავი წყვდიადი.

VI

მზე დაჰნათოდა ქვეყანას.
სადღაც ბულბული გალობდა.
ყმა იწვა მწვანე მდელოზე,
უკვე აღარსად ჩქარობდა.
აღარც ქალაქი ადარდებს,
არც მშვენიერი დაბები,
აღარც ლურჯ ტბაში ჩამჯდარი
იალქნიანი ნავები.

იწვა მდელოზე გულაღმა,
უაზროდ ზეცას გასცქერდა –
ვინც ვერ იკმარა ქალაქი
ორ მეტრა მიწას დასჯერდა.

2009

სარჩევი

სიზმარი..... 5
მივესალმებით პაცეფისტებს 9
სთქვა სამყაროს შემოქმედმა !!! 11
მოჩვენებითი მშვიდობა 12
ქართველები ვყიდით „ტავარს“ 15
ჩემი ბავშვობა..... 16
როცა ვიყავი მე სულ პატარა..... 17
მოჩვენებითი ღვთის მოსაობა..... 19
და თქვენც ვინც შეიცანით 21
ქართველთა ჭირი 22
ბებოს დარდები 25
მამიდის გახსენება..... 26
ენით დაჭრილი არ იკურნება 28
ადამის ნეკნი..... 29
სიყვარულია სულგრძელი..... 31
ანეკდოტი 32
ზოგი „მოყვასი“..... 37
ვუძღვნი რომანი დვალს..... 38
ეს რა ცხოვრება მოვიდა! 39
ბრძენის შეგონება 40
ცხოვრება მართლაც უცნაურია 42
ჩემი სოფელი 44
მონატრება..... 48
სამწუხარო რეალობა 49
ეჭვი, შური, მტრობა..... 50
დარდი 50
გაზაფხულის სიო..... 50
აპრილის დილა..... 51
გაზაფხული..... 52
მშვენიერება..... 53

ჭეშმარიტებას ამბობს მურმანი 54
დიახ --- რაც გვითხრა მურმანმა 55
გაყიდული სამშობლო 55
თუ სახრჩობელა სხვისთვის კიდია 57
ნეტავ რანი ვართ? 58
შენს თავში უნდა იპოვო ძალა 58
ჩვენ, რომ შური არ გვახრჩობდეს 59
დილის ხუთზე 60
სახელს მე გეტყვით 61
საკუთარ თავს 62
ვუძღვნი ბადრი პატარკაციშვილის ხსოვნას 63
შენ შენი ხალხის იცოდი ფასი 65
ჩემი სოფელი „სადმელი“ 66
გურია 68
უცებ ატირდა პატარა გორა 71
მთვარის ნათება 72
„ხალხის რჩეულთ“ 73
ასეა წუთისოფელი 74
უხვსა მორჩილებს ყოველი... 75
ცა უსასრულოდ ლურჯი გვაქვს 77
მეც დამათენდა რომანზე 80
ვართ ჩვენ დავითის შთამომავალნი? 81
სად გვაქ გასაყიდი ჩვენ მიწა და წყალი 82
მზის მადლი 83
სათქმელი უნდა ბოლომდე ითქვას 84
ბრუნავდა მასა 86
ჩვენ კი სრულიად შიშველ–ტიტველნი 87
სიზმრად ვნახე აფხაზეთი 89
გვიყვარდეს საქართველო 91
მსურს 92
ვინც სამშობლოსთვის ოფლი დაღვარა 92
რაჭა 94

(ლიდერი) 94
ბარტყი 95
ხელისუფალის მზერა 95
ცოდვილ სხეულში 95
თავისი ჰგონია 96
„სიბრძნე“ 96
საზიზღარია 96
„ჩოტიღელესთნ“ მახსოვს წისქვილი 97
ეჭვი 98
ჩემი ცხოვრება ისე გავიდა 100
სხვის სატანჯველად მოსული 101
თამარ მეფის სამეფოში 102
გვეშველება რამე? 103
„უფლის ხატად შექმნილნი“ 104
იგავი უგნურ ყინვაზე 105
მე ეს ამბავი ჩემს ბავშობაში 107
მომავალი ჩვენია? 107
მყოობადს შავი ნისლი ჰბურავს 108
ჯერაც მაშინ 110
წლები უხვად მიიწურა 111
გვირჩევს უფალი 113
იესო 114
საქართველოს მომავალს 115
გვიყვარდეს ჩვენი ბუნება 115
ეს საოცარი ბუნება, ... 115
საზიზღარია 117
ძალიან ხშირად მსმენია 117
შენ ცხოვრება მიგყავს ისე 117
სიმართლის მთქმელი ჯვარს აცვეს ბევრი 118
მუხის დარდი 119
წვიმა რაჭაში 120
იქნება მართლაც კარგათ გვაქვს საქმე? 121

შარიშურობს არემარე 122
ორი უკიდურესობა 122
ერთი ვინმე წვალობდა და 123
ისევ ოცდაათი ვერცხლი ? 123
ხომ არ დავბრმავდით? 124
გუბაზ სანიკიძემა სთქვა 125
ჰქრება იმედი 126
მინაწერი ფიროსმანის სურათზე 126
ვერ შეედრება 126
ტურფა შინაბერა 127
მიმართვა ოსი აფხაზი და ქართველი ერისადმი 128
ამაოება 130
ძუნწის ბუნება 130
გმირობის არსი 131
ბოროტის ბოლო 131
ლაჩრის ბუნება 131
ენისა გამო 131
ყურს ნუ არიდებ 132
უგნურის ხელით 132
თუ შეიძულებ 132
ცრუ პატრიოტი 132
ჯიბრი 133
„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა“ 133
თუ მხოლოდ მაშინ გახსოვს სამშობლო 133
მაშინვე არ სჯის 133
ყველაზე მწარე 134
ძალმომრეობა 134
უგნური კაცი 134
თუ კი ოცნებობ უკეთეს მყობადს 134
ვინ გვმართავს ცოდვილ ადამიანებს? 135
არ დაუჯეროთ სოლომონს? 136
ფიცი 137

ხმალი, თოფი და ენა 138
ერის დაღუპვა 139
ხოდაბუნებში მწყერი ჭახჭახებს 141
შემოდგომა 142
წისქვილი 143
გახსენება 144
როდესაც სიო შეარხევს ვარდებს 145
მოლბერტია ეს მიდამო 145
კაცი, რომელსაც არასწამს ღმერთი 145
ქართველთა ჭირი 146
ჩემო ქვეყანავ 147
წელიწადიც მიიწურა 149
მთავრობის წინ საზეიმოდ 150
ამგვარად მოდის ჩვენში ტურფა გაზაფხული 151
გაზაფხულის დილა 152
თანამედროვე პაემანი 153
საუკუნენიც მალე გადიან 153
თუ ქართველებად დავბადებულვართ 155
ნიჭი წინაპრისა 156
მაგრამ ეს უკვე ხევსურეთი აღარ იქნება 157
რაღაც ტკბილ–მწარე ჰანგი ჟღერს სულში 159
ვიცი არ ადგა საქართველოს არსით საშველი 161
რბიან დღეები რუხი 161
მტრობის მიზეზი 162
ნუთუ ზნეობა დღეს ბორკილია? 162
ყველაფერი მომისწრია 162
მიტოვებული 163
მხოლოდ სექსი და მხოლოდ დათრობა? 163
ნამუსი 163
სურვილი 164
დილა კახეთში 165
იმედი 166

მიწაზე დაძრწის შურის ღრუბელი..... 167
ცხვრის ქურქში გაეხვა მგლათ დაბადებული, ... 167
ქვეყნის საქმე რომ ვერ არის კარგად..... 167
ხმა მესმა ჩემი წინაპრისა..... 168
შეჰქმნა ფარნავზ ორ ზღვას შუა 168
შემოიფლითა ზეცამ წყვდიადი 169
როცა მინდორში ჰყვავის ენძელა 171
მე აქა ვდგავარ 171
მრუდე სარკეა ჩვენი საწუთრო..... 172
მოგონება 172
იყო სოფელი მთის გულზე ერთი 174
თუ ხარ ნაღდი პოეტი 174
ძნელია მშვიდად უმზირო 176
ვაუკაც მხნეობა ამშვენებს..... 177
ტიალო წუთისოფელო..... 177
წვიმამ დანამა მინდორი 178
აქ მთაც ლურჯია..... 178
სიტყვაც არის და სიტყვაცა 178
სიტყვისა გამო 179
აზრებზე მეტად ადამიანებს 179
ეხლა სხვა დროა? 179
კატაკლიზმებიც..... 180
ტერენტი 180
ალაგ მზე მზეობს 181
აწვიმს მინდორ–ველს..... 181
ეჰ გაფრენილა ბავშობა წრფელი..... 183
ქართული რეალობა..... 183
გვაქვს „საუნჯე“ სხვისი გამონაცვალი 184
ნაცრისფერებს შეეპარა ნათელი..... 184
ჩამოშლილია ტაძრის გუმბათი, ... 185
ქართველი კაცის დიდება..... 187
ისევ მოფრინდა მშვენიერი ეს გაზაფხული..... 188

როდესაც 189
უნდა დაიმსხვრეს სიცრუის ფარი 189
აქ მოჭრილ ხისებრ მეც დამრჩა ფესვი..... 190
როს ბედი შენი სამშობლოსი ჰკიდია ბეწვზე 190
თუ მომავალზე შენ ხელი გაქვს მთლად ჩაქნეული 190
ატმის რტოებს 191
ღამდებოდა, სირცხვილისგან 192
საბოლოოდ ყველაფერი ჭკნება 193
პასუხი „მრჩეველთ“..... 193
სიყვარული უპირველესია 194
იქნებ მართლაც სიზმარია? 195
ექო 196
ხმელი ფოთოლი 197
ერს მაშინ ჰმართებს ერთობა 197
თავს უდარებდა აკაკის 198
ყმა და სულთანი 199